CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

## სიგარეტი შესაძლოა, კიდევ გაძვირდეს



3

N176/3298/ 19 ნოემბერი 2015 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

რას ტყუის თბილისის მერი დავით ნარმანია, როცა 2016 წლის გაზრდილ ბიუჯეტზე



9

## ვინ უწყობს ხელს დღევანდელი ხელისუფლებიდან ტერორისტების, ნარკოტიკების, იარაღის ტრანზიტს?



5

საეჭვოა ის, რომ რატომღაც ერთდროულად დადუმდნენ პრემიერი, თამაზ მეჭიაური და ის დეპუტატები, ვინც ეროვნულ და კომერციულ ბანკებს „თავზე ახურავდა“



7

## „ვილაცას საეჭვო ჩანთა უნახავსო“ — რეალურად რა გახდა მეტროპოლიტენის მუშაობის 2 საათით შეჩერების მიზეზი?!

4

„მინისტრმა სანიკიძემ შური იძია იმის გამო, რომ გამხელ და მის მძარცველობას ვამჟღავნებ“

## ვინ იმუშავებს დავით ნარმანიას გუნდში და ვინ „იზრუნებს“ დედაქალაქზე




რას აპირებს 116-ე სკოლიდან დათხოვნილი პედაგოგი?



13

„უკან გაიყარეთ ნამგალი და ურო“ — ვახტანგ რჩეულიშვილს უცენზურო ლექსი მიუძღვნეს

8

გენიალური შესაძლებლობები, რომელთა სწავლა ყველას შეუძლია



15

რეკლამა ადამიანის ქვეცნობიერებას კლავსო



16

ასტროფიზიკოსის ნილ დეგრას ტაისონის თქმით, კოსმოსში ნორმალურ სექსს ნიუტონის მეორე კანონი უშლის ხელს



15

გულის შეტევის შემდეგ, ნიორი დაგეხმარებათ



16

რატომ იქექებიან მაიმუნები ერთმანეთის ბალანში?



16

## 4 ათასი ლარი — ჯანელიძის ყოველთვიური დანამატი — IDFI უწყების ხარჯებზე ინფორმაციას აქვეყნებს

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებამ, სახელფასო დანამატის ჩათვლით, 2014 წლის განმავლობაში 1 მილიონ 400 ათას ლარზე მეტი შეადგინა, ხოლო 2105 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით გაცემულია მილიონ 124 ათას ლარზე მეტი.

ინფორმაციას მინდია ჯანელიძის უწყებაში გაცემულ სახელფასო დანამატებთან დაკავშირებით **IDFI** ავრცელებს.

– 2015 წლის 17 აგვისტოს **IDFI**-იმ მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატს და მოითხოვა სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, მონაცემები 2014-2015 წლებში თანამდებობის პირებსა (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) და სხვა თანამშრომლებზე დარიცხული პრემიებისა და დანამატების ოდენობის შესახებ თვეების მიხედვით, პრემიებისა და დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტები, თანამდებობის პირთა სამუშაო გამოცდილების **(CV)** შესახებ ინფორმაცია, აპარატის მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები, ინფორმაცია სამივლინებო ხარჯების შესახებ და ასე შემდეგ.



სახელფასო დანამატები ყოველთვიურად გაიცემოდა თანამდებობის პირებზე და მათი ოდენობა 3050 ლარიდან 4 775 ლარამდე მერყეობდა. მაგალითად, მინდია ჯანელიძეს – სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანსა და პრემიერ-მინისტრის თანაშემწეს სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში ყოველთვიურად ერიცხებოდა დანამატი 4 775 ლარის ოდენობით; გიორგი ზედელაშვილს – საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწეს სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის პირველ მოადგილეს – 3 050 ლარი; ალექსანდრე ქიკაიძეს – საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწეს სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მოადგილეს – 3 050 ლარი. აღსანიშნავია, რომ კრიზისების მართვის საბჭოს მოქმედი საშტატო ნუსხის თანახმად, უწყების თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი 2 900 ლარიდან 3 200 ლარამდე მერყეობს. შედეგად, მაგალითად, კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მოადგილის ალექსანდრე ქიკაიძის ყოველთვიური შემოსავალი მისი თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან (2015 წლის 17 ივნისიდან) წერილის მიღების მომენტამდე (2015 წლის 3 ნოემბრამდე) პერიოდისთვის 5 975 ლარს შეადგენდა. საბჭოს მდივნის – მინდია ჯანელიძის ყოველთვიური შემოსავალი – 7 975 ლარს, პირველი მოადგილის გიორგი ზედელაშვილის კი – 6000 ლარს. როგორც მოცემული თანამდებობის პირების მაგალითიდან ირკვევა, მათზე ყოველთვიურად გაიცემოდა სახელფასო დანამატი, რომელიც აღემატებოდა თანამდებობრივი სარგოს ოდენობას.

მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ კრიზისების მართვის საბჭოს თანამშრომლებზე 2014-2015 წლების განმავლობაში პრემია მხოლოდ ერთხელ 2014 წლის დეკემბერში ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით არის გაცემული და ის 76 900 ლარს გაუტოლდა. რაც შეეხება საბჭოს თანამშრომლებზე გაცემულ სახელფასო დანამატებს, ის საბჭოს თანამშრომლებს სისტემატურად ერიცხებოდათ და 2014 წელს, ჯამში, 938 670 ლარი, ხოლო 2015 წელს 589 325 ლარი შეადგინა. ყველაზე დიდი ოდენობით დანამატი გაიცა მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში 77 500 და 78 100 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის ბრძანებით **IDFI**-ის უარი ეთქვა ისეთი ინფორმაციის მიღებაზე, როგორიცაა 2014-2015 წლებში თანამდებობის პირებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების ასლები. საბჭოს პოზიციის თანახმად, მოცემული დოკუმენტები შესაძლებელია, ყოფილიყო სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი, – ნათქვამია ინფორმაციაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მესამე დღეა, ლარი უხეიროდ მყარდება



ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში მცირედით გამყარდა. კერძოდ, 19 ნოემბრისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,4001 ლარი გახდება. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც 18 ნოემბერს მოქმედებდა, 2,4012 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0011 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაში მცირედით გაუფასურდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,5616 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2,5611 ლარს შეადგენდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0005 ლარი შეადგინა.

(bpn.ge)

## გინდ გაბრიჩიძე იყოს, გინდ რევაზიშვილი, გინდ შოთაძე და თუნდაც სამქკუაშვილი — სამართლიანობის აღდგენას ეშველება რამე?!



საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა საპროკურორო საბჭოს მთავარი პროკურორობის კანდიდატებად ვლადიმერ გაბრიჩიძე, ნანა რევაზიშვილი და ირაკლი შოთაძე წარუდგინა.

სამინისტროს განცხადებით, მთავარი პროკურორობის კანდიდატების შერჩევამდე იუსტიციის მინისტრი ერთი თვის განმავლობაში მართავდა საჯარო კონსულტაციებს.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ექსპერტებმა, აკადემიურმა წრეებმა პროკურორობის კანდიდატებად ვლადიმერ გაბრიჩიძე, ლაშა გოლუბიანი, ლენა კაპანაძე, ნანა რევაზიშვილი, პაატა შავაძე, ირაკლი შოთაძე და კოტე ჭილაია დაასახელეს. ერთმა კანდიდატმა კახა კახიშვილმა თავად მოხსნა საკუთარი კანდიდატურა.

იუსტიციის მინისტრმა შერჩეული კანდიდატები საპროკურორო საბჭოს წარუდგინა. შესაბამისი წარდგინებები საპროკურორო საბჭოს საიტზე განთავსდა, დღეს, 19 ნოემბერს კი საპროკურორო საბჭოს ფორმატში სამივე კანდიდატს გაესაუბრებიან, რის შემდეგაც ფარული კენჭისყრის წესით არჩევნები გაიმართება. საპროკურორო საბჭო თითოეულ კანდიდატს კენჭს ცალ-ცალკე უყრის.

მთავარი პროკურორობის კანდიდატი გახდება ის, ვინც ხმათა 2/3-ს დააგროვებს. ამგვარად დამტკიცებულ კანდიდატს, საპროკურორო საბჭოს სახელით, იუსტიციის მინისტრი მთავრობას წარუდგენს. მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, კანდიდატი საბოლოო არჩევნებისთვის პარლამენტს წარედგინება. (რეპორტიორი)

## დედა, რა დღეში ჰყოლიათ ეს ბიჭი, კაცო, ააა?!



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებას იმის შესახებ, რომ ვაიბერის მეშვეობით მისი, დავით ბაქრაძის, ირაკლი ალასანიასა და გიგა ბოკერიას მოსმენა განხორციელდება, „თავისუფალი დემოკრატები“ გამოეხმაურნენ.

როგორც ირაკლი ალასანიას პარტიაში აცხადებენ, გვარამიას განცხადებაზე სპეკულაციებს ვერ დაიწყებენ.

– არ გვაქვს საშუალება, გადავამოწმოთ ამგვარი ინფორმაცია, ამიტომ სპეკულაციებს გვარამიას ნათქვამის საფუძველზე ვერ დავიწყებთ.

დანამდვილებით რაც ვიცით, არის ის, რომ ალასანიას ტელეფონის მოსმენა რუსეთის სპეცსამსახურებმა დაიწყეს 2003 წელს, როდესაც ხელმძღვანელობდა წარმატებულ ანტიტერორისტულ ოპერაციას პანკისში. ასევე, გაგრძელდა ტელეფონის მოსმენა ნიუ-იორკში, როდესაც ალასანიასა და მის გუნდს გაჰქონდა პირველი დევნილების შესახებ რეზოლუცია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. ასევე, დანამდვილებით ვიცით, რომ ალასანიას ტელეფონის მოსმენას, „ეფესბეს“ მსგავსად, შეუერთდა სააკაშვილის რეჟიმი 2006 წლიდან.

სამწუხაროდ, დღევანდელმა ხელისუფლებამ ანალოგიური გზა აირჩია, რაც მოსმენებთან დაკავშირებით კანონის მიღების პროცესშიც გამოიხატა.

ეს ჩვენთვის სიახლე არ არის და ვპირდებით საზოგადოებას, რომ პოლიტიკური ოპონენტების უკანონო მოსმენებს დავასრულებთ 2016 წელს, – აცხადებენ „თავისუფალი დემოკრატების“ პრესსამსახურში. (ნიუპოსტი)

## „ლოთი ვანია“ საქართველოშიც „ლოთი ვანიაა“ და სირიაშიც!



სირიაში რუსი სამხედროები იარაღს ნარკოტიკებზე ცვლიან. „ცენზორ.ნეტის“ ცნობით, ამის შესახებ თავდაცვის უწყების წარმომადგენელი იტყობინება.

„სირიაში მყოფი რუსული შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა სუსტია, მით უმეტეს ჰეპატიტის გავრცელების ფონზე. ვრცელდება კადრები, რომელზეც აღბეჭდილია, როგორ ცვლიან ჯარისკაცები იარაღს ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე“, – ნათქვამია განცხადებაში.

## და ასე ნარნარ გვაჩვევს თინათინ ხიდაშელი რუსეთთან ჩახუტებას...



საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების საფრთხე არ არსებობს, სანამ ქვეყანაში დღევანდელი ხელისუფლებაა.

ამ შინაარსის განცხადება მინისტრმა ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის რუსეთის და ყოფილი საბჭოთა კავშირის მკვლევარის, დონალდ იენსენის განცხადების კომენტირებისას გააკეთა.

– რა თქმა უნდა, საქართველოში არსებობენ პოლიტიკოსები, ისევე როგორც ევროპის ქვეყნებში, რომლებსაც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ რუსულ სახელმწიფოსთან დაკავშირებით, ვიდრე მე მაქვს, მაგალითად, ან ჩემი ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. დემოკრატია ასეთია – ზოგს ვაშინგტონთან უნდა მჭიდრო ურთიერთობები, ზოგს მოსკოვთან, ზოგს ბრიუსელი მოსწონს და ზოგს ჩეჩნეთი. ამოცანა ძალიან მარტივია, ან გინდა ბესლანის რუსეთი, ან გინდა იყო დასავლური, ცივილიზებული, დემოკრატიული, თავისუფალი სამყაროს ნაწილი. ჩვენ თავისუფლება ავირჩიეთ, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მკვლევარმა – დონალდ იენსენმა „ამერიკის ხმის“ ქართულ სამსახურთან ინტერვიუში, საქართველოს შესახებ ისაუბრა და იმ ტენდენციებზე გაამახვილა ყურადღება, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკაში შეიმჩნევა.

იენსენი მიიჩნევს, რომ თავისუფალი ბაზრის პირობებში რუსულ ბიზნესს ქვეყნიდან ვერ გააძევებ, თუმცა იმედოვნებს, რომ საქართველოს მთავრობა რუსული გავლენების აღმოსაფხვრელად თანმიმდევრულად იმუშავებს, რათა დასავლეთის უპირატესობა აჩვენოს. (ნიუპოსტი)

**როგორ საოცრადაა ნათქვამი: „დემოკრატია ასეთია — ზოგს ვაშინგტონთან უნდა მჭიდრო ურთიერთობები, ზოგს მოსკოვთან“...**

**დემოკრატიის სახელით უკვე ძალიან ბევრი ქაქი მიიღო ხალხმა და იმედია, ასე ნარნარ არ აღმოვჩნდებით „პუწინის“ მკერდს მიხუტებულები. თუმცა არც ობამასთან ჩახუტების სურვილი გვაგიჟებს — მიგვიღონ იმ ნატოში და ვიქნებით გადასარევად, არავის შევუძვრებით და შევეტენებით, ჩვენთვის ვიქნებით, მშვიდად და ძალიან გადასარევად!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ქართული ოცნების“ აუტსაიდერები: ვინ ვერ მოხვდება კოალიციის საარჩევნო სიაში?!

ერთ-ერთი ბოლო სატელევიზიო ინტერვიუს დროს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში აქტიურად აპირებს „ქართული ოცნების“ მხარდაჭერას. მან ასევე დააანონსა, რომ კოალიციის საპარლამენტო დეპუტაციის ნახევარი მომავალ საარჩევნო სიაში ველარ მოხვდება.

– თითოეულ მათგანს პატივს ვცემ, მაგრამ პარლამენტი უნდა შეიცვალოს, გუნდის წევრად უნდა დარჩეს ყველა, მაგრამ პარლამენტში უნდა მოვიდეს განათლებული და ახალგაზრდა ხალხი, – განაცხადა ივანიშვილმა.

ყოფილ პრემიერს კონკრეტული სახელები არ დაუსახელებია, თუმცა ექსპერტთა წრეებში იმის გარკვევას შევეცადეთ, ვინ არის სუსტი რგოლი „ქართულ ოცნებაში“ და ვინ ვერ მოხვდება მომავალ საარჩევნო სიაში.

ექსპერტ გია ხუხაშვილის თქმით, კოალიციას სერიოზული კადრების მოზიდვა უჭირს. მისი თქმით, „ქართული ოცნება“ ეფექტურ, ნორმალურ პარტიად დღემდე ვერ ჩამოყალიბდა.

– საერთოდ, პარტია ოპოზიციაში იქმნება და ოპოზიციური წრთობა უნდა გაიაროს იმისთვის, რომ ერთიან გუნდად ჩამოყალიბდეს, რომლის შეხედულებები გამოცდილია ოპოზიციაში ყოფნით. სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებას“ მოუწია პარტიული ფორმირების პროცესის გავლა უკვე ხელისუფლებაში. როდესაც ხელისუფლებაში მყოფი პარტია აპირებს ფორმირებას, ეს ურთულესი ამოცანაა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას ყველა ეტმასნება.



კოალიციაში ჯანსაღ ძალებს ინტეგრაციის სურვილი რომ ჰქონდეთ, კარიერისტები და გამოცდილი ინტრიგანები ასეთ ადამიანებს იმის საშუალებას არ მისცემენ, რომ მათ გზა გაიკვლიონ პარტიული ელიტისკენ. ასე ხდება იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მოტივაცია წმინდა კარიერისტულია და ასეთი ადამიანები





ყოველთვის ერევიან იდეით შეპყრობილ ადამიანებს, – ამბობს გია ხუხაშვილი.

ექსპერტის თქმით, კოალიციას ინტელექტუალური და პროფესიონალი პოტენციალის პრობლემა აქვს.

„სახელისუფლებო პარტიას უპირველესად ეტმასნება არა იდეაზე, არამედ კარიერაზე ორიენტირებული ადამიანი. კარიერაზე ორიენტირებული ადამიანები კი პოლიტიკურად ძლიერები ვერასოდეს იქნებიან. მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პროფესიული განახლება გამოაცხადა, ამას მაინცდამაინც ვერ ახერხებენ, რადგან კონკრეტული ადამიანები სხვებს არ მისცემენ საშუალებას, რომ მათ თავზე გადაიარონ, მაგალითად, იგივე თამაზ მეჭიაური, რომელიც ამ პერიოდში ძალიან აქტიურია; როგორ გგონიათ, მეჭიაური თავის ადგილს ვინმეს დაუთმობს? ბუნებრივია, არ დაუთმობს და ამისთვის ყველაფერს გააკეთებს, ისევე, როგორც „ქართული ოცნების“ სხვა ნებისმიერი დღევანდელი ფიგურანტი.

კოალიციაში ბითუმად მოინდომეს ხალხის მოზიდვა და „რა, სად, როდის“ კლუბთან დაიწყეს მოლაპარაკება, რაც ძალიან სასაცილოა. პოლიტიკაში ასეთი რაღაც არ ხდება, მათ ჯგუფურად მოინდომეს სამოქალაქო სექტორიდან ხალხის მოყვანა, იმედი მაქვს, საბოლოო ჯამში, „იღბლიანი ბორბლის“ ინტელექტუალებით არ დაკომპლექტდებიან, რისი შანსებიც ძალიან მაღალია, – ამბობს გია ხუხაშვილი.

– მე რომ მკითხოთ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია 70 პროცენტით კი არა, მინიმუმ 95 პროცენტით გადასახალისებელია, – ამბობს ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე. მისი თქმით, კოალიციის რამდენიმე წევრმა საზოგადოების მხრიდან უარყოფითი შეფასება დაიმსახურა და ამიტომ სწორედ ისინი დატოვებენ საპარლამენტო სიას, ასეთია წესი, – თუმცა ექსპერტი კონკრეტულ გვარებს არ ასახელებს.

– „ქართულმა ოცნებამ“ ვილაცების მიმართ ვალდებულებებიც აიკიდა და ამ ვალდებულების გამო შეიძლება საზოგადოებისთვის არასასურველი ადამიანები კვლავ აღმოჩნდნენ „ქართული ოცნების“ სიაში. იქნებიან ახალი სახეებიც და ის ადამიანებიც, ვის წინაშეც „ქართული ოცნება“ ბოლო 4 წლის განმავლობაში იმდენად არის დავალებული, რომ იძულებული გახდება, რამდენიმე ასეთი სახე მომავალ საპარლამენტო სიაში კვლავ დატოვოს, – ამბობს ხათუნა ლაგაზიძე.

კითხვაზე, ვინ ვერ მოხვდება „ქართული ოცნების“ მომავალ საარჩევნო სიაში, პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის თქმით, ესენი არიან „ისინი, ვინც თავს იკავებენ პრეზიდენტის ლანძღვისგან, ისინი, რომლებიც უფრო ნიჭიერები ჩანან, ვიდრე ივანიშვილის პოტენციური რჩეულნი, ისინი, რომლებიც ასე მარტივად არ აპირებენ, გახდნენ „ბიძინოლოგიის მოძღვრების“ მიმდევარნი და ისინი, ვინც უკვე სრულიად მკაფიოდ წარმოიდგინა რეალობა და იმოქმედებს ფორმულით, საცა არ სჯობს, გაცლა სჯობს“.

– ივანიშვილის განცხადებების მიმართ სკეპტიციზმი დიდი ხანია არსებობს და დიდი ალბათობით, უფრო გაძლიერდება, რადგან სახელისუფლებო სტრუქტურებში სავარძლის შენარჩუნებისთვის აუცილებელი წინაპირობა გახდა საქართველოს პრეზიდენტის უშვერი სიტყვებით მოხსენიება მისი მიჭირხვნის აუცილებლობიდან გამომდინარე. უკანასკნელი პირი, რომელიც მოქმედებს პრინციპით, კუმ ფეხი გამოყოო, გახლდათ ეკონომიკის მინისტრი, მანამდე იყო ჩემს მიერ ნახსენები მოქალაქის მიმართ ყველაზე მიახლოებული ცნობიერების მქონე პარლამენტარი, რომელიც ასევე აუგად მოიხსენიებდა პრეზიდენტს, ბოდიშის მოხდა მოითხოვა ამერიკის ელჩისგან და ამავე დროს, საზოგადოებაში მაინც ჩნდება აზრი, ამ გააქტიურებულ ჭაღარა კაცს აქვს თუ არა უნარი ერთმანეთისგან გაარჩიოს დიპლომატი და დიპლიპიტო. ასეთი პირების იმედად ნებისმიერი საპარლამენტო ჯგუფის დაკომპლექტებაზე საჯაროდ გაჟღერებული ოცნება, ნამდვილად აუსრულებელი იქნება, რადგან საქართველო არასოდეს იქნება ერთი პირის შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, – ამბობს სოსო ცისკარიშვილი. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ვახტანგ გომელაური: „გამკაცრდა საზღვარზე შემოსვლა სხვადასხვა ქვეყნიდან, უფრო აზიური და აფრიკული ქვეყნებიდან“



მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ უსაფრთხოებისა და კრიზისების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა პარიზში მომხდარი ტერაქტების შემდეგ მიღებული ზომების შესახებ ისაუბრა:

– იმ ღამესვე მოხდა უსაფრთხოების სამსახურში შეკრება ამა თუ იმ დეპარტამენტების ხელმძღვანელების, ასევე, კონტრტერორისტული დეპარტამენტის, ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელი შეიკრიბა. მივიღეთ გადაწყვეტილებები. დილიდან უკვე გამკაცრდა საზღვარზე შემოსვლა სხვადასხვა ქვეყნიდან, უფრო აზიური და აფრიკული ქვეყნებიდან. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ტრანზიტად არ გამოიყენონ ჩვენი ქვეყანა, არ მოხვდნენ ჩვენი ქვეყნის გავლით სირიაში და არ მიიღონ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა. რამდენიმე ათეული ადამიანი ქვეყანაში არ შემოვუშვით და დავბლოკეთ. ასევე, გამკაცრებულია კონტროლი სხვადასხვა მიმართულებით გამშვებ პუნქტებზე, საზღვარზე.

„გურჯისტანის ვილაიეთის“ შექმნაზე გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ვახტანგ გომელაური აცხადებს, რომ ვილაიეთი არ შექმნილა და რომ ეს ტყუილი ინფორმაციაა. (რეპორტიორი)

## ხი, ხი, ბატონო შალვა, ეს რა მოუჩხრეკიათ, თუ ხედავთ? არ უნდა აგინო ახლა გემოზე ამ ოღრაში ინტერნეტის მომგონს?!



„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერს სოციალურ ქსელში წარსულს ახსენებენ. „ფეისბუკის“ სხვადასხვა გვერდსა და ჯგუფში ჰიტად იქცა ნათელაშვილის 2008 წელს ჩატარებული ბრიფინგი, როცა ის, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, პრემიერის პოსტს ბიძინა ივანიშვილს სთავაზობდა.

აი, რას აცხადებდა მაშინ შალვა ნათელაშვილი:

– ძვირფასო თანამემამულენო! პატივი მაქვს, გაუწყოთ, რომ ჩემი გაპრეზიდენტების შემდეგ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტს ვთავაზობ ცნობილ მეცენატსა და ბიზნესმენს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს.

ბატონ ბიძინას ვთხოვთ, დაიწყოს კონსულტაციები ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიასთან ეროვნული ერთიანობის კოალიციური მთავრობის შექმნაზე, რომელსაც შემდგომ მოიწონებს უწმინდესი და უნეტარესი, აგრეთვე, სრულიად საქართველოს წმინდა სინოდი.

ეს იქნება ჭყონდიდელის საქართველოს კონცეფციის განვითარება, რასაც ჩვენ ვპირდებით მოსახლეობას.

მიგვაჩნია, რომ კანდიდატურა, რომელიც საქართველოს შევთავაზეთ, არის ზეპარტიული, არის სრულიად მისაღები ყველა ჩვენი მოქალაქისთვის. მან გაიარა გზა რიგითი ადამიანიდან აი, ასეთ სიმაღლეებამდე. ჩაატარა ქველმოქმედება უანგაროდ, ისე, რომ არ მოუთხოვია არანაირი მადლობა, ტაში, თანამდებობა... (plus.kvira.ge)

**ტფუი, მართლა რა ბინძური რამეა ეს ოხერი პოლიტიკა და რამდენ თვალთმაქცობას წააწყდება ადამიანი ფეხის ყოველ ნაბიჯზე.**

**ყველაზე ცუდი მაინც ის არის, რომ პოლიტიკოსები გაუთავებლად ჭკუას გვარიგებენ ხოლმე და თუ რამე არ მოეწონებათ, „ჰაიტ, ვის უბედავო“, შეხტებიან, შემოტრიალდებიან და გინების ისეთ კორიანტელს აყენებენ, დედა შვილს ვერ აიყვანს ხელში.**

**ეეხ, თამუნია, თამუნია...**

## სიგარეტი შესაძლოა, კიდევ გაძვირდეს



მომავალი წლის იანვრიდან თამბაქოს აქციზზე გადასახადის გაზრდა იგეგმება, რაც, თავისთავად, სიგარეტის გაძვირებასაც გამოიწვევს.

**„ალია“ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს, ზურაბ ტყემალაძეს ესაუბრა:**

**— ბატონო ზურაბ, გავრცელებული ინფორმაციით, 2016 წლის 1-ლი იანვრიდან თამბაქოს აქციზზე გადასახადის გაზრდა იგეგმება.**

– კი, ნამდვილად იგეგმება, მაგრამ ზუსტად რომელი რიცხვიდან, ვერ გეტყვით, ჯერ არ შემოსულა ჩვენთან დაზუსტებული ინფორმაცია. ამ ინიციატივით მთავრობა შემოდის.

**— რა გახდა ამის მიზეზი? მით უმეტეს, წინასაარჩევნოდ ამ ნაბიჯის გადადგმა ცოტა არაპოპულარულად არ მიგაჩნიათ?**

– იცით, რა არის? ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებიც არის და მათი რეკომენდაციებიც. ჯანდაცვის სამინისტროში არის სპეციალური კომისია, რომელიც ამ საკითხებს სწავლობს და ბუნებრივია, ეს განაპირობა იმან, რომ თამბაქოს მოხმარება იყოს შედარებით დაბალი.

**— რა თქმა უნდა, ეს ფაქტი გაზრდის თამბაქოს გასაყიდ ფასს. თუ შეგიძლიათ, მითხრათ, დაახლოებით, რამდენით შეიძლება გაიზარდოს მასზე ფასი?**

– ვერ გეტყვით, რადგან ჯერ არ არის შემოსული ინიციატივა და ჯერ არ ვიცით, საერთოდ რამდენით იზრდება აქციზის ფასი. აქედან გამომდინარე, როცა აღნიშნული ინიციატივა შემოვა, მერე უკვე შემეძლება, დაზუსტებით გითხრათ ყველაფერი.

„ალია“ ჯანდაცვის სამინისტროსთან დარეკვასაც შეეცადა – გვაინტერესებდა, თუ აქვთ შესწავლილი, მოახდინა თუ არა გავლენა სიგარეტის გაძვირებამ მწეველების რაოდენობაზე და ზოგადად, როგორია ამ მხრივ მსოფლიო პრაქტიკა, ანუ თამბაქოს გაძვირება თუ მოქმედებს მის გაყიდვებზე, თუმცა, სამწუხაროდ, უწყებასთან დაკავშირება არ მოხერხდა.

მოგეხსენებათ, არც ისე დიდი ხნის წინ უკვე გაძვირდა აქციზი და შესაბამისად, სიგარეტიც და კითხვებიც სწორედ აქედან გამომდინარე გაგვიჩნდა. შევეცდებით, პასუხები მომდევნო დღეებში მაინც მოვიპოვოთ.

*ნინო ლაბარტყავა*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ეკატერინე სირაძე-დელონე: „აიფონ+“-ის რეკლამა ამორალურობის უმაღლესი მწვერვალია“



საფრანგეთში საქართველოს ელჩი ეკატერინე სირაძე-დელონე საქართველოში „აიფონ+“-ის მიერ გავრცელებულ სარეკლამო რგოლს გამოეხმაურა და მას ამორალურობის უმაღლესი მწვერვალი უწოდა.

– ეს რეკლამა არის ამორალურობის უმაღლესი მწვერვალი, მისი კონცეფტორები და განმახორციელებლები, ყველა ერთად. მგონი, არ უნდა შევამციროთ მათი შეგნებისა და პასუხისმგებლობის ხარისხი ამ ყველაფერში, ისინი არიან სრულიად ამორალური ხალხი.

აღშფოთებული ვარ და სიტყვები არ მყოფნის. ვემხრობი, კანონმდებლობით აიკრძალოს ტერორიზმის დადებით კონტექსტში წარმოჩენის ნებისმიერი ვიდეო და აუდიომასალის დამზადება და გავრცელება, მოწოდებები, არაპირდაპირი წახალისებები ტერორიზმისკენ, რათა მხოლოდ ზოგიერთი ჩვენი მოქალაქის (თუმცა, ჩემთვის მოქალაქე გარკვეული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობების მატარებელია, რასაც ამ ადამიანებზე ვერ ვიტყვით ცალსახად) მორალის იმედად არ დავრჩეთ, - წერს ეკატერინე სირაძე-დელონე. (რეპორტიორი)

## ვაახ, კაცო, გოგიჩას საბავშვო შოუშიც რამე პოლიტიკური ქვეტექსტები იყო?!



საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალ საეთერო ბადეში საბავშვო გადაცემა „ყოჩაღების ქუჩაზე“ ვეღარ მოხვდა.

გადაცემის წამყვანის, გიორგი გოგიჩაიშვილის განცხადებით, მას კადრებიდან დაუკავშირდნენ და ადგილზე მისულს განუცხადეს, რომ გადაცემა ახალ ბადეში ვეღარ მოხვდა და შესაბამისად, მისი ხელშეკრულებაც შეწყდა.

როგორც საბავშვო გადაცემების ცნობილმა წამყვანმა გოგიჩამ განაცხადა, მას ფაქტობრივად, არც აუხსნეს, რა გახდა გადაცემის დახურვისა და მისთვის ხელშეკრულების გაწყვეტის მიზეზი.

საზოგადოებრივ მაუწყბლის ხელმძღვანელობა საბავშვო გადაცემის დახურვის მიზეზებზე ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს. (პირველი რადიო)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# „ვილაცას საეჭვო ჩანთა უნახავსო“ — რეალურად რა გახდა მეტროპოლიტენის მუშაობის 2 საათით შეჩერების მიზეზი?!







გუშინ თბილისის მეტროპოლიტენში მომხდარი შეფერხების გამო, პირველ ხაზზე მოძრაობა რამდენიმე საათის განმავლობაში შეჩერებული იყო, რისი მიზეზიც თბილისის სატრანსპორტო კომპანიის განცხადებით, მეტროსადგურ „300 არაგველზე“ წარმოქმნილი ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ვაგონის გაუმართაობა გახდა.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით რამდენიმე მკითხველმა დაგვირეკა და გამოთქვა ეჭვი, რომ შეფერხების რეალური მიზეზი სულ სხვა რამ შეიძლებოდა ყოფილიყო, რის შესახებ საუბარსაც ოფიციალური ხელმძღვანელობა ერიდებოდა – ვილაცას საეჭვო ჩანთა უნახავს დადებული „300 არაგველზე“ და შეიძლება, საქმე უფრო სერიოზულად იყოს, ვიდრე ტექნიკური ხარვეზიო.

აღნიშნულ თემაზე „ალია“ შინაგან საქმეთა პრესსამსახურს დაუკავშირდა, სადაც კატეგორიულად უარყვეს მეტროს შეფერხების რაიმე სხვა მიზეზი და განმარტეს, რომ მათთან არანაირი საგანგაშო შეტყობინება არ იყო იმის შესახებ შესული, რომ შეფერხება, შესაძლოა, სხვა რამით ყოფილიყო განპირობებული.

**მეტროში მომხდარი შეფერხების ირგვლივ სასაუბროდ, „ალია“ ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე, უფლებადამცველ გიორგი ბურჯანაძეს დაუკავშირდა, რომელიც ჩვენთან საუბარში ხშირად ამახვილებდა ყურადღებას თბილისის მეტროში უსაფრთხოების ზომებთან მიმართებაში არსებულ პრობლემებსა თუ ხარვეზებზე:**

– წლების განმავლობაში არ მომხდარა მეტროპარკის განახლება და გაუმჯობესება, ტექნიკური და სარემონტო სამუშაოები მაქვს მხედველობაში. ასევე, მაქვს ინფორმაცია, რომ მეტროს თანამშრომლების რაოდენობის გაზრდის ნაცვლად, ამცირებენ მათ რაოდენობას. ჩვენ მეტროს რამდენიმე ათეულ თანამშრომელს შევხვდით, რომლებიც ამბობენ, რომ მართლაც არ ექცევა ყურადღება უსაფრთხოების ნორმებს, იგნორირებულია და ხელმძღვანელობა ამ ყველაფერს ზერელედ უყურებსო და აგერ, ფაქტიც სახეზეა, რაც მოხდა. კარგს იზამენ, თუ ეს ერთი მაგალითი მათთვის საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ანალიზი გაკეთდეს ამ საკითხზე, მხედველობაში მყავს მეტროს ხელმძღვანელობა და ქალაქის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია, რომლებსაც ამის კონტროლი ევალებათ.

**— სატრანსპორტო კომპანიაში ამტკიცებენ, ყველაფერი გადასარევად მუშაობსო...**

– იცით, რა? ეს ფაქტი არ გახლავთ ბურჯანაძის სიზმარი, ეს არის იმ ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლებსაც წლების განმავლობაში შესტკივათ გული ამ სფეროში არსებულ პრობლემებსა და დარღვევებზე. გული შესტკივათ იმაზე, რომ მხოლოდ ვილაც ერთი-ორი ადამიანის თაოსნობით ხდება ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რაც წლების განმავლობაში ექსპერტთა მთელი ჯგუფებით ხდებოდა. გასული ხელისუფლების დროს სააკაშვილი წყვეტდა, თუ რამე არ მოსწონდა, ახლა ამას ვილაც სხვა პირები აკეთებენ. ასეთ საკითხებზე არ ეკითხებიან რჩევებს ექსპერტებს, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ ამ დარგში და ძალიან კარგად იციან, ამ რგოლის მორღვევას რა შეიძლება მოჰყვეს. სხვათა შორის, გეტყვით, რომ ექსპერტები, აღნიშნული ჯგუფისა და კომისიის წევრები ამბობენ იმასაც, რომ ესკალატორებთან დაკავშირებითაც არის პრობლემები. ამიტომ თბილისის მეტრო მაქსიმალურად საჭიროებს ტექნიკური კუთხით გადახედვას, რომ სავალალო შედეგი არ დადგეს. წინასწარ უნდა ჩაატარონ ანალიზი, კვლევები და მე და თქვენ რომ ჩავალთ მეტროში, მხოლოდ ფულის გამორთმევით არ უნდა შემოიფარგლონ.

სად მიდის ის ფული და რას აკეთებენ, ეს კიდევ სხვა თემაა და ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ფაქტია, რომ შესული თანხიდან მეტროს იმაზე გაცილებით მეტი უნდა მოხმარდეს, ვიდრე დღეს ხმარდება. ვიმეორებ, სწორედ ამის ნათელი მაგალითია ის, რაც მოხდა.

**— მეტრო ღამის 12 საათზე იკეტება და როგორც წესი, სამუშაოები ყოველ ღამით მიმდინარეობს ხოლმე. არ არის ეს საკმარისი?**

– ეს სტანდარტული ფორმაა, როდესაც სატრანსპორტო საშუალება ყოველდღიურად საჭიროებს გადახედვას. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ჩემი ინფორმაციით, თანამშრომელთა რაოდენობა არის შემცირებული და 100 ადამიანის ნაცვლად, მუშაობს 60-65 ადამიანი, რომელიც, ეტყობა, ვერ ასწრებს ღამის განმავლობაში იმ პროცედურების განხორციელებას, რასაც ნორმები ითვალისწინებს. თანამშრომლების დათხოვნის ნაცვლად, უპრიანი იქნებოდა, შეივსოს აღნიშნული სამსახური სპეციალისტებით და მეტი ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს. თუკი, ვთქვათ, ქალაქში მომუშავე ავტობუსებს აქვთ თავისი ტექნიკური მომსახურების ნორმები, ყველამ კარგად იცის, თუ ავტობუსი გაფუჭდა, ხის ძირში გადააყენებ და რამეს მოუხერხებ. როდესაც დღისით, მუშა გრაფიკის დროს ლიანდაგზე იჩენს აღნიშნული პრობლემა თავს, ეს სამსახურის მიმართ ცუდ დამოკიდებულებას ნიშნავს. ამის მიზეზია სწორედ სპეციალისტების გაყრა ამ სექტორიდან და იმ ფინანსური რესურსების არასრულად გამოყენება, რაც მეტროში არსებობს. ეს ყველაფერი კი სწორედ იმ ტიპის პრობლემებს ქმნის, რაც დღეს მოხდა. პიკის საათებში, ბევრი ადამიანი მეტროსთან აყენებს მანქანას და მისით გადაადგილდება, რადგან ის გადაადგილების სწრაფი საშუალებაა და თუ ჩვენ მიწისქვეშა ტრანსპორტშიც პრობლემები შეგვექმნება, ეს საქმეს წინ ვერ წასწევს. და ეს ხდება იმ დროს, როცა მერიის სატრანსპორტო სამსახურს, ლამის, ცხრაცხრა მანქანა ემსახურება და ცოტა მანქანის ფანჯრიდანაც გაიხედონ, ასე არ შეიძლება.

**— და მეტროს თანამშრომლების დათხოვნის მიზეზად რას ასახელებენ?**

– ხელმძღვანელობის პოზიციაა, რომ თურმე არ ყოფილა საჭირო ათი და ოცი სპეციალისტი და საკმარისია, მაგალითად, ათის ნაცვლად ხუთი ადამიანი აკეთებდეს საქმეს. ფაქტი სახეზეა, რას და როგორ აკეთებენ. ამიტომ ვამბობ, უკეთესი იქნება, მეტროში არსებული პრობლემები გაითვალისწინონ, რომ შემდეგში თავიდან ავირიდოთ იმ სახის შემთხვევები, როგორიც ახლახან მოხდა. ქალაქის მოსახლეობის ბედი მათზეა დამოკიდებული და ცოტა სერიოზულად მოეკიდონ თავიანთ საქმიანობას.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კრიმინალური გარჩევისას სოჭში 44 წლის ქართველი მოკლეს



სოჭში მომხდარ კრიმინალურ გარჩევას 44 წლის ნიკოლოზ ბერაიას სიცოცხლე ემსხვერპლა.

როგორც ცნობილი ხდება, გარდაცვლილი სოჭში ბოლო 7 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების წევრი იყო. რაც შეეხება უშუალოდ მკვლელობის მოტივს, წინასწარი ვერსიით, ახალგაზრდა მამაკაცი 30 000 აშშ დოლარის გამო მოკლეს.

როგორც გარდაცვლილის ნაცნობები აცხადებენ, ბერაიას სოჭში ცნობილ კრიმინალურ დაჯგუფება „შიკართან" ტოტალიზატორებისა და სათამაშო აპატებიდან ამოღებული 30 ათასი აშშ დოლარის გამო მოუვიდა უთანხმოება.

– „შიკარის“ წევრები თვლიდნენ, რომ ამოღებული თანხა მათთვის უნდა მიეცა ბერაიას, რადგან ისინი უბანს აკონტროლებდნენ, ნიკოლოზი თვლიდა, რომ ეს თანხა ამ დაჯგუფებას არ უნდა გადასცემოდა. როგორც ხდება, დაინიშნა გარჩევის დღე, სადაც მოხდა მკვლელობა. როგორც ვიცი, ბერაიას თან მეგობრები ახლდნენ, თუმცა ოფიციალურად მათ სამართალდამცავებისთვის ჩვენება არ მიუციათ, ამიტომ მკვლელობაში ეჭვმიტანილები დაკავებულები არ არიან, - აცხადებს ბერაიას ახლობელი.

მისი ინფორმაციით, კრიმინალური შემთხვევა გასულ კვირას მოხდა. გარდაცვლილის ახლობელი ყვება, რომ „შიკარის" დაჯგუფებასთან გარდაცვლილს 5 თვის წინაც მოუვიდა უთაანხმოება, მაშინ კრიმინალური გარჩევა მიკროავტობუსებიდან ამოღებული თანხის გამო მოხდა.

ნიკოლოზ ბერაია წარმოშობით აფხაზეთიდანაა, გარდაცვლილი დაოჯახებული არ ყოფილა, მშობლები კი გარდაცვლილი ჰყავს. ის საქართველოში ხშირად ჩამოდიოდა. მას ზუგდიდის რაიონში, კერძოდ, კობინატში ჰქონდა სახლი.

მოკლულს სამშობლოში მას შემდეგ გადმოასვენებენ, რაც სოჭში ექსპერტიზის დასკვნა და შესაბამისი დოკუმენტაცია მომზადდება. ცხედარი ამ დრომდე პროზექტურაში რჩება. (ნიუპოსტი)

## რუსმა ოკუპანტებმა სოფელ კნოლევში მამაკაცი დააკავეს



რუსმა ოკუპანტებმა სოფელ კნოლევში ერთი მოქალაქე დააკავეს. მამაკაცი ე.წ. სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ბრალდებით არის დაკავებული.

ამ დროისთვის ის უშიშროების კომიტეტშია გადაყვანილი. ამის მიზეზი ის არის, რომ დაკავებულს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არ აღმოაჩნდა.

მამაკაცის დაკავებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიც ადასტურებს. (ნიუპოსტი)

# ვინ უწყობს ხელს დღევანდელი ხელისუფლებიდან ტერორისტების, ნარკოტიკების, იარაღის ტრანზიტს?

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

„ალიასთან" ინტერვიუში ჯონდი ბაღათურია იარაღის, ნარკოტიკებისა და ტერორისტების ტრანზიტზე საუბრობს. ვინ როგორ შეუწყო ამ ყველაფერს ხელი, რომ უკონტროლო შავი ტრაფიკი განხორციელებულიყო? ვიდრე ჯონდი ბაღათურია ამ თემებზე საუბრობდა, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი მინდია ჯანელიძე ქვეყნის მოსახლეობას აწყნარებდა, რომ საქართველოდან სირიაში წამსვლელთა რაოდენობა შემცირდა. თუმცა, მეორე მხრივ, მინდია ჯანელიძე ჟურნალისტების კითხვას, რამდენი აქვს ხელფასი, პასუხობს, რომ არ იცის. მეტიც, ის „რუსთავი 2"-ის კამერის დანახვაზე ისე გავარდა, დაცვაც კი ვერ დაეწია. ამას ჰქვია ცინიზმი და თავხედობა ჯანელიძის მხრიდან. ხელფასი რამდენი გაქვთ, ის „არ იცით" და საქართველოდან ისლამურ სახელმწიფოში წამსვლელ მებრძოლთა რაოდენობას როგორ დაითვლით, ბატონო მინდია?!. თქვენ როგორ უნდა განდოთ საქართველოს უსაფრთხოება და კრიზისების მართვა მაშინ, როცა 13 ივნისის სტიქიის შემდეგ გვარწმუნებდით, რომ ზოოპარკიდან გამოქცეული ცხოველები თბილისის ქუჩებში არ დადიან, მშვიდად იძინეთო და დღისით-მზისით გავეშებულმა ვეფხვმა „ლაგუნა ვერას" ტერიტორიაზე მამაკაცი დაგლიჯა. ამ კაცმა ძალიან მყუდრო თავშესაფარი მოძებნა, როგორც ჩანს, იმდენ ფულს იღებს, ვერ ითვლის... ეს არის თავხედობა თქვენი მხრიდან, იმიტომ რომ ჩვენ გაფინანსებთ და იმის ღირსადაც არ გვთვლით, ანგარიში ჩაგვაბაროთ, ამ ფულის სანაცვლოდ რას აკეთებთ.

ძვირფასო საზოგადოება, ადამიანი, რომელიც კრიზისების მართვის საბჭოს მართავს, გვატყუებს და უსაქმურობაში „აიდიფაის" მონაცემით სახელფასო დანამატის სახით 4775 ლარს იღებს. მინდია ჯანელიძის ყოველთვიური შემოსავალი 7975 ლარია. ჯანელიძე, ახლა თუ მაინც გაიგე, რამდენი გაქვს ხელფასი?!. აქ რაოდენობაზე კი არ არის საუბარი, არამედ საუბარია შესრულებული სამუშაოს ხარისხზე. ვეფხვის თავდასხმისგან ვერ იცავთ ხალხს და თქვენ ისლამური ხალიფატის ტერორისტებისგან დაგვიცავთ?!.

**ახლა კი მივუბრუნდეთ ჩვენს რესპონდენტს... „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია აცხადებს:**

– დიდი ხანია საქართველოს ხელისუფლებების ხელშეწყობით, ზოგ შემთხვევაში მათი უნიათობით, ქვეყანა გადაიქცა იარაღის, ნარკოტიკებისა და ტერორისტების ტრანზიტად. ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების თეთრი სახლის ადმინისტრაციის ანგარიშში მოხსენება არაერთხელ გაკეთდა. ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ საზღვრები პრაქტიკულად უკონტროლო ყოფილიყო. ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირებმა გაუღეს კარი ტერორიზმს. ასევე, საქართველოს ტერიტორიაზე იარაღისა და ნარკოტიკის უკონტროლო შემოსვლას და ტრანზიტს. დეტალებს ახლა ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი რამ შემიძლია გითხრათ, რომ დღემდე მიმდინარეობს შავი ტრაფიკის ხელშეწყობა და საზოგადოებას გავაგებინებ, ვინ და როგორ უწყობს ამას ხელს...

**— წინა ხელისუფლების პირობებში რომ ხდებოდა ასეთი რამ, ეს ვიცოდით, მაგრამ ახლა თქვენ სკანდალურ განცხადებას აკეთებთ იმ ფონზე, რაც მსოფლიოში ხდება. ამიტომ დააკონკრეტეთ, ვინ უწყობს ხელს დღევანდელი ხელისუფლებიდან ტერორისტების, ნარკოტიკების, იარაღის ტრანზიტს?**

– მე ხელთ მაქვს დოკუმენტი და ახლა გვარ-სახელებს ვერ გეტყვით, მაგრამ ხელშეწყობილია ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლების მხრიდან. ჩვენი მოსახლეობა პრაქტიკულად მთლიანად დაუცველია, ღმერთმა ნუ ქნას და დღეს ისლამური ხალიფატის ტერორისტებს რომ თავს დაგვესხან, ამ ხელისუფლებას საშუალება არა აქვს პრევენციული ზომების გასატარებლად ხელოვნურად მოშლილი კონტროლის გამო. ქვეყანა გაძეძგილია სხვადასხვა ტიპის იარაღით, ნარკოტიკებითა და საეჭვო ხალხით. ისინი საქართველოს მოქალაქეები არ არიან.

**უსაფრთხოების სამსახურმა რაც არ უნდა მოინდომოს, ვერაფერს იზამს, რადგან ეს ტრანზიტი დაკანონებულია. ამის შესახებ სპეცსამსახურები ინფორმირებულები არიან, ალბათ. მალე ორ დოკუმენტს წარვადგენ და მიხვდებით, რომ საქართველო აიძულეს, კარები გაეღო ამ ხალხისთვის, რაც, ჩემი აზრით, ღალატია.**

**— ვინ აიძულა საქართველოს ხელისუფლება, ამ გზით წასულიყო, ამერიკელებმა?**

– ერთი რამ ფაქტია, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები საქართველოში თავისუფლად დათარეშობენ, განსაკუთრებით აგრესიულად და ნეგატიურად მოქმედებენ თურქული სპეცსამსახურები ფულით, შანტაჟის გზით და ა.შ.

**— თქვენ კონკრეტული დეტალების გამჟღავნებისგან თავს იკავებთ, მაგრამ არის ეს იმ გზის გაგრძელება, რასაც წინა ხელისუფლება სჩადიოდა? ბევრი ირიბი მტკიცებულებაა იმის შესახებ, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი იარაღს ყიდდა ტერორისტებზე. ამბობენ, ამ საქმეში ჩართული იყო სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია. ის, რომ ამერიკელები საქართველოს ნარკოტრანზიტის გამო შეშფოთებას გამოთქვამდნენ 2006 წელს, ამაზე ძალიან ბევრს წერდნენ ამერიკელები, მას შემდეგ არაფერი შეიცვალა?**

– ის, რომ ყოფილი ხელისუფლების წევრები მონაწილეობდნენ იარაღის კონტრაბანდაში, ეს საკითხი გასკდა, თუმცა მარტო ჩვენი მთავრობის წევრები არ მონაწილეობდნენ. შეერთებულ შტატებში ეს საქმე ისე გასკდა, რომ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ამაზე ფედერალური ბიურო გამოძიებას აწარმოებდა, მაგრამ ეს საქმე ჩაიფარცხა და ყველაფერი დარჩა თავის ადგილზე. მაქვს ინფორმაცია, რომ ზოგიერთმა იარაღისა და ნარკოტრაფიკის ხელშეწყობა განაახლა. ასე რომ, სიტუაცია რთულია, მოსახლეობამ ეს უნდა იცოდეს, როცა მთავრობა ვერ და არ აკონტროლებს სიტუაციას, ხალხმა უნდა იცოდეს რეალობა და მოითხოვოს ხელისუფლების გაკონტროლება.

**შუა პარიზში მიდის ომი ტერორისტებთან და ერთი კვარტალი ვერ აიღეს ფრანგულმა სპეცსამსახურებმა, ჯარმა, ჩვენ კი ყურისძირში ვართ სირიასთან, 950 კმ გვაშორებს, ჩათვალეთ, რომ ცეცხლის რკალი გვარტყია და აქ რომ რამე მოხდეს, თქვენ წარმოიდგინეთ, რა დაგვემართება. 2008 წელს ჩვენ ვნახეთ დამფრთხალი ხელისუფლება და სოროებში ჩამძვრალი მთავრობა, რიგები რომ დააყენეს წითელ ხიდთან. მე არ მინდა ჩემს ქვეყანას საფრთხე დაემუქროს, მაპატიეთ, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ხელისუფლება საფრთხის შემთხვევაში ხალხს გადაეფარება.**

მათ ჩვენ უნდა შეგვიქმნან დაცვის მექანიზმები, საზღვრების დაცვა, რომელიც დარღვეულია.

**— „უკრაინული ვიკილიკსი" ავრცელებს ინფორმაციას, რომ ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, საწვრთნელ ბაზებზე გადიან წვრთნებს სამხედროები, რომლებიც სირიაში საბრძოლველად უნდა გადაისროლონ, „ვიკილიკსმა" სააკაშვილისა და მაკკეინის საუბრის სტენოგრამა გამოაქვეყნა, სადაც მაკკეინი ეუბნება, რომ ოპერაციის შემდეგ მას შეუძლია, ეს ბიჭები საქართველოში თავისი მიზნებისთვის გამოიყენოს.**

– ამ საქმის გამოძიებით უნდა დაკავდეს საქართველოს შესაბამისი სამსახურები, დღეს ტერორიზმის საფრთხე მსოფლიოში ყველას შეეხო, არ გამოვრიცხავ, რომ ამ საკითხით მარტო საქართველოს ხელისუფლება კი არა, სხვა ქვეყნის ხელისუფლებებიც დაინტერესდნენ. ზოგიერთი ქვეყნის ხელისუფლებას, ვინც ამ საქმეზე თვალს ხუჭავდა დღეს მოუწევს თვალის გახელა და სიმართლისთვის თვალებში ჩახედვა. რა თქმა უნდა, მიშასნაირები გაიჭყლიტებიან, ვინც ტერორისტებთან პირდაპირ თუ ირიბ კავშირში არიან. ცხადია, თუ ამ საქმეზე გამოძიება დაიწყო.

**— თქვენ დააანონსეთ, რომ იწყებთ საპროტესტო აქციებს, აპირებთ, გაერთიანდეთ „პატრიოტთა ალიანსთან"? მეორე კვირა დაიწყო და ხელისუფლებას რეაქცია არ აქვს... რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

– თუ მთლად ასე ცუდად არის ჩვენი ხელისუფლების საქმე, რომ ვერ ხვდება, რატომ შიმშილობს „პატრიოტთა ალიანსი" და მისი მხარდამჭერები, ეს კიდევ უარესია. უბრალოდ, არ უნდათ, სიმართლეს თვალი გაუსწორონ, სინამდვილეში ეს ხალხი შიმშილობს იმის გამო, რომ ხელისუფლებამ შუალედური არჩევნები საგარეჯოში უნამუსოდ გააყალბა. ირმა ინაშვილმა რეალურად მოიგო არჩევნები საგარეჯოში, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ" გააკეთა ის, რასაც „ნაცმოძრაობა" აკეთებდა და უხეშად გამოსტაცა გამარჯვება ინაშვილს. მათი მოთხოვნაა, არჩევნების გამყალბებლები დაისაჯონ, გამყალბებელი მინისტრები აგულაშვილი და ხიდაშელი არა მარტო პოლიტიკურად უნდა დაისაჯონ, მეტიც, თინა ხიდაშელის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს. აქციის მონაწილეები მოითხოვენ საარჩევნო რეფორმას, რომ 2016 წლის არჩევნებზე იგივე არ განმეორდეს. ასეთი უხეში გაყალბების ფორმების საშუალება კოლექტიურ ხიდაშლებს მისცა მახინჯმა საარჩევნო კოდექსმა, ამიტომ სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს საარჩევნო რეფორმა.

**ერთი ინაშვილის პარლამენტში არშესვლის გამო ხელისუფლებამ რა იკადრა და ხომ წარმოგიდგენიათ, როცა ძალაუფლების საკითხი დადგება, 2016 წელს ესენი რას იკადრებენ. პოლიტიკოსები შევეჩვიეთ ერთმანეთთან წესების გარეშე ბრძოლას, მაგრამ ხიდაშელს ვეკითხები, ხალხს პატივს რატომ არ სცემ?!. ამიტომ, ჩვენ მხარს დავუჭერთ „პატრიოტთა ალიანსს", ჩვენ არ ვართ ამ აქციის ორგანიზატორები, მაგრამ „ქართული დასი" ორგანიზებას გაუწევს საპროტესტო აქციების დასაწყისს.**



**მინდია ჯანელიძე ჟურნალისტების კითხვას, რამდენი აქვს ხელფასი, პასუხობს, რომ არ იცის. მეტიც, ის „რუსთავი 2"-ის კამერის დანახვაზე ისე გავარდა, დაცვაც კი ვერ დაეწია. ამას ჰქვია ცინიზმი და თავხედობა ჯანელიძის მხრიდან. ხელფასი რამდენი გაქვთ, ის „არ იცით" და საქართველოდან ისლამურ სახელმწიფოში წამსვლელ მებრძოლთა რაოდენობას როგორ დაითვლით, ბატონო მინდია?!.**

**თქვენ როგორ უნდა განდოთ საქართველოს უსაფრთხოება და კრიზისების მართვა მაშინ, როცა 13 ივნისის სტიქიის შემდეგ გვარწმუნებდით, რომ ზოოპარკიდან გამოქცეული ცხოველები თბილისის ქუჩებში არ დადიან, მშვიდად იძინეთო და დღისით-მზისით გავეშებულმა ვეფხვმა „ლაგუნა ვერას" ტერიტორიაზე მამაკაცი დაგლიჯა. ამ კაცმა ძალიან მყუდრო თავშესაფარი მოძებნა, როგორც ჩანს, იმდენ ფულს იღებს, ვერ ითვლის...**

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „კულტურის სამინისტრომ რა დაიცვა ასეთი, რომ 15-ჯერ გაიზარდეს პირადი ანაზღაურება!"



ცოტნე გამსახურდია პრემიების საკითხთან დაკავშირებით „ფეისბუკში" სტატუსს აქვეყნებს:

– ჩემი ერთი ახლობლის მამა კომუნისტების დროს სამშენებლო ტრესტის მმართველი იყო. ერთ წელს აშენებდა სახინკლეებს, მეორე წელს გადააკეთებდა სახაშეებად, მესამეს – სალობიეებად და ქე იყო ასე... პრემიები არა, დანამატებიო! რა მადა აქვთ, ბიჯოს!

როგორ მაინტერესებს, აი, მაგალითად, კულტურის სამინისტრომ რა დაიცვა ასეთი და გააკეთა აქ, რომ 15-ჯერ, გაიგეთ, 15-ჯერ(!!!) გაიზარდეს პირადი ანაზღაურება! (news.ge)

## „ჯანელიძის თავდაჯერებულობას შეეწირა კაცი და ქალაქის ცენტრში ვეფხვმა შეჭამა"



„კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის" თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი, უსაფრთხოებისა და კრიზისების საბჭოს თავმჯდომარის განცხადებას ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით უნდობლობას უცხადებს. ზაალ კასრელიშვილი მინდია ჯანელიძის ირგვლივ განვითარებულ სკანდალს იხსენებს, რა დროსაც 13 ივნისის სტიქიის დროს, ზოოპარკიდან გაქცეულმა ცხოველმა ადამიანი დაგლიჯა.

– ძალიან კარგია, რომ ჩვენს ქვეყანას საფრთხე არ ემუქრება და ძალიან კარგია, რომ ჩვენს ქვეყანაში ტერაქტები არ არის მოსალოდნელი, მაგრამ მინდია ჯანელიძის განცხადებების ჩვენ არ გვჯერა. მინდია ჯანელიძის თავდაჯერებულობას შეეწირა კაცი და ქალაქის ცენტრში ვეფხვმა შეჭამა, 21-ე საუკუნეში დღისით, მზისით. რაც შეეხება ძალოვანი უწყებების სხვა წარმომადგენლებს, ჩვენ დიდი სიამოვნებით მოვისმენდით მათ განცხადებებს და ცნობად მივიღებდით. მინდია ჯანელიძის განცხადებებს უნდობლობას ვუცხადებთ. ვფიქრობ, რომ ვითარება ძალიან იძაბება ჩვენს შემოგარენში, თურქეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. ჩვენი ორგანიზაცია, რა თქმა უნდა, მუშაობს სიტუაციის განეიტრალებაზე. სამწუხაროდ, ჩვენ მინდია ჯანელიძის ცოდნა, მისი კავშირები და მისი გავლენები და შესაძლებლობები არსად არ შეგვხვედრია როგორც უსაფრთხოების სპეციალისტისა. რის საფუძველზე აკეთებს ამ განცხადებებს და რას ეყრდნობა, ვერ გეტყვით არ ვიცი, – განაცხადა ზაალ კასრელიშვილმა. (პირველი რადიო)

## დავით თევზაძე: საქართველო, შესაძლოა, ტერორისტების „ეფექტური“ დარტყმის ობიექტი აღმოჩნდეს



თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე საფრანგეთში მომხდარ ტერაქტებს და მოსალოდნელ საფრთხეებს გამოეხმაურა:

„ეს ომია, უბრალოდ, ასეთი ფორმით მიმდინარეობს. არის ადამიანების გარკვეული ჯგუფი, რომელსაც სურს, პოლიტიკური კონტროლი დაამყაროს ადამიანებზე, სივრცეზე. მათ სურთ, „ისლამური სახელმწიფო“ მსოფლიოს საზოგადოებამ აღიაროს. ტერორი ეს არის იარაღი იმის ხელში, ვინც გაცილებით სუსტია. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აქტიურად არის ჩართული სამშვიდობო ოპერაციებში – ავღანეთსა და ცენტრალურ აფრიკაში. ამიტომ, შესაძლებელია, რომ საქართველო, როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კოალიციის შემადგენელი ნაწილი, ტერორისტული თავდასხმის სამიზნე გახდეს. იყო მოლოდინი, რომ დარტყმები მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე განხორციელდებოდა და ეს ასეც მოხდა. მათ კარგად ესმით სამხედრო სტრატეგიის ანაბანა. ისინი დაარტყამენ იქ, სადაც კოალიციის ყველაზე სუსტი რგოლია, ამ ერთიანობაში ყველაზე სუსტი რგოლი საქართველოა, ამიტომ მოსალოდნელია, რომ საქართველო ტერორისტების „ეფექტური“ დარტყმის ობიექტი გახდეს“, – განაცხადა დავით თევზაძემ.

მისი თქმით, ბოლო 3-4 წლის მანძილზე განვითარებული მოვლენებით, ადვილად პროგნოზირებადი იყო ის მოვლენები, რომელიც დღეს ვითარდება. მისი განცხადებით, სირია საქართველოსგან ისე შორს არ არის, რომ იქ განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოზე არ იმოქმედოს. თავდაცვის ყოფილი მინისტრი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, საქართველოს საზღვრებზე კონტროლი გამკაცრდეს.

თევზაძე კანცელარიასთან მიმდინარე შიმშილობის აქციასაც შეეხო:

„ცუდია, რომ საქმე შიმშილობამდე მივიდა. ეს მდგომარეობა გამწვავდება, რადგან ისინი შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებენ. აქ არ არის მთავარი, სწორია თუ არა, რომ შიმშილობენ, მთავარია, რომ ადამიანები მიზანმიმართულად ზიანს აყენებენ საკუთარ ჯანმრთელობას და მინიმუმ იმსახურებენ იმას, რომ მათ ადამიანურად მოეპყრან. 21-ე საუკუნეში ადამიანებს შიმშილობისას თავზე არ უნდა აწვიმდეთ, ხელისუფლებამ მათ შესაბამისი პირობები უნდა შეუქმნას. არც ამდენი დღე სჭირდებოდა იმას, რომ იქ სასწრაფო დახმარების მორიგეობა დანიშნულიყო. ძალიან ცუდია, რომ დიალოგზე წასვლა სისუსტედ აღიქმება. დიალოგზე წასვლა სისუსტე არ არის", — განაცხადა თევზაძემ. (kvira.ge)



## პატრიოტთა ალიანსი შიმშილობის აქციას განაგრძობს და 21 ნოემბერს შეკრების ჩატარებას გეგმავს




„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წევრები მინისტრების გადადგომისა და საარჩევნო გარემოს შეცვლის მოთხოვნით მთავრობის კანცელარიის წინ შიმშილობის აქციას განაგრძობენ და ამავე ადგილას შაბათს, 21 ნოემბერს, 15:00 საათზე საპროტესტო აქციის ჩატარებას გეგმავენ.

აქციის მონაწილეები ასევე აცხადებდნენ, რომ დამაკმაყოფილებელია იმ 4 მოშიმშილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც 17 ნოემბერს შეუძლოდ გახდნენ და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ესენი არიან, ემზარ კვიციანი, ადა მარშანია, ლალი ხუციშვილი და მანანა აბუსერიძე.

ირმა ინაშვილის განმარტებით:

„შიმშილობა არ არის კავშირში თინათინ ხიდაშელის და აგულაშვილის პერსონასთან, დიდი პატივი იქნება მათთვის, 100-ზე მეტმა კაცმა რომ იშიმშილოს. ეს არის მოთხოვნების ერთ-ერთი კომპონენტი, თვითონ მოშიმშილეები პროტესტის ამ უკიდურეს ფორმას მიმართავენ საარჩევნო გარემოს შეცვლის მიზნით. თორემ, თინა ხიდაშელს და აგულაშვილს ჩვენ შიმშილობის გარეშეც მოვერევით“. – განაცხადა ინაშვილმა. (netgazeti.ge)

## ესტონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავი გერმანიაში ავარიულად დაეშვა




ფრანკფურტიდან ტალინის მიმართულებით მიმავალი ავიაკომპანია „ლუფთჰანზას" თვითმფრინავი ბერლინის „თეგელის“ აეროპორტში ავარიულად დაეშვა.

უცხოური მედიის ინფორმაციით, ინციდენტის მიზეზი მფრინავის კაბინაში საქარე მინაზე გაჩენილი ნაპრალი გახდა.

ბორტზე 150 ადამიანთან ერთად ესტონეთის პრეზიდენტი ტოომას ჰენდრიკ ილვესი იმყოფებოდა, რომელიც შვეიცარიიდან, სამშობლოში ბრუნდებოდა. იგი ციურიხის უნივერსიტეტში სიმპოზიუმს ესწრებოდა. (kvira.ge)



## „ან როგორ იღვიძებთ და გული როგორ არ გაგისკდებათ, ათასობით ლარიან ხელფასს რომ იღებთ ამ გაჭირვებულ ქვეყანაში“



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ელისაბედ ვეკუა „ფეისბუკში“ სტატუსს აქვეყნებს:

– 2015 წლის 17 ნოემბერი, დღის, დაახლოებით, 13:35 საათი. საფრანგეთის საელჩოში წასასვლელად, ბარათაშვილის ქუჩის ავტობუსების გაჩერებაზე ველოდები 31 ნომერს. ჩემ გვერდით ქალბატონი დგას. შევხედე. ნათელი სახის, ცისფერთვალება ქალბატონია (ჩემზე, ალბათ, 5-7-იოდე წლით უფროსი), ნატანჯი, ოდნავ დაღვრემილი, თბილი და კეთილი სახის გამომეტყველებით. ქალბატონმა ჩანთიდან ამოღებული პლასტმასის ბოთლიდან წყალი მოსვა და თითქოს მომიბოდიშაო, მეუბნება: „ალერგია მაქვს, ყელიც მიშრება, წყალი თუ არ მოვსვი...“, გავაწყვეტინე – „რა უჭირს, მერე, უნდა დალიოთ, აბა რაა“. გაირკვა, რომ ისიც 31-ს ელოდება. ქალბატონმა საუბარი განაგრძო, თავის ყოფაზე მიყვებოდა, მძიმე და მწარე ყოფაზე... მეც ყურადღებით ვუსმენდი და შიგადაშიგ იმით შევაწყვეტინებდი, რომ ვცდილობდი, სიტყვით მაინც შემემსუბუქებინა მისი ტვირთის სიმძიმე... ავტობუსში ავედით, ორი ბილეთი ავიღე და ერთი ქალბატონს გადავეცი. იწყინა – „რატომ შეწუხდითო“. არ მიყვარს, მადლობას რომ მიხდიან და ყურადღების გადასატანად უცებ მეუღლეზე ვკითხე. „სამი წელია ჩაწოლილია ლოგინად, წამოდგომაც კი არ შეუძლია, მე თვითონ როგორ ავად ვარ, მაგრამ რა ვქნა, ისიც ხომ ბავშვივით მოსავლელიაო“.

თითქოს გულში რაღაც ჩამწყდა – „მეც ვუვლიდი ჩაწოლილებს და ვიცი, ეგ რა მძიმეა-მეთქი“...

მეუბნება – „1000 ქულა მაქვს სოციალურში და ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი ყოფა მექნებაო“... მე ყურადღებით ვუსმენდი. ცოტა ხანში მეუბნება – „ამ გაჩერებაზე უნდა ჩამოვიდე, ამ ბილეთს კი შევინახავ, თქვენს სამახსოვროდ (და ბილეთს ჯიბეში იდებს), კარგი ქალი ჩანხართ და სანთელს რომ დავანთებ, თქვენს სახელს მოვიხსენიებ“.

„დიდი მადლობა, მეც მოგიხსენიებთ, ქალბატონო თამარ“, – ვუპასუხე და ჩემში, შიგნით გავმწარდი, გავმწარდი მერიის, საკრებულოს, პარლამენტის წევრებისა და თუ კიდევ ვინმეა, ვისაც პასუხი მოეთხოვება საქართველოს მოქალაქის კეთილდღეობაზე, ყველაზე გავმწარდი. როგორ მინდოდა, იმ წუთს ყველა ესენი ჩემს წინაშე მდგარიყვნენ და სიმწრით მეკითხა: „როგორ ხართ ცოცხალი, ისეთი გაუბედურებული ადამიანები რომ გყავთ ქვეყანაში, რომ მე – ომის უბედურებაგამოვლილ და შემდეგ 23 წლის უსახლკაროდ „ნაცხოვრებ“ ადამიანსაც კი მისი საცოდაობით გული ამეწვა-მეთქი? ამ გაუბედურებული ხალხის ხმებით და ხარჯზე რომ სამიოდე წელში აიწყობთ ხოლმე ცხოვრებას, ერთხელ მაინც როგორ ვერ იცლით მათ მოსასმენად? განა რა უნდათ, რას ითხოვენ ისეთს? მხოლოდ თანაგრძნობით ვუსმენდი, მეტი არაფერი გამიკეთებია და მითხრა: „სანთელს რომ ავანთებ, თქვენს სახელს მოვიხსენიებო". მხოლოდ მოვუსმინე და „შენზე ვილოცებო“, – მითხრა.

თქვენ, თქვენ კი? თქვენ ან როგორ იძინებთ, ან, ღმერთმა სულ კარგად გამყოფოთ, მარა ან როგორ ილვიძებთ და გული როგორ არ გაგისკდებათ ათასობით ლარიან ხელფასს რომ იღებთ ამ გაჭირვებულ ქვეყანაში და მერე კიდევ პრემიებსაც რომ წაიღებთ სახლში? ვინ ხართ, საიდან ხართ, რა რჯულისა ხართ, ქართველები არ ხართ?.. (news.ge)

## პარიზის ტერაქტების მთავარი ორგანიზატორი მოკლულია



პარიზის ტერაქტების ორგანიზებაში ბრალდებული აბდელ-ჰამიდ აბაუდი მოკლულია. ინფორმაციას ამის შესახებ „ინდეპენდენტი“ ავრცელებს.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ის პარიზში, სან-დენიში ჩატარებული რეიდის დროს მოკლეს. აბდელჰამიდ აბაუდი 27 წლის იყო.

აბაუდის მოკვლის შესახებ წერენ სხვა მედიასაშუალებებიც, მათ შორისაა „ვაშინგტონ პოსტიც“, რომელიც ახალ ამბავს სამართალდამცველებზე დაყრდნობით ავრცელებს. (news.ge)

## „უსაფრთხოების საბჭო არის შექმნილი მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მთავრობამ არ იაროს უშიშროების საბჭოზე“



ახალი პოლიტიკური ცენტრის წარმომადგენელი ზურაბ ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს არ აქვს უნარი, გამოწვევებს გაუმკლავდეს.

– უსაფრთხოების საბჭო, ზოგადად, არის შექმნილი მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მთავრობამ არ იაროს უშიშროების საბჭოზე, რომელიც არსებობდა. იმის გამო, რომ არის პირადი დაპირისპირება პრეზიდენტ მარგველაშვილთან. ეს საბჭო გადაქცეულია იმ ადამიანების დასაქმების ადგილად, რომელთაც რეალურად, არანაირი ფუნქცია არ აქვთ და არც არაფერს არ აკეთებენ. თუ ნახავთ შემადგენლობას, ძალიან ნათლად ჩანს, რომ იქ არიან გადაყვანილი ადამიანები, რომლებსაც რაღაც პირადი დამსახურებები აქვთ ამ ხელისუფლებასთან მიმართებაში და უბრალოდ შეყარეს ახლა ყველა ერთად საბჭოში და უხდიან ძალიან მაღალ ხელფასებს და შემდეგ დანამატებს. ეს არის და ეს.

საუბარი იმაზე, რომ ამ საბჭომ შეიძლება რამე რეალურად გადაწყვიტოს და რაღაც გამოწვევებს გაუმკლავდეს, არის უბრალოდ ილუზია და ზღაპარი, – განაცხადა ჯაფარიძემ. (news.ge)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# საეჭვოა ის, რომ რატომღაც ერთდროულად დადუმდნენ პრემიერი, თამაზ მექიაური და ის დეპუტატები, ვინც ეროვნულ და კომერციულ ბანკებს „თავზე ახურავდა“

16 ნოემბრის „ალიაში“ (№174) გამოვაქვეყნეთ სტატია სათაურით: „ფინანსთა სამინისტრო მოსახლეობას კომერციული ბანკების სასარგებლოდ ვალებს ჰკიდებს“! სადაც საუბარი იყო საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვება-რეალიზაციაზე და იმაზეც, როგორ მიაქვთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან კომერციულ ბაკებს მილიონების სანაცვლოდ 11,506 პროცენტი ყოველწლიურად. შეგახსენებთ ერთ-ერთ ბოლო მაგალითს: 2015 წლის 11 ნოემბერს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 336-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. ამ, ერთი შეხედვით, „უწყინარ“ ინფორმაციაში თითქოს ისეთი არაფერია, თითქოს ფინანსთა სამინისტრომ, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ფასიანი ქაღალდები გამოიტანა, გაყიდა და მორჩა, ხეირი ვნახეთ. არადა, ყველა ნორმალურმა ეკონომისტმა იცის, რომ ეს არის სესხის აღება კომერციული ბანკებიდან.

რა მოხდა შემდეგ? აუქციონში მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 27 500 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 11 პროცენტით, მაქსიმალური — 11,830 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 11,506 პროცენტი განისაზღვრა. აქ პირდაპირ გვეუბნებიან, ამჯერად მხოლოდ 10 მილიონი ლარის ფასიანი ქაღალდები გავყიდეთ, 1 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან, ანუ თქვენი ჯიბიდან, საშუალოდ, 11,506 პროცენტი უნდა ვიხადოთო. 10 მილიონი ლარი „სემიჩკის“ ფულია (ან ყავის ზოგიერთ სამინისტროში), რეალურად კი, წლების მანძილზე, აქ საუბარია (საერთო ჯამში) მილიარდებზე. მაგალითად, მიმდინარე წელს უკვე აღებულია 419 მილიონი ლარი. ეტყობა, წლის ბოლომდე ნახევარ მილიარდამდე აიყვანენ. 2014 წელს აიღეს 394 მილიონი, 2013 წელს შედარებით ცოტა იყო — 140 მილიონი, 2012 წელს — 100 მილიონი, 2011 წელს (სააკაშვილის დროს) — 250 მილიონი. ხშირად ციფრები უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე პასუხისმგებელი პირები — აქედანაც ძალიან კარგად ჩანს, რომ სააკაშვილსაც არაუშავდა, კაი ფულს აკეთებინებდა კომერციულ ბანკებს, მერე ახალმა ხელისუფლებამ დოზა შეამცირა, ახლა კი, მოსვლიდან მესამე წელს, ეს სქემა მაგრად აამუშავა. სქემა მარტივია: ფინანსთა სამინისტრო უშვებს ფასიან ქაღალდებს, ამას ყიდულობენ კომერციული ბანკები, ფული ითვლება სესხად, ხოლო ძირი თანხა და თითქმის 12 პროცენტი 1 წლის განმავლობაში იფარება ბიუჯეტიდან. ეს მაშინ, როცა ჩვენ ყოველდღიურად ჩაგვჩიჩინებენ, რომ გადასახადები პატიოსნად უნდა ვიხადოთ, რომ ქვეყანა წელში გასწორდეს. ასევე გვეუბნებიან, ბიუჯეტის შევსების პრობლემა არ არსებობს, პირიქით, 1 მილიარდი უნდა გავაჩეროთ, რათა თანხების ხარჯვა თანაბარი იყოს და ლარი კიდევ უფრო არ გაუფასურდესო.

ბუნებრივია, ჩვენ ამ თემაზე ფინანსთა სამინისტროს კომენტარი გვაინტერესებდა, მაგრამ გაზეთის კეთების მომენტში ვერ გვიპასუხეს, გაზეთის გამოსვლიდან მეორე დღეს კი, **როგორც ამ უწყების პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, თეა ბეგიაშვილმა გვითხრა, სჯობდა, რამდენიმე დღე მოგვეცადა და სტატია მათ მიერ მოწოდებული პასუხის შემდეგ გამოგვექვეყნებინა. ჩვენ არ მოვიცადეთ და ვფიქრობთ, სამართლიანადაც, რადგან პასუხი, რომელიც 2 დღის შემდეგ წერილობით მივიღეთ, ნამდვილად არ ჰგავს ამ დროში დაწერილს, ანუ მისი გამოგზავნა, სულ რაღაც, 10 წუთში იყო შესაძლებელი (სტილი დაცულია):**

*„თქვენი შეკითხვის პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წელს სახელმწიფო საშინაო ვალდებულებების ზრდა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრულია 315 მლნ ლარით და არა ნახევარი მილიარდით. რაც შეეხება ფასიანი ქაღალდების ემისიას, იგი წარმოადგენს როგორც სავალუტო რისკს მოკლებულ, ისე არა ინფლაციურ დაფინანსების წყაროს. მიმდინარე წელმა გვაჩვენა თუ რა რისკის შემცველია უცხოური ვალუტით სესხება. იმისათვის, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში არსებობდეს ადგილობრივი ვალუტით სესხების შესაძლებლობა, საჭიროა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება. ამ მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია რიგი ნაბიჯები, რის მისაღწევადაც საჭიროა ბრუნვაში არსებული ფასიანი ქაღალდების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს მაკროეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მოხდა თავდაპირველად დაგეგმილი ემისიის მოცულობის შემცირება, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით სახელმწიფო საშინაო ვალის წმინდა ზრდა 200 მლნ ლარით განისაზღვრა. შემდგომ წლებში დაგეგმილია ფასიანი ქაღალდების გამოშვების ზრდის ტენდენციის შენარჩუნება, რაც პერსპექტივაში შეამცირებს შესაძლო საგარეო შოკების გავლენას სახელმწიფო ვალის მოცულობასა და მომსახურებაზე“.*

ესე იგი, ამ პასუხით გვეუბნებიან, თქვენ არც საგარეო ვალის შესახებ იცით რამე, არც საშინაო ვალის შესახებ და არც გრანტებზე გსმენიათ რამეო. ჰაი, ჰაი, რომ იმაზე მეტი გვსმენია, ვიდრე ფინანსთა სამინისტროში ზოგიერთებმა იციან. კი, ბატონო, ვიცით, რომ სახელმწიფოს ასეთი ზომების გატარების უფლება აქვს, ამ ხერხს ხშირად მიმართავენ სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ ამ დოზით და ამხელა პროცენტით? ჩვენ აქ ვლაპარაკობთ არა ფორმაზე, არამედ შინაარსზე.

როგორც ეკონომიკის ექსპერტი, ლია ელიავა ამბობდა წინა სტატიაში, მას აეჭვებს ვადა, ანუ 1 წელიწადი: „როდესაც ვადა ხანგრძლივია, ესე იგი, ფინანსთა სამინისტროს ეს ფული სჭირდება ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად. დიახ, ჩვენ ბიუჯეტიდან ვიხდით უზარმაზარ პროცენტებს და ამაზე კომერციულ ბანკებს აქვთ ძალიან დიდი მოთხოვნილება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ფასიანი ქაღალდებით თვითონვე ვაჭრობენ და იღებენ საკმაოდ მსუყე შემოსავალს. უმეტეს შემთხვევაში ვაჭრობენ უცხოელებთან. კომერციული ბანკების მიერ შესყიდული ფასიანი ქაღალდების დიდი ნაწილი გადადის უცხოელების ხელში. არადა, 12 პროცენტი ძალიან მაღალია, რეფინანსირებისას რომ უტოლდებოდეს, 5-7 პროცენტს, კიდევ გასაგები იქნებოდა“.

მეტიც, რაკი ფინანსთა სამინისტრო გვიგზავნის ზერელე პასუხს, მაშინ ჩვენ იმას ვიზამთ, რომ უფრო მაგრად „დავამყნობთ“ იგივე ფინანსთა სამინისტროს თავისავე ტყუილზე: პირველი – თუკი საშინაო ვალდებულებების ზრდა განსაზღვრულია 315 მილიონით, მაშინ რატომღა აიღო ბიუჯეტმა სესხად ამ დროისთვის 419 მილიონი ლარი? მეორე – თუკი უცხოური სესხები გაცილებით იაფპროცენტიანია, მაშინ ჩვენ რატომ ვიხდით 12 პროცენტს? დოლარს ფინანსთა სამინისტროც გაურბის და ამტკიცებს, ემანდ ლარი თუ გაუფასურდა, ზარალში ვვარდებით, უფრო მეტი რისკიაო. მესამე – თუკი შენ არ გეპიტნავება დოლარში აღებული სესხი, მაშინ მე რატომღა მტენიან კომერციული ბანკები უცხოურ ვალუტას, რატომ არ მაძლევენ ლარში?

ლია ელიავას თქმით, შიდა ვალი უნდა აეღოთ, მაქსიმუმ, 140 მილიონი, ახლა აღებული აქვთ 400 მილიონზე მეტი:

„ფინანსთა სამინისტრომ პრაქტიკულად გადააჭარბა დაგეგმილს. ეს ზერელე პასუხია, არაფრის მთქმელი. მეორე მომენტი ეხება სახაზინო ობლიგაციებს – არსებობს პრემიერ-მინისტრის დადგენილება, რომლის თანახმადაც, უნდა გამოეშვათ 200 მილიონის ობლიგაციები, უკვე გამოშვებულია 400 მილიონის. ესეც კითხვის ნიშანია, რატომ ზრდიან ლიმიტს თვითნებურად? იგივე ობლიგაციები უნდა ყოფილიყო 2 და 5-წლიანი, მხოლოდ ერთხელ გამოუშვეს 10-წლიანი. კი, ბატონო, როცა შიდა ვალს იღებ კომერციული ბანკებიდან, ეს არაინფლაციური პროცესია, მაგრამ ეს პროცესი, როგორც ვხედავთ, საერთოდ არ ზის ლიმიტის ფორმებში“.

კიდევ ერთხელ განვმარტავთ: ჩვენ გვაეჭვებს ვადები, თანხის რაოდენობა და პროცენტი. გასაგებია, რომ საგარეო ვალი, ანუ უცხოურ ვალუტაში აღებული სესხი გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ისედაც ხომ ვზარალობთ, როცა კომერციულ ბანკებს ვუხდით ამხელა პროცენტებს? როგორც ქალბატონი ლია ამბობს, ეს არის ათმაგი პროცენტი:

„უცხოური სესხები არის 0,1 პროცენტი, ან 1 პროცენტი, ყველაზე ძვირია აზერბაიჯანული სესხი – 3 პროცენტი. შიდა სესხი კი 12 პროცენტი? ეს სასწაულია, რატომ? ძალიან ძვირია, ამდენი ფულის გადაყრა ნამდვილად არ ღირს, მით უმეტეს, საქმე გვაქვს ფასიან ქაღალდებთან, ანუ 100-პროცენტიან გარანტიასთან“.

გაიგონეთ, ხალხო? თურმე 1-პროცენტიანი უცხოური სესხი დიდ რისკებთანაა დაკავშირებული, ხოლო საშინაო 12-პროცენტიანი ურისკო ყოფილა.

ეკონომიკის ექსპერტი, დემურ გიორხელიძე „ალიასთან“ საუბარში ამბობს, რომ წელს (და არამხოლოდ წელს) ჩვენმა ბიუჯეტმა და ფინანსთა სამინისტრომ „მშვენივრად“ იმუშავა კომერციულ ბანკებზე, ამიტომაცაა, რომ ისინი არნახულ მოგებაზე გადიან:

„ჩემთვის საერთოდ გაუგებარია, რატომ იღებენ ამხელა სესხებს, როცა გვეუბნებიან, ბიუჯეტში ყველაფერი კარგადაა, შემოსავლების მხრივ პრობლემები არ გვაქვსო? ესე იგი, გამოდის, თითქმის 60 მილიონი მხოლოდ კომერციულ ბანკებს გავატანეთ მომსახურებაში, ფანტასტიკური პროცენტია, ვერაფერს იტყვი. შედეგიც სახეზეა, ამ წელსაც ბრწყინვალე მოგებით ამთავრებენ ჩვენი ბანკები. ღირს თუ არა ასეთი ძვირი სესხის აღება საბიუჯეტო ხარჯებისთვის, ეს უკვე ცალკე ეჭვებსა და კითხვებს ბადებს“.

დიახ, კითხვა ბევრია, მაგრამ ყველა დუმს, ან ზერელე პასუხებს იძლევა. მაგალითად, ჩვენ წინა სტატიის მომზადებისას პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, თამაზ მეჭიაურსაც მივმართეთ, რომელიც წესით იმ უწყების მაკონტროლებელია, ვისაც ქვეყნის ფინანსები აბარია. მაგრამ ის საერთოდ უარს ამბობს კომენტარის გაკეთებაზე. ეს ის შემთხვევაა, როცა დუმილი ოქრო ნამდვილად არ არის. მეტიც, ვინც დღეს დუმს, ის, სავარაუდოდ, ან დანაშაულს ფარავს, ან კიდევ შეკრულია იმ დაჯგუფებასთან, ვინც ბიუჯეტიდან ხალხის ხარჯზე მილიონებს შოულობს. და კიდევ, საეჭვოა ის, რომ რატომღაც ერთდროულად დადუმდნენ პრემიერი, თამაზ მეჭიაური და ის დეპუტატები, ვინც ეროვნულ და კომერციულ ბანკებს „თავზე ახურავდა“.

თუ ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ფინანსთა სამინისტროს კიდევ გაუჩნდება პასუხის გაცემის სურვილი, ნება იბოძოს და ყველა საკითხი დააკონკრეტოს, თან ახსნა-განმარტებითი ბარათიც მოაყოლოს, აღებული სესხები რაში დაიხარჯა. ამის იმედი არ გვაქვს, მაგრამ მაინც.



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „გიორგი გაბუნიას სახელობის გამოქანების ათვლის წერტილი“ — ვინ და სად დაუდგა ძეგლი გიორგი გაბუნიას



თვალები არ გატყუებთ, ეს ნამდვილად ტელეჟურნალისტის ძეგლია, რომელიც „ბინა 18“-მა დაამზადებინა და წარწერაც გაუკეთა: „გიორგი გაბუნიას სახელობის გამოქანების ათვლის წერტილი“.

დავინტერესდით, რატომ გადაწყვიტეს გიორგი გაბუნიას ძეგლის დადგმა და ფაქოს დავუკავშირდით:

– ძეგლი მთაწმინდაზეა, ვიდეოც გადავიღეთ და მას მაყურებელი გადაცემაში ნახავს. ქალაქში არის სერიოზული პრობლემა. ხომ იცით გამონათქვამი, „მთაწმინდიდან გამოექანეო“, მაგრამ სინამდვილეში, არავინ იცის, კონკრეტულად რომელი წერტილიდან უნდა გამოექანოს და ჩვენ მოვნიშნეთ ეს წერტილი გიორგი გაბუნიას ძეგლის დადგმით, რომ არ დაიბნენ...

ვფიქრობ, „რუსთავი 2“-ისგან არანაირი რეაქცია არ მოჰყვება. არ არსებობს, რომ რაიმე თქვან. ასეთი სტრატეგია აქვთ, რომ „ბინა 18“-ზე არასდროს არაფერს ამბობენ. ჩვენც გვაწყობს ეს ამბავი და ვსარგებლობთ. ისე, ურიგო არ იქნებოდა, რამე რომ ეთქვათ.

არაფერი არაკორექტული ამაში არ არის. ეს, უბრალოდ, ხუმრობაა. ძალიან ხშირად ვეპატიჟებით სტუმრად გიორგი გაბუნიასაც, ვანო ჯავახიშვილსაც, მაგრამ ბოლო დროს „რუსთავი 2“-დან სტუმრად ჩვენს გადაცემაში არავის არ უშვებენ. ცოტა დავიჩაგრეთ ამ მხრივ. (fortuna.ge)...

## მეგრული ვინც იცის, ის გაიგებს, მაგრამ ნარმანიას კი ესმის საერთოდ, რას სთხოვენ?!




ჟურნალისტი ინგა გრიგოლია დედაქალაქის მერს „ფეისბუკის“ საშუალებით მეგრულად მიმართავს.

– სი დოიგურ, დივით ნარმანია... მეუ. ბიძია უდეშა სიხოლო მისვანჯ და ჩქი ხოლო დუგვოსვანჯე – ასე უფრო გაიგებს“, – წერს გრიგოლია „ფეისბუკში“. (news.ge)

**ვინც მეგრული არ იცით, აი, თურმე, რას წერს თბილისის მერს ინგა გრიგოლია:**

**„შენ მოგიკვდი, დავით ნარმანია... წადი, ბიძიკო, სახლში, შენც მოისვენე და ჩვენც მოგვასვენე“...**

**ისე, ამ ბოლო დროს დავით ნარმანია, ცოტა არ იყოს, აგრესიული გვეჩვენება — ყველა სახლში წასვლას სთხოვს და ბრაზდება, აბა, რა იქნება.**

**და ჩვენ აღარ გვეკითხება, როგორი გაბრაზებულები და გამწარებულები ვართ, დედაქალაქში რომ არაფერი კეთდება?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „უკან გაიყარეთ ნამგალი და ურო“ — ვახტანგ რჩეულიშვილს უცენზურო ლექსი მიუძღვნეს



ყოფილი დეპუტატი ვახტანგ რჩეულიშვილი „ფეისბუკში“ პოლიტიკაში ყოფნის პერიოდს და საქართველოს ძველ პოლიტიკოსებს იხსენებს. საზოგადოებას ის იმ უცენზურო ლექსის შესახებ ესაუბრება, რომელიც მას ყოფილმა დეპუტატმა, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა მიუძღვნა.

– ჯანსუღ ჩარკვიანი დეპუტატობისას კოლეგებს ხშირად გვიწერდა უცენზურო ლექსებს. მეც მომწერა „სოციალისტებზე“, რომელიც ასე მთავრდებოდა: „უკან გაიყარეთ ნამგალი და უროო“. იქვე, სესიაზე ვუპასუხე ლექსითვე: „ვინ რას იყრით ტრაქციაში, მოიკითხეთ ფრაქციაში“ (ჟვანია იყო მაშინ მმართველი პარტიის გენერალური მდივანი)...

შევარდნაძემ კი ერთხელ თავად წამიყვანა ნოდარ დუმბაძის იუბილეზე ხიდისთავში, სადაც ისე გამომათვრეს გურული ჭაჭით, რომ ოზურგეთის თეატრში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის მეგობრებად მოხსენიებისას შევარდნაძეს პირდაპირ დარბაზში ვკითხე: „რა ნიშნით ირჩევთ მეგობრებს, ბატონო ედუარდ?“ უხერხული მდგომარეობიდან თავად შევარდნაძემ გამომიყვანა: „მამათთან სიახლოვის ნიშნით“! არასოდეს დამავიწყდება ცნობილი ქართველი მოღვაწეები, რომელთანაც პოლიტიკამ შემახვედრა, – წერს ვახტანგ რჩეულიშვილი. (plus.kvira.ge)

**ეგრე, რა, ლექსების წერით, ნამგალზე და უროზე, ტრაკებზე და ყვავებზე რომ ფიქრობდნენ პარლამენტში და ახლაც არ იკლავენ ხალხზე ზრუნვით თავს, იმიტომაც ვართ გადასარევად.**

## მსოფლიო რაგბის ლეგენდა ჯონა მოულოდნელად გარდაიცვალა



მსოფლიო რაგბის ლეგენდა, ახალი ზელანდიელი ჯონა ლომუ 40 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა.

– ვადასტურებ, რომ ლომუ დილით გარდაიცვალა. ეს სრულიად მოულოდნელი იყო, ჯონა და მისი ოჯახი დიდი ბრიტანეთიდან წუხელ ღამით დაბრუნდნენ, – განაცხადა ოჯახის ახლობელმა ჯონ მეიჰიუმ.

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის გენერალური დირექტორი ლომუს სიკვდილს სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ გამოეხმაურა:

– შოკირებულები და ძალიან დამწუხრებულები ვართ ჯონა ლომუს უეცარი გარდაცვალებით.

რა გახდა ლეგენდარული სპორტსმენის გარდაცვალების მიზეზი, ჯერჯერობით არ კონკრეტდება. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

# თბილისელი „ჰაჭიკო“ — ძაღლი, რომელიც პატრონის საფლავს მეხუთე თვეა არ ტოვებს

ძაღლების ერთგულების შესახებ უამრავი ფაქტია ცნობილი: საქართველოში, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ისტორია სევდიანი დასასრულით, კეთილი დასასრულით...

ისინი ელოდებიან, ეჭიდებიან იმედს, ვერ წარმოუდგენიათ, რომ პატრონმა სულ მიატოვა... მათთვის დრო არაფერია, ისინი განშორების შემდეგ მთელი დარჩენილი სიცოცხლე იმ სითბოს, სიყვარულის, სიმყუდროვის დაბრუნების იმედით ცხოვრობენ, რაც მხოლოდ პატრონთან იყო...

ამბავი, რომელიც სოციალური ქსელით გავრცელდა, ასევე განსაკუთრებულია იმით, რომ საქართველოში, კერძოდ, თბილისში თითქოს ესმოდა ჩემი საუბარი, მისმენდა ჭკვიანი თვალებით. მესაფლავეებს ვეკითხებოდი ამ ძაღლის შესახებ. ზუსტი პასუხი ვერავისგან მოვისმინე, არავინ იცოდა, ვისი იყო, საიდან მოვიდა. მერე ერთმა მნახველმა მითხრა, მგონი, იმ ქალბატონის ძაღლია, სულ მაგ საფლავთან ვხედავო. ძაღლი რამდენიმეჯერ შევამჩნიე, როგორ იწვა იმ საფლავზე. აი, ასე გადავწყვიტე სურათის გადაღება. დაბეჯითებით ვერ მოგახსენებთ, რომ იქ მართლაც მისი პატრონია დასაფლავებული, მაგრამ დიდი ალბათობით ასე უნდა იყოს. არ ვარ წინააღმდეგი, თუკი ეს ისტორია ამ ცივ სამყაროში ოდნავ სითბოს შემოიტანს და ადამიანებს ცხოვრების

**— და თუ შეიჩვიეთ — წაიყვანთ სახლში?**

– ალბათ, ვერ წავიყვან... უკვე გაზრდილი კნუტი მყავს, რომელიც ვერაფრით ეგუება ძაღლებს. მას კი ნამდვილად ვერ შეველევი. თუმცა, დრო გვიჩვენებს, გამორიცხული არაფერია. ჯერჯერობით ვურთიერთობთ მე და ეს ძაღლი და ძალიან აზრიან არსებად მიმაჩნია.

**— ახლა რამე სახელს ეძახით?**

– თავიდან ვეძახდი ცუგას. თავიდან საერთოდ არ რეაგირებდა. ახლა უფრო რეაგირებს. ძაღლები ძალიან ჭკვიანები არიან. ადრე მყავდა ძაღლი „ბარსა“. ცოტაც და ლამის მათემატიკურ ამოცანებს ამოხსნიდა. ვერ ვხვდები,



ხდება.

ოთო ფანცულაიას მიერ გამოქვეყნებულ ფოტოს, რომელზეც ძაღლი ქალბატონის საფლავზე წევს, ძალიან თბილი კომენტარი ახლავს: „ძაღლი, რომელიც გარდაცვლილი პატრონის საფლავს რამდენიმე თვეა, არ შორდება. აქამდე ასეთი კადრი მხოლოდ ინტერნეტში თუ მქონდა ნანახი. იმდენად ხშირად ვხედავთ ერთმანეთს, რომ იმედია, მალე მე და ეს ძაღლი დავმეგობრდებით“.

სასაფლაოებზე სევდა დადის და სიჩუმეა... ერთი ახალგაზრდა იქ თავისი ძვირფასი ადამიანის საფლავს აკითხავდა და უეცრად, ერთ-ერთ საფლავთან ძაღლი შენიშნა... ის მშვიდად იწვა, თითქოს დროს აჩერებდა... ან სულაც აბრუნებდა, რომ მისთვის ძვირფასი ადამიანიც დაებრუნებინა... მას შემდეგ ოთოს ყოველ მისვლაზე ძაღლისთვის სასუსნავები მიაქვს, ეფერება, ესაუბრება კიდეც...

– მამაჩემი თებერვალში დავკრძალეთ. დაახლოებით ორ კვირაში, იქვე ახლოს, ერთი ქალბატონი დაასაფლავეს, სადაც დღეს ის ძაღლი დადის. ყოველი ასვლისას ვხედავდი. გამიჩნდა სურვილი, დავახლოებოდი. დაშინებული იყო. სასაფლაოა, ბევრი ადამიანი დადის და ყველა ერთნაირად არ ექცევა... აღდგომის დღეს ახლოს მივედი, დავუჯექი, ვესაუბრე. ადამიანური წვრილმანების უკეთ გაანალიზებაში დაეხმარება.

**— ხომ არ იცით, აკითხავს ვინმე ძაღლს? ვინ აჭმევს? რით არსებობს?**

– არავინ არ პატრონობს. არადა ძალიან კარგი და კონტაქტური ძაღლია. უმეტესობა ეუხეშება, ეშინიათ, აგდებენ... გუშინ მესაფლავეებს ვესაუბრე. მიპასუხეს – აი, ასე წევსო ამ საფლავზე და იქნებ წაიყვანოს ვინმემო... იგულისხმა, რომ ხელს უშლის მესაფლავეებს... არ აჭმევენ, ცხადია. ძაღლი იქვე ახლოს მდებარე ეკლესიის ეზოში შედის, სადაც კანტიკუნტად შემომსვლელი ათასში ერთხელ გადაუგდებს ლუკმას.

**— რომ თქვით, კონტაქტურიაო, როგორ შემოდის კონტაქტში, რაზე რეაგირებს?**

– მშვიდ საუბარზე არ გაგირბის, გაჩერდება და გიყურებს. მისი სახის პირდაპირ ვჯდები ხოლმე და ასე ვესაუბრები, როცა მარტო ავდივარ. თავს აწევს და მიყურებს არა იმისთვის, რომ რაღაც სასუსნავი გადავუგდო, არამედ (ასეთი შეგრძნება მაქვს) იმისთვის, რომ ვესაუბრო და მომისმინოს.

**— კიდეც შეგეჩვიათ, ალბათ...**

– შეჩვევაზე ვერაფერს მოგახსენებთ... კვირაში ერთხელ ავდივარ. ამ ხნის განმავლობაში ისევ სასტიკ რეალობაში უწევს ყოფნა და ბუნებრივია, უნდობლობა და შიში მაინც აქვს.

რატომ უყურებენ ადამიანები ძაღლებს, როგორც უბრალოდ ცხოველებს... ბევრი ძაღლი ბევრ ადამიანს სჯობს...

ადამიანი, რომელიც ასეთი ერთგული არსების ტკივილსა და მომავალს შეიგრძნობს, დარდს გაუქარვებს და სიცოცხლისკენ მოაბრუნებს – ძალიან ძლიერი უნდა იყოს და ისეთივე განსაკუთრებული, როგორიც ეს ძაღლი, რომელიც ვარკეთილის სასაფლაოზე თავის პატრონს ერთგულად ელოდება. ის კონტაქტურია, მოსიყვარულე და საოცრად ერთგული, იმსახურებს ბედნიერებას და ისეთ პატრონს, რომელიც მას უპატრონობას დაავიწყებს.

ხანდახან მხოლოდ გულისტკივილის გამოთქმა არ არის საკმარისი, მით უმეტეს მაშინ, როცა ადამიანებს შეგვიძლია, დავეხმაროთ ამ პატარას, გადაიტანოს ტკივილი და დაიწყოს ახალი, ბედნიერი ცხოვრება – ჩვენთან ერთად ჩვენს სახლში. ეს უერთგულესი არსება ნამდვილად იმსახურებს ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს იმ პატრონთან ერთად, რომელიც, ასევე, უერთგულებს და ძალიან შეიყვარებს.

ამ ისტორიას ჯერ არ აქვს დასასრული – მისი კეთილად დასრულება კი ყოველ ჩვენგანს შეუძლია! – თბილისელი „ჰაჩიკო“ ახალ მოსიყვარულე პატრონს და თბილ სახლს ელოდება! (zooclub.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მდინარე ძირულაში ფეხმძიმე ქალბატონის ცხედარი იპოვეს




სოფელ წევასთან მდინარე ძირულაში სამძებრო სამუშაოების შედეგად სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა 24 წლის ფეხმძიმე ქალბატონის ცხედარი იპოვეს.

ცნობისთვის, „ოპელის“ მარკის ავტომობილი, რომელშიც გარდაცვლილი ქალბატონი იმყოფებოდა, მდინარეში 17 ნოემბერს, გვიან ღამით, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გადავარდა.

ავარიის დროს მანქანაში, ფეხმძიმე ქალთან ერთად, კიდევ 2 მამაკაცი იმყოფებოდა, რომელთა გადარჩენა მაშველებმა შეძლეს.

ავარიის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. (ნიუპოსტი)

## მშვიდად, სულ ღიღინ-ღიღინით დაუყაჩაღებიათ „პროკრედიტ ბანკი“

თბილისში „პროკრედიტ ბანკის“ ფილიალი დააყაჩაღეს. შემთხვევა პეკინის გამზირზე მოხდა.

– ჯერ ზუსტად არ ვიცით, რა რაოდენობის თანხაა გატაცებული, უნდა აღვრიცხოთ. არავინ დაშავებულა, რაც მთავარია. ძარცვის პრო-



ცესმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. რამდენადაც ინფორმაცია მაქვს, მძარცველს იარაღი ჰქონდა, მაგრამ, სავარაუდოდ, ის ნამდვილი არ იყო, – განაცხადა ბანკის მარკეტინგის განყოფილების უფროსმა ნატო ბოჭორიშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა „პროკრედიტ ბანკის“ საქმეზე, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1983 წელს დაბადებული ვარლამ მ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. (mpress.ge)

**რა ყაჩაღობა, კაცო, „მშვიდ ვითარებაში ჩაიარა ძარცვამო“, ბანკის თანამშრომელი არ ამბობს? ხუმრობა-ხუმრობაში თუ „შემოეყაჩაღა“, ეგ სხვა საქმეა... ეს ხუმრობით, სერიოზულად კი აი, რა გვაინტერესებს — დაცვა ხომ ჰყავს ამ ბანკებს და მარტო მკაცრი მზერის იმედად არიან, თავდამსხმელებს რამე სერიოზული ვერ უნდა დაუპირისპირონ? ეეჰ, რა ვიცი, რა ვიცი...**

# რას ტყუის თბილისის მერი დავით ნარმანია, როცა 2016 წლის გაზრდილ ბიუჯეტზე

**„ასე, ასაქმებენ ამ ადამიანებს და მათთვის იხარჯება თანხა ჩვენივე გადახდილი გადასახადებიდან, თითქოს ვალი გვმართებს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების“**

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**„ალია“ უკვე წერდა, რომ თბილისის მერია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის ბიუჯეტს 10 მილიონ 400 ათასი ლარით ამცირებს, საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა მოვლა-შეკეთების ხარჯებს — 8 მილიონ 304 ათასით, ხოლო ტრანსპორტის განვითარების ბიუჯეტს — 2 მილიონ 272 ათასით.**

**დედაქალაქის მთავრობა ტრადიციას არ ღალატობს და მერია გაზრდილი ბიუჯეტის პირობებში, პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფის გასაზრდელად პოულობს თანხებს და ამ მიმართულებით ზრდის ბიუჯეტს. თუმცა ნარმანია ამბობს, რომ სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული ბიუჯეტია.**

**რას ტყუის თბილისის მერი დავით ნარმანია, როცა 2016 წლის გაზრდილ ბიუჯეტზე საუბრობს? ვის დასასაქმებლად იზრდება თბილისის ბიუჯეტში შრომის ანაზღაურებისთვის გათვლილი ხარჯები?**

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი, ლევან ხაბეიშვილი ესაუბრა:**

– თბილისის მერმა, ქალაქის 2016 წლის ბიუჯეტის საკითხზე განაცხადა, რომ მომავალ წელს ის 75 მილიონით გაიზრდება. დავინტერესდით, არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაში, საიდან შეიძლებოდა მოეტანა თბილისის მერს ეს 75 მილიონი ლარი. აღმოჩნდა შემდეგი რამ: 2015 წელს, ბიუჯეტი რომ დაიგეგმა, მთლიანობაში თანხამ შეადგინა – 736 მილიონი შემოსულობები და ამას ემატებოდა გასულ წელს აუთვისებელი 68 მილიონი. ეს, ჯამში, იყო 804 მილიონი.

2016 წლის ბიუჯეტი ასეა განსაზღვრული – შემოსულობებიდან მიღებულ 810 მილიონს დაემატება, საშუალოდ, ის 70 მილიონი ლარი, რასაც წელს ვერ აითვისებენ, ეს კი, საბოლოო ჯამში, გახდება 880 მილიონი.

გამოდის, რომ მერი ასე „ითვლის“ და ამ ლოგიკით ბიუჯეტი თითქოს იზრდება, თუმცა, აქაცაა გასათვალისწინებელი რამდენიმე ფაქტი და გარემოება:

პირველი – 2015 წელს ბიუჯეტი, მართალია, 804 მილიონი იყო, მაგრამ ვინაიდან, მთავრობამ თბილისის ბიუჯეტს რამდენჯერმე დაუმატა თანხა, საბოლოო რედაქციით, წლის ბოლოსთვის 920 მილიონ ლარზე მეტი მივიღეთ.

მეორე – 2014 წლის ბიუჯეტში, მხოლოდ შემოსულობები იყო 692 მილიონი ლარი. ამას ემატებოდა წინა წლის ნაშთი. ეს თანხა, ჯამში, დაახლოებით 740 მილიონ ლარს შეადგენდა. მაშინ დოლარის კურსი იყო მაქსიმუმ 1,7. გამოდის 2014 წლის ბიუჯეტი იყო 435 მილიონი დოლარი. დღევანდელი 880 მილიონი ლარი, ანუ შემოსულობები და სავარაუდო ნაშთი ერთად, 366 მილიონი დოლარია.

დასკვნა – 2014 წლის ბიუჯეტი იყო 435 მილიონი დოლარი. ეს რომ გადავიყვანოთ დღევანდელ კურსზე – 2.4, ბიუჯეტი მინიმუმ 1 მილიარდი უნდა იყოს! ასე რომ, როცა თბილისის მერი ბიუჯეტის მატებაზე საუბრობს, ჩვეულებრივ ტყუის. ესაა მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შეყრა.

საგულისხმოა, რომ ქალაქის ბიუჯეტის ათვისების პრობლემის წინაშე დგას მერია, მაშინ, როცა ის უარს ამბობს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე (გზას ვერ ნახავთ სალს, სადაც ადამიანი ნორმალურად გაივლის), სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარებაზე, რომლებიც შიმშილის ზღვარზე არიან, უმეტესი ნაწილი შიმშილობს კიდეც და ამ ყველაფრის პარალელურად ვხედავთ, რომ 70 მილიონი ლარის ათვისების პრობლემის წინაშე დგანან.

ერთადერთი, სადაც, ბიუჯეტის მიხედვით სიტუაციაა გაუმჯობესებული, ეს გახლავთ შრომის ანაზღაურება. რადგან დოლარი მყარდება, თანამდებობის პირებს დააკლდათ ლარები და გადაწყვიტეს, გაუზარდონ შემოსავალი. იმიტომ, რომ ახლა შარშანდელთან შედარებით, ბევრად მეტი ლარი სჭირდებათ დანამატებისა და პრემიებისთვის. შესაბამისად, შრომის ანაზღაურება გაზარდეს 7 მილიონი ლარით. ამის პარალელურად, 500 ერთეულით გაიზარდა მერიაში დასაქმებულთა რაოდენობაც. ეს არის იმის დადასტურება, რომ ქალაქის მერია წინასაარჩევნო პროცესშია შესული, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი აქტივისტისა და ბიძაშვილ-მამიდაშვილის დასაქმებას.

როცა ვსაუბრობთ, რომ მერიის საშტატო ნუსხა 500 ერთეულითაა გაზრდილი, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი რამ – სამაშველო სამსახური, რომელიც მერიის დაქვემდებარებაში იყო, თავიდან ბოლომდე გადავიდა შს სამინისტროს დაქვემდებარებაში. ანუ თანამშრომელთა რაოდენობა, ფაქტობრივად, გამოაკლდა მერიას. ამის პარალელურად გაზარდეს მერიაში დასაქმებულთა რაოდენობა.

**— რა მიმართულებით დაასაქმეს ეს ადამიანები და რეალურად რამდენად საჭირო იყო მათი რესურსი?**

– თუ ადრე გამგეობებში მუშაობდა ხელშეკრულებით აყვანილი 7-8 ადამიანი და მათი ხელფასი შეადგენდა 980 ლარს, დღეს, ხელშეკრულებით აყვანილი მინიმუმ 18 ადამიანი ჰყავთ, რომელთა ხელფასიც შეადგენს 1400 ლარს. ამ ხელშეკრულებებით აჰყავთ ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერ აზარებენ გამოცდებს და რჩებიან კონკურსგარეთ. ასე, ასაქმებენ ამ ადამიანებს და მათთვის იხარჯება თანხა ჩვენივე გადახდილი გადასახადებიდან, თითქოს ვალი გვმართებს თითოეულ მოქალაქეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების. თითოეულ რაიონში ათეულობით საშტატო ერთეულია დამატებული ამ პრინციპით.

ამ გამგეობებში კიდევ საოცრებები ხდება. რა ბედოვლათებიც გვყვანან ესენი, ამ 15-მა თვემაც კარგად აჩვენა. მაგალითად, გლდანის გამგეობაში მოხდა ასეთი რამ. ეს ადამიანი დიდი სიამაყით უსვამს ხოლმე ხაზს იმას, რომ იურისტია. ჰოდა, ამ იურისტი ადამიანის გამგეობამ ხელშეკრულება გააფორმა ტექნიკის მაღაზია „ალტასთან“ და იყიდა 10 ცალი ლეპტოპი. ეს ლეპტოპები რად უნდათ, როცა მოხმარებაც კი არ იციან, მართლა გაუგებარია ჩემთვის. ხუმრობის გარეშე ვამბობ ამას. მოკლედ, იყიდეს ეს 10 ცალი ლეპტოპი, გამოაქვეყნეს დოკუმენტაცია. ამ ხელშეკრულებაში ვკითხულობთ ასეთ რამეს: შემსყიდველია გლდანის რაიონის გამგეობა – გამგებელი – ნოდარ თავთუხაძე. ეს ადამიანი, გამგებელი გახლდათ ორი წლის წინათ, ხალხო. ჩამოდიხარ ხელშეკრულების ბოლოს და ამ ხელშეკრულებას ხელს აწერს, ამჟამინდელი გამგებელი, ბატონი ბესიკ ქარცივაძე. ახლა, თავად განსაზღვრეთ – რამდენად შეიძლება ამ ადამიანების იმედად ყოფნა. ამ ადამიანების მიერ დაგეგმილი ბიუჯეტიდან ელის ხალხი სიკეთეს?

შევიტყვეთ, რომ სახელმწიფო აუდიტია შესული გლდანისა და სამგორის გამგეობაში და იკვლევენ არსებულ სიტუაციას. ველოდებით დასკვნას და დიდი ალბათობით, ეს დასკვნა იქნება კატასტროფული. სადაც ის ვერ გაურკვევიათ, ვინ არის დღეს გამგებელი, რას უნდა ველოდოთ?! ისიც არაა გამორიცხული, რომ არ იციან ხელშეკრულებების შედგენა და აკოპირებენ. დგანან და მარტო ციფრებს ცვლიან და ეს 10 ლეპტოპი რად უნდა ერთ გამგეობას, მართლა ვერ ვიგებ, რა. დოკუმენტების შექმნა მაგათ არ იციან და მარტო სათამაშოდ თუ იყიდეს, სათამაშოდ უკეთესი საშუალებები არსებობს – ტელეფონი და აიპადი, მაგით დაკავდნენ. ამ ხელშეკრულებას მარტო გამგებელი ხომ არ ნახავდა, გაივლიდა მინიმუმ 3-4 ადამიანს და ვერავინ ვერ შენიშნა.

საინტერესოა ბიუჯეტით გაწერილი ძაღლების თავშესაფრის ამბავი. ხომ გახსოვთ, შარშან რაც ხდებოდა – 3 მილიონ 200 ათასი ლარით რომ იყო განსაზღვრული და თანხის თითქმის მთელი ნაწილი არა ძაღლების, არამედ თანამშრომლების შენახვაზე რომ იყო მიმართული. მომავალი წლის ბიუჯეტში თანამშრომელთა რაოდენობა უცვლელია, მაგრამ გაზარდეს ბიუჯეტი ნახევარი მილიონით და ეს ნახევარი მილიონი, ისევ არა ძაღლებისთვისაა გათვალისწინებული, არამედ დაამატეს სამივლინებო, დანამატების, პრემიებისა და ტექნიკის საკითხს. საინტერესოა, ვინ არის ამ სამსახურში დასაქმებული ის 132 ადამიანი, რომელთა შენახვას ასე გულმოდგინედ ცდილობს თბილისის მერია? იმიტომ, რომ ყველას გვახსოვს 13 ივნისი, როცა მანდ დასაქმებული არც ერთი ადამიანი არსად გამოჩენილა, მიუხედავად იმისა, რომ მათაც ეხებოდათ თუნდაც ცხოველების საკითხი. ამის მერე, ისევ ამხელა ბიუჯეტი იხარჯება ამათთვის და ამათ კიდევ ერთი ადგილი არ აუწევიათ იმ კრიტიკული სიტუაციაში, ამ უმოქმედობის გამო ვინმე კი არ დაისაჯა, ბიუჯეტს უზრდიან და სასათბურე პირობებში ამყოფებენ.

სამწუხაროა, რომ ტრადიცია გრძელდება და მომავალი წლის მთელი ბიუჯეტი კვლავ გარკვეული პირების პირად კეთილდღეობაზეა მორგებული.

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ვვარაუდობ, რომ ევროპული გაფართოება კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება“



პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის ვარაუდით, 13 ნოემბერს საფრანგეთში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ, ევროპის გაფართოების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება.

რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ევროპის გაფართოების საკითხი დამოკიდებულია იმაზე, როგორ ჩამოყალიბდება დასავლეთი 13 ნოემბერს, საფრანგეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ.

– ჯერ თვითონ დასავლეთს არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია – უნდა გააგრძელოს გაფართოება, თუ უნდა შეიკრას და ყველა ქვეყანამ თავის თავს მოუაროს. მე მაინც ვვარაუდობ, რომ ევროპული გაფართოება არ დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ, თუ მას სხვა რამეებმა არ შეუშალა ხელი. არ დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ იმიტომ, რომ, რაც უფრო გაფართოვდება ევროპა, ამ ტიპის ტერორისტული ანკლავების არსებობა და მათი გეოგრაფია მით უფრო შემცირდება, – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

პოლიტოლოგის განმარტებით, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით დასავლეთი მეტ პარტნიორებს დაუწყებს ძებნას, ოღონდ მიგრაციულ პროცესს შეზღუდავს, მაშინ საქართველოს ევროსტრუქტურებში შესვლა უფრო დაჩქარდება.

– მაგალითად, აქამდე ევროკავშირი დისტანციას იჭერდა თურქეთთან. ის რომ თურქეთს უარს ეუბნებოდნენ ინტეგრაციაზე, შეიძლება შეცდომა იყოს, მით უმეტეს, რომ მიგრაციის მხრივ თურქეთიდან საკმაოდ დიდი რაოდენობაა ევროპაში მოხვედრილი. ასე რომ, პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა: პოლიტიკური თვალსაზრისით უარი უთხრეს და მიგრაციის მხრივ ნახევარი ევროპა თურქი ეთნოსითაა დასახლებული. თუკი ეს შეტრიალდება და პოლიტიკური თვალსაზრისით დასავლეთი მეტ პარტნიორებს დაუწყებს ძებნას, ოღონდ შეზღუდავს მიგრაციულ პროცესს, მაშინ სავარაუდოა, რომ ჩვენ ევროსტრუქტურებში შესვლასაც, პირიქით, უფრო დააჩქარებენ და არ დააყოვნებენ, მაგრამ, თუკი ტერაქტის შიში გავრცელდა პოლიტიკურ გაფართოებაზეც, მაშინ ჩვენც გაგვაჩერებენ. ეს ისევ და ისევ ევროპელების რაციონალიზმზეა დამოკიდებული, – განაცხადა საყვარელიძემ.

(pia.ge)

## „მართალია, რომ მყავს საყვარელი ქალი და ის თეა წულუკიანია“



ჟურნალისტი და ტელეწამყვანი გიორგი გაბუნია გადაცემა „კოქტეილში“ თავისი საყვარელი ქალის ვინაობას ასახელებს.

წამყვანის კითხვაზე, მართალი იყო თუ არა გავრცელებული ამბავი, რომ გიორგი გაბუნიას ფარული შეყვარებული ჰყავს და ის პოლიტიკოსი ქალია, ჟურნალისტმა უპასუხა:

– კი, მართალია. შემიძლია, გითხრათ, ვინც არის. ეს არის თეა წულუკიანი.

(etanews.ge)



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ნიგერიაში ტერაქტებს 50 ადამიანი ემსხვერპლა



ნიგერიის ქალაქ კანოში მომხდარი ორმაგი ტერაქტების შედეგად 50 ადამიანი დაიღუპა და ათეულობით დაშავდა. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „სინხუა“ ავრცელებს.

სააგენტოს მონაცემებით, ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა ქალმა ასაფეთქებელი მოწყობილობები ქალაქის მობილურების ბაზარში აამოქმედა. ჯერჯერობით სხვა დეტალების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. (ინტერპრესნიუსი)

## „ისლამურ სახელმწიფოს“ დაქვემდებარებული გამოცემა იმ ასაფეთქებლის ფოტოს აქვეყნებს, რომელიც რუსულ თვითმფრინავში აიტანეს




ტერორისტული დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოს“ დაქვემდებარებული ერთ-ერთი გამოცემა ასაფეთქებელი მოწყობილობის ფოტოს აქვეყნებს, რომელზეც დართულია კომენტარი, რომ სწორედ აღნიშნული მოწყობილობა აიტანეს რუსულ თვითმფრინავ „**A321**“-ში, რომელიც ეგვიპტეში ჩამოვარდა.

„ბიბისის“ განმარტებით, ფოტოზე ჩანს ერთ-ერთი სასმელის რკინის ქილა, რომელზეც ასაფეთქებლის დეტონატორია მიმაგრებული.

ბოევიკებმა ასევე გამოაქვეყნეს იმ პასპორტების ფოტოები, რომლებიც თვითმფრინავის ბორტზე მყოფ მგზავრებს ეკუთვნოდათ. ამ დროისთვის სპეციალისტები ფოტომასალების ნამდვილობას იკვლევენ.

ჯიჰადისტები აცხადებენ, რომ თავდაპირველად დასავლური თვითმფრინავის აფეთქებას გეგმავდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთმა სირიაში სამხედრო კამპანია დაიწყო, გადაიფიქრეს.

31 ოქტომბერს სინაის ნახევარკუნძულზე რუსული თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად 224 ადამიანი დაიღუპა. რუსეთმა მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მიანიჭა და ტერორისტების შესახებ ინფორმაციის სანაცვლოდ 50 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ჯილდოც დააწესა. (ინტერპრესნიუსი)

# „ლევან მურუსიძე იყო სააკაშვილის ტერორისტული მანქანის ერთ-ერთი დამხმარე ძალა“ — სანდრო გირგვლიანის საქმე და მურუსიძის სამართალი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, ლევან მურუსიძე არაერთ გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს და მათ შორის არის შსს-ს მაღალჩინოსნების მიერ ოქროყანის სასაფლაოზე მოკლული სანდრო გირგვლიანის გახმაურებული საქმე. სწორედ, ლევან მურუსიძე იყო უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე, რომლის მონაწილეობითაც უზენაესმა სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებულებს სასჯელი შეუმცირა.

მურუსიძის მიერ გამოტანილი განაჩენის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა შეეცვალა და უნდა გაეზიარებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ დაზარალებულ ლევან ბუხაიძის ყველა ჩვენება არასარწმუნოა და მისი არც ერთი ჩვენება არ უნდა გაეზიარებინა.

2007 წელს 27 ივლისის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სიძის წინააღმდეგ დაწყებულ საზოგადოებრივ პროტესტს და აცხადებს, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს ყველა იმ მოსამართლის წინააღმდეგ, რომლებმაც სანდრო გირგვლიანის საქმის განხილვის პროცესში პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს.

**— საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ალანიამ, აფციაურმა და ლაჭყავამ სანდრო გირგვლიანი და ლევან ბუხაიძე ავტომანქანაში ჩასვეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობითა და მუქარით. მით უფრო, ამაში მონაწილეობა არ მიუღია მიხეილ ბიბილურიძეს, რომელიც ოქროყანაში მოგვიანებით მივიდა. ამიტომ მსჯავრდადებულებს არ ჩაუდენიათ სსკ-ის 143-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, — ამ განჩინებას ხელს აწერს ლევან მურუსიძე, ეს განჩინება გახდა საფუძველი იმისა, რომ ბრალდებულებს სასჯელი შეუმცირდათ. როგორ ფიქრობთ, პოლიტიკურად მოტივირებული იყო მურუსიძის განჩინება?**

– სანდროს მკვლელებს სასჯელი შეუმცირა იმიტომ, რომ დაავალეს. თქვენ როგორ ფიქრობთ, თვითონ ხომ არ აუჩუყდებოდა გული ამ ადამიანს?! ფაქტობრივად, ეს ადამიანი იყო სააკაშვილის ტერორისტული მანქანის ერთ-ერთი დამხმარე ძალა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ასეთ გარიგებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მკვლელებისთვის სასჯელის შემცირებაზე დადგენილებას ნორმალური ადამიანი არ მიიღებდა.

**— ანუ, გიორგი ჩემიას მსგავსად, მურუსიძემაც ხელისუფლების დაკვეთა შეასრულა?**

– რასაკვირველია, მურუსიძემაც შეასრულა დაკვეთა და ეს ფაქტია. როდესაც ადამიანი ასეთ ქმედებებს სჩადის, არ შეიძლება ისევ იყოს თანამდებობაზე და მით უმეტეს ხდებოდეს მისი დაწინაურება. იცით, რომ ამ განჩინებაზე ძალიან მწვავე იყო სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც თქვა, რომ სანდრო გირგვლიანის საქმეში არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლება იყო ჩართული, არამედ სასამართლო ხელისუფლებაც.

**— ეს განაჩენი უნდა გახდეს ამ მოსამართლეების კარიერის დასასრული?**

– არა მარტო კარიერის დასასრული უნდა იყოს, არამედ მათ პასუხი უნდა მოეთხოვოთ იმაზე, რაც ჩაიდინეს. ამ საქმეში ისეთი რამ გააკეთეს მოსამართლეებმა, რომ მათ წინააღმდეგ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. გახსოვთ, რა ხდებოდა სანდროს პროცესზე, რა განუკითხაობა იყო მაშინ. ალბათ, გახსოვთ ისიც, ეს ყაჩაღები თავიანთი ბრიგადებით რომ მოდიოდნენ, როგორ იგინებოდნენ და მოსამართლე ამ ყველაფერზე გაჩუმებული იყო. თქვენ როგორ ფიქრობთ, ასეთი მოსამართლე არ არის პასუხისგებაში მისაცემი?

**— თუმცა რეალობა აბსოლუტურად სხვა არის, არც ერთი ეს მოსამართლე არა თუ პასუხისგებაშია მიცემული, არამედ იგივე მურუსიძე არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი და ახლა მოსამართლეობისთვის ემზადება...**

– ეს პიროვნება კი არ უნდა დაწინაურდეს, არამედ პასუხი უნდა აგოს იმაზე, რაც გააკეთა. სასამართლო ხელისუფლებაში ასეთი ადამიანების დატოვება დანაშაულია. მურუსიძის განაჩენი დაფიქრებისა და განსჯის საგანი უნდა გახდეს. ძალიან მაღელვებს ეს საკითხი. ჩვენ რომ უკმაყოფილების გრძნობა გვაქვს, ეს ყველასთვის ცხადია, რადგან სანდროს საქმეში სამართლიანობა ნაწილობრივ განხორციელდა. თითქოს ყველაფერი გამოძიე-





საქმეთა პალატამ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ იური ტყეშელაშვილი, ზაზა მეიშვილი და ლევან მურუსიძე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდადებულების – გერონტი ალანიას, ავთანდილ აფციაურის, ალექსანდრე ლაჭყავასა და მიხეილ ბიბილურიძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დავით ხაჟალიას, დაზარალებულ ლევან ბუხაიძისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე ირინა ენუქიძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 დეკემბრის განაჩენზე.

ლევან მურუსიძის ხელმოწერილ საბოლოო განჩინების მიხედვით, დაზარალებულ ლევან ბუხაიძისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე ირინა ენუქიძის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

„თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 დეკემბრის განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ს 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში ალანიას, აფციაურის, ბიბილურიძისა და ლაჭყავას მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა“, – მურუსიძის ამ გადაწყვეტილებით, საკასაციო სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებულებს სასჯელი შეუმცირა.

სანდრო გირგვლიანის ბიძა, გოგი ენუქიძე ამობს, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება მიიღეს.

გოგი ენუქიძე უერთდება მურუ-

ბულია, უბრალოდ, არ არიან დასჯილი ის პირები, რომლებიც დასასჯელები არიან. ზოგიერთებს ბრალს ვერ უმტკიცებენ. ამიტომ, შეუძლებელია, კმაყოფილი ვიყოთ იმ შედეგით, რა შედეგიც გამოილო ამ გამოძიების პროცესმა.

**— რატომ ვერ უმტკიცებენ ბრალს, მით უმეტეს, რომ საქმეში ოლეგ მელნიკოვის აღიარებითი ჩვენებაა?**

– როგორც ჩანს, არ აქვთ საკმარისი მტკიცებულება, რომ ბრალი წაუყენონ იმავე თაკო სალაყაიას, გურამ დონაძესა და სხვებს. ადამიანმა ყველაფერი აღიარა და მისი ჩვენების საფუძველზე ვერავინ დაიჭირეს. რა აზრი ჰქონდა მაშინ მელნიკოვის ციხიდან გამოშვებას, თუ იმ შედეგს ვერ მიაღწევდნენ, რა შედეგისთვის მელნიკოვი ალაპარაკეს? ველოდით, რომ მელნიკოვის აღიარების შემდეგ ის პირები დაისჯებოდნენ, ვისზეც მელნიკოვმა ილაპარაკა, მაგრამ ასე არ მოხდა. არ მოხდა იმიტომ, რომ ნაწილი გაქცეულია საქართველოდან, მაგრამ ისინი, ვინც საქართველოში არიან, დღემდე არ დაუკავებიათ. (for.ge)

**რას ამბობთ, კაცო, მონა მოსამართლეებს ხმას ხომ ვერ გავცემთ — საერთაშორისო ასპარეზზე ხომ თავი მოგვეჭრება მერე?!**

**რას ვიზამთ, ასე ამბობს ოცნებაახდენილი მანანა კობახიძე — დასავლელმა მეგობრებმა გვითხრეს, მოსამართლეებს ბუზი არ აუფრინოთო. ჰოდა, ვითმენთ ურთმელიძესაც, მურუსიძესაც და როგორი მამაძაღლური გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღონ, კრინტიც არ უნდა დავძრათ — ასე მოითხოვს დემოკრატია, ჩემო ბატონო, აბაა?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## სერგო თეთრაძის საქმეზე ირაკლი ალასანია მოწმის სახით არ დაიკითხება



პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის საქმეზე ირაკლი ალასანიას მოწმის სახით დაკითხვის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. როგორც საქმის მოსამართლე ლელა შკუბულიანმა პროცესზე განმარტა, ბაჩო ახალაიას ადვოკატების შუამდგომლობა აღნიშნულ საქმეზე მოწმის სახით დაკითხულიყო თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია, არ დაკმაყოფილდა არასათანადო დასაბუთების გამო.

მოსამართლე შკუბულიანმა სერგო თეთრაძის საქმეზე არ დააკმაყოფილა ახალაიას ადვოკატების არც სხვა შუამდგომლობები. კერძოდ, ახალაიას ადვოკატები მოითხოვდნენ, შეწყვეტილიყო ახალაიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა, ასევე, საქმეში მტკიცებულების სახით დართულიყო ევროსაბჭოს რეზოლუცია, სადაც ადვოკატების თქმით, საუბარია, რომ აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული პატიმრობა ბაჩო ახალაიას მიმართ უკანონოა. მოსამართლემ აღნიშნული გადაწყვეტილებები საფუძვლის არარსებობითა და სათანადო დაუსაბუთებლობით ახსნა.

შემდეგი სასამართლო პროცესი, 21 იანვარს გაიმართება. (ინტერპრესნიუსი)

## პარიზის გარეუბანში ანტიტერორისტული ოპერაციის დროს 3 ტერორისტი მოკლეს და 5 დააკავეს



ბოლო მონაცემებით, პარიზის სენდენის გარეუბანში, ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში, მოკლულია 3 ტერორისტი და დაკავებულია 5 ადამიანი. დაჭრილია 4 პოლიციელი. პარიზის პროკურორმა ფრანსუა მოლენმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომლის თანახმადაც, დაღუპულთა შორის ერთი თვითმკვლელი ტერორისტი ქალია, რომელმაც შტურმისას თავი აიფეთქა.

ფრანსუა მოლენის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა 3 ტერორისტი ბინის შტურმისას დააკავეს, მათი ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. გარდა ამისა, სახლთან, სადაც ოპერაცია ჩატარდა, დააკავეს კიდევ 2 ადამიანი, აქედან ერთი ქალია.

პარიზის პოლიცია იტყობინება, რომ დაკავებულებს შორის იმ ბინის მეპატრონეა, სადაც პარიზის ტერაქტებთან კავშირში ეჭვმიტანილები იმალებოდნენ.

ანტიტერორისტული ოპერაციის დროს სამართალდამცველებმა ჟურნალისტებს აცნობეს, რომ მათი სამიზნე პარიზის ტერაქტების ორგანიზატორი, „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი აბდელჰამიდ აბაუდია, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, შეძლეს თუ არა სამართალდამცველებმა მისი დაკავება.

ფრანგული რადიოსადგური **RTL** იტყობინება, რომ ერთ-ერთმა ეჭვმიტანილმა რეიდის დროს მიმალვა მოახერხა. (ინტერპრესნიუსი)

# ვინ იმუშავებს დავით ნარმანიას გუნდში და ვინ „იზრუნებს“ დედაქალაქზე

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



დავით ნარმანიამ მერიის განთავისუფლებულ-დაფრენილი ჩინოვნიკების პოსტებზე ახალი კანდიდატურები წარადგინა, რამდენიმე დღეში კი მათ საკრებულოსაც წარუდგენს დასამტკიცებლად.

კულუარულად ვრცელდება ინფორმაციები, რომ თბილისის მთავრობის ახალი წევრების შერჩევაში ვიცე-მერი ლაშა აბაშიძე უშუალოდ მონაწილეობდა და ყველა კანდიდატურა უშუალოდ ბიძინა ივანიშვილთან არის შეთანხმებული.

აი, ვინ იმუშავებს დავით ნარმანიას გუნდში და ვინ „იზრუნებს“ დედაქალაქზე:

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური – გივი კუბლაშვილი; ზედამხედველობის საქალაქო სამსახური – გიორგი ბაგრატიონი; განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური – ირაკლი გვილავა; ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური – ნოდარ ჭიჭინაძე; ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური – ნინო სულხანიშვილი; რაც შეეხება ვაკის რაიონის გამგებლის ვაკანტურ თანამდებობას, ამ პოსტზე ნარმანიამ ნოდარ ტურძელაძის კანდიდატურა წარადგინა.

ვინ არიან ეს ადამიანები? საიდან მოდიან, რა გამოცდილება აქვთ და რამდენად შეესაბამებიან იმ თანამდებობებს, რომელზეც მათ საკრებულო, დიდი ალბათობით დაამტკიცებს? შეძლებენ თავიანთ საკურატორო სფეროში რაიმეს შეცვლას თუ წინამორბედების მსგავსად, რამდენიმე თვე უფერულად იმუშავებენ და მერე მათსავით პოსტებიდან გაიპარებიან?

**„ალიას“ ამ კითხვებს არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლის თაობის“ წარმომადგენელმა თორნიკე ბიკაშვილმა უპასუხა:**

– დასაწყისში ვიტყვი, რომ ეს ხალხი დავით ნარმანიას რჩეულნი არ არიან, თბილისის მერს საკადრო პოლიტიკას არავინ ეკითხება. ყველა კანდიდატურა ლაშა აბაშიძის ხელით ბიძინა ივანიშვილმა შეარჩია. ნინო სულხანიშვილი ადრე საჯარო სამსახურში მუშაობდა, ბოლოს – გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებში. ვიდრე ამ პოსტზე წარადგენდნენ, თავად ხელმძღვანელობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოხედვას“. მასზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია და წარმატებებს ვუსურვებ. ვიცი, რომ სადაც მუშაობდა, საქმეს აკეთებდა, პრინციპული ადამიანია. ამ წუთას, ერთადერთი კანდიდატია, რომლის შესახებაც, არანაირი უარყოფითი ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

ეკონომიკური სამსახურის უფროსად ნოდარ ჭიჭინაძე წარადგინეს. ეს ადამიანი, ბიძინა ივანიშვილის ტელეკომპანია „ჯიდიეს“-ზე, გადაცემა „20/30“-ში ექსპერტად გამოდიოდა ხშირად. ეს ერთ-ერთი იმ ექსპერტთაგანია, რომელსაც ივანიშვილი ნამდვილ ექსპერტად აღიარებს და არ ლანძღავს. ნოდარ ჭიჭინაძე ივანიშვილის ეკონომიკურ ხედვებს უსიტყვოდ იზიარებს. მოკლედ, ივანიშვილის ფავორიტია და ამიტომ ნიშნავენ ამ პოსტზე. გარდა ამისა, ნოდარ ჭიჭინაძეს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება საერთოდ არ აქვს. ის ბოლოს „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ („აფბას“) პრეზიდენტი იყო და ამ რანგში ექსპერტობდა.

გივი კუბლაშვილი ბიძინა ივანიშვილის კომპანია „ელიტა ბურჯის“ საწყობის გამგე იყო. არ ვიცი, ამ პოსტზე რა წარმატებები ჰქონდა კუბლაშვილს, მაგრამ ის ზუსტად ვიცი, რომ საწყობის გამგეს არ უნდა ანდო მილიონნახევრიანი ქალაქის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობა. კუბლაშვილს არანაირი შეხება არ ჰქონია გზების მოწყობასთან, ხიდების შენება-რეაბილიტაციასთან და იმ უამრავ საქმესთან, რასაც ეს სამსახური უნდა აკეთებდეს. არადა, ყველაზე დიდი პრობლემა თბილისში სწორედ კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით გვაქვს და ამ პოსტზე გამოცდილი, ამ სფეროში ღრმად ჩახედული ადამიანი უნდა დაენიშნათ. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ კეთილმოწყობის სამსახურს აქვს უზარმაზარი დაფინანსება, სხვადასხვა კომპანიებთან გამარტივებული წესით მრავალი კონტრაქტი ფორმდება, ტარდება მრავალმილიონიანი ტენდერები და მისი წინამორბედის, ავთანდილ სუდაძის დროს, არაერთი კორუფციული ტენდერისა და კონტრაქტის გაფორმების ფაქტი დაიდო. ამ სამსახურში დიდი ფული იშოვება, ეს ფაქტია. ამხელა ბიუჯეტს რომ აბარებ გამოუცდელ ადამიანს, ეს სიბრიყვეა. ყველამ ვიცით, რომ კეთილმოწყობის სამსახურის ტენდერებში, რამდენიმე კომპანიამ გაიმარჯვა, რომელთაც თბილისის სხვადასხვა უბნებში გზები უნდა დაეგოთ, სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა შეესრულებინათ. მათ მერიამ შესასრულებელი სამუშაოებისთვის თანხის ნაწილი, მილიონები წინასწარ გადაურიცხა. კომპანიებმა ქუჩები კი გადათხარეს, მაგრამ ვერც ასფალტი დააგეს და ვერც სხვა რამ გააკეთეს, მერია „გადააგდეს“ და ახლა მათგან წინასწარ გადარიცხული თანხების ამოღებას ეშურება მერია და ვეჭვობ, ეს მოახერხოს. გივი კუბლაშვილის დროს, ამგვარი ფაქტები თუ არ მომრავლდება, არც შემცირდება, რადგან ეს კაცი საქმის გაგებაში არ არის.

**— ზედამხედველობაში სამეფო გვარის წარმომადგენელს გვთავაზობენ...**

– აი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსად გიორგი ბაგრატიონის წარდგენა მართლა კურიოზია. ეს კაცი აქამდე „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელი იყო, რომლის ფუნქციაც თბილისის დასუფთავებაა. რამე გააკეთა ამ 1 წლის მანძილზე ამ პოსტზე ბაგრატიონმა? არც არაფერი! თბილისი ადრე პიარულად მაინც იყო სისუფთავის ქალაქი, დღეს ეს განცდაც აღარავის აქვს. ელემენტარულად, საკმარისი სანაგვე ურნები ვერ დადგა თბილისში გიორგი ბაგრატიონმა, ძველი ურნები ვერ გამოცვალა, რომლებიც დაშლილი ყრია თბილისში და თავად იქცა ანტისანიტარიის ბუდედ... ასევე, ამ ადამიანთან დაკავშირებით გვაქვს ინფორმაცია, რომ მას, სავარაუდოდ, ურთიერთობა აქვს „შავი სამყაროს“ წარმომადგენლებთან, ქურდებთან და ა.შ.

**— „შავი სამყაროს“ კონკრეტულად რომელ წარმომადგენლებთან და რა სახის ურთიერთობა?**

– ჩვენ ახლა ვაზუსტებთ, კონკრეტულად რომელ კრიმინალურ ავტორიტეტებთან ჰქონდა და აქვს კავშირი, სად რა კრიმინალურ გარჩევაში მონაწილეობდა და ამ ფაქტებს რომ მოვიძიებთ, დავდებთ. მამამისს საქართველოს მასშტაბით აქვს რესტორნებისა და კვების ობიექტების სერიოზული ბიზნესი, მილიონერია. ამხელა სამსახურს აბარებენ კაცს, რომელსაც, ვიმეორებ, მეტად საეჭვო კავშირები აქვს „შავ სამყაროსთან“ და თუ გეგი ნიჟარაძემ ზედამხედველობის სამსახური კორუფციის ბუდედ აქცია, გიორგი ბაგრატიონმა, შესაძლოა, „კრიმინალური ავტორიტეტების“ სათარეშოდ აქციოს.

რაც შეეხება ირაკლი გვილავას, ეს არის არაფრით გამორჩეული დეპუტატი საკრებულოში, „ქართული ოცნების“ პროპორციული სიის მე-9 ნომერი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. არჩევნებამდე ირაკლი გვილავა „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო. კახი კალაძის ცოლისძმა გიორგი არეშიძე მისი მოადგილე გახლდათ. შემდეგ, გიორგი არეშიძე მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გახდა, გვილავა კი საკრებულოს დეპუტატი და ამავე პროფილის კომისიაში მუშაობდა. გვილავა კახი კალაძის კადრია და მისი ცოლისძმა, გიორგი არეშიძე სწორედ მან გამოზარდა პარტიის ახალგაზრდულ ფრთაში. შემდეგ, მოგახსენეთ, ერთი მერიაში დაინიშნა სამსახურის უფროსად, მეორე – საკრებულოში. კახი კალაძე მერიაში საკუთარი ცოლისძმის, საკრებულოში კი, ირაკლი გვილავას ხელით, ფაქტობრივად, თბილისის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეებს განკარგავდა. არც ახლა შეიცვლება რამე. ირაკლი გვილავას მერიაში მისი წინამორბედი, გიორგი არეშიძე გააკონტროლებს, არაფორმალური მმართველი ის იქნება, ანუ ისევ კახი კალაძის კლანის ხელში იქნება თბილისის ეს სფეროები. კახი კალაძე ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე, ცხადია, ამ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, ირაკლი გვილავას ვერ დაანიშვნინებდა ამ პოსტზე და გამოდის, რომ საბოლოოდ, გვილავაც ბიძინა ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი კადრია.

**— და რაც შეეხება ტურძელაძეს?**

– ვაკის გამგებლობის კანდიდატის, ნოდარ ტურძელაძის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ადრე გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ ლოჯისტიკისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მოადგილე იყო, ბოლოს – მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე. ამ ეტაპზე მის შესახებ ვერც კარგს ვიტყვი და ვერც ცუდს. თუმცა ის კი ფაქტია, რომ დავით ნარმანიას ეს საკადრო ცვლილებები ვერაფერს უშველის – ის თავად არის ამ ქალაქის უბედურების მიზეზი და ვიდრე არ გადადგება, არაფერი გამოსწორდება.

***„ალიამ“ გიორგი ბაგრატიონის „შავ სამყაროსთან“ შესაძლო კავშირის შესახებ ინფორმაციის გადამოწმება მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან, ნონა ყანდიაშვილთან სცადა. მან განმიცხადა, რომ ლევან ხაბეიშვილის ნათქვამზე არანაირ კომენტარს არ გააკეთებდა. ყანდიაშვილს შევთავაზე, იქნებ თავად გიორგი ბაგრატიონს სურს ამ საკითხზე კომენტარი გააკეთოს-მეთქი, რაზეც ნონა ყანდიაშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა და მითხრა, რაც გინდათ, ის დაწერეთო. თუმცა თუ გიორგი ბაგრატიონი მოისურვებს ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებას, „ალია“ მას ამის საშუალებას მისცემს.***

**საკრებულოს წევრი, სოსო მანჯავიძე მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება“ ძველ შეცდომას აღარ გაიმეორებს, ახალ კანდიდატებს ხელაღებით არ დაამტკიცებს და არც იმას გამორიცხავს, რომ რომელიმე ან რამდენიმე კანდიდატი, საერთოდ ჩააგდოს. თუმცა, თუ ადამიანები ბიძინა ივანიშვილის რჩეულნი არიან, მაშინ, ვფიქრობ, საკრებულოს სხვა გზა არ ექნება — ყველა კანდიდატურას გრიალით დაამტკიცებს.**

**სოსო მანჯავიძე:**

– მე ამ ხელისუფლებას ხშირად და საფუძვლიანად ვაკრიტიკებ, მაგრამ ხელისუფლებასაც და ცხადია, თბილისის მერიასაც, აქვთ რაღაც ხელშესახები წარმატებები სხვადასხვა სფეროებში, მაგრამ ეს ხალხმა არ იცის, ვერ მიაქვთ მოსახლეობასთან. ეს არის ზოგადად, სახელისუფლებო პიარის ბრალი, მერიის პიარი ხომ საერთოდ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ პიარისთვის მერიას აქვს გამოყოფილი თანხები და მას ან არ ხარჯავენ, ან არაეფექტურად ხარჯავენ და ეს დიდი პრობლემაა. იმას არ ვამბობ, „ნაციონალებს“ რომ მართლა ზღვარგადასული და აგრესიული პიარი ჰქონდათ, იმგვარი გაიმეორონ, მაგრამ გარკვეული დოზით, ეს აუცილებელია. ჰენრი კისინჯერი ამბობდა პიარის შესახებ, თითო ტანკის ფასად, ხელისუფლებებს ვცვლით სხვადასხვა ქვეყანაშიო. აი, რამხელა ძალა აქვს ეფექტურ პიარს.

**— ხელისუფლებას ასეთი მიდგომა აქვთ პიარის მიმართ — ჩვენ საქმეს ვაკეთებთ და ამას ხალხი ისედაც დაინახავს, ფული რატომ დავხარჯოთ იმაში, რომ ეს ხალხს გავაგებინოთო?**

– ძალიან გაუგებარი და არასწორი მიდგომაა! ხომ ხედავ, ხალხმა იმის მეათედი არ იცის, რაც გააკეთე? ადექი და გააქტიურე პიარი და მიაწოდე საზოგადოებას რეალური ინფორმაცია. ასეთი ინფორმაცია იწვევს ძალიან კრიტიკულ პროცესებს – ეკონომიკურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და სხვა სახის პრობლემებში გადადის. ათას სისულელეში იხარჯება ფული და ამის დამადასტურებელი ფაქტები დაიდო, ადექი და სადაც საჭიროა, იქ დახარჯე და ხალხს მიაწოდე ინფორმაცია. საბოლოო ჯამში, საზოგადოების ეს არაინფორმირებულობა, ამომრჩეველს, მხარდამჭერს უკარგავს ამ ხელისუფლებას

**„ალია“ მერიის სამსახურების უფროსობის კანდიდატების შესახებ საკრებულოს უმრავლესობის წევრს, ჯაბა სამუშიასაც ესაუბრა:**

„ახალი კანდიდატურები შემოვა თბილისის საკრებულოში, გავიხილავთ და დავამტკიცებთ. სასწრაფოდ უნდა დაინიშნონ საქალაქო სამსახურის ახალი უფროსები, რადგან საკრებულოში მერიამ უკვე შემოიტანა მომავალი წლის ბიუჯეტი. ეს ბიუჯეტი, სავარაუდოდ, უკან დაუბრუნდება მერიას და ეს ხალხი მოამზადებს ბიუჯეტის ახალ ვარიანტს, რომელიც დეკემბერში შემოვა საკრებულოში. ფაქტობრივად, ქალაქის საკვანძო სამსახურების უფროსები უნდა დავნიშნოთ და ცხადია, მათ პროგრამებს, მათ ხედვებს განვიხილავთ და მერე დავნიშნავთ. ეს პროცესი იქნება ღია და გამჭვირვალე.

**— გამორიცხავთ, რომ საკრებულოს უმრავლესობამ რომელიმე კანდიდატი ჩააგდოს?**

– არ ვიცი, მოვლენებს წინ ვერ გავუსწრებ, ის ვიცი, რომ თითოეული კანდიდატურის მიმართ ვიქნებით კრიტიკულნი, მათ ხედვებზე, მათ პროგრამებზე იქნება დამოკიდებული ყველაფერი.




**„ეს ხალხი დავით ნარმანიას რჩეულნი არ არიან, თბილისის მერს საკადრო პოლიტიკას არავინ ეკითხება. ყველა კანდიდატურა ლაშა აბაშიძის ხელით ბიძინა ივანიშვილმა შეარჩია“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# რას მალავს საიენტოლოგია? — რელიგია, რომელსაც ევროპაში დანაშაულად მიიჩნევენ

ორგანიზაციის ერთ-ერთი პატივცემული ხელმძღვანელი დები კუკი 45 დღის განმავლობაში ჭიანჭველებით სავსე ტრეილერში ჩაკეტა კალიფორნიის უდაბნოში, საშინელმა ტირანმა, საიენტოლოგიური ეკლესიის ხელმძღვანელმა დევიდ მისკევიჩმა (ტომ კრუზის საუკეთესო მეგობარი და მისი მეუღლის, კეტი ჰოლმსის მეჯვარე). ქალი აწამა და სასტიკად სცემა.

'ჭიანჭველები ტანზე დაცოცავდნენ, შუქი 2 კვირის განმავლობაში გამორთული იყო. უდაბნოში ტემპერატურა 41 გრადუსს აღწევდა. იძულებული ვიყავი, 'აღიარებით" სესიებში (აუდიტინგ) მიმეღო მონაწილეობა, რის დროსაც ნაგვის ყუთში ვიდექი 2 საათის განმავლობაში, ამ დროს თავზე წყალს მასხამდნენ, ვტიროდი...

მისკევიჩმა თავის მდივანს უბრძანა, ვეცემე, ვიდრე სკამიდან გაუსაძლისი ტკივილების გამო არ გადმოვვარდი. ფანჯრები გისოსებით იყო დაფარული, შესვლა-გამოსვლას 24-საათიან რეჟიმში უსაფრთხოების სამსახური აკონტროლებდა, გაქცევა შეუძლებელი იყო. მე ერთადგილიან ტრაილერში ვიმყოფებოდი. ჩემ გარდა ამ ციხეში, სახელწოდებით 'ხვრელი **(Hole)**" 100 ადამიანი იმყოფებოდა, რომლებსაც გამუდმებით აწამებდნენ. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ეკლესიის დატოვება გადაწყვიტეს", – განაცხადა სასამართლოზე კუკმა.

ასევე, კუკი მოყვა, რომ დაინახა, როგორ სასტიკად გაუსწორდა მისკევიჩი კიდევ ერთ წამყვან საიენტოლოგს, აიძულა, ენით ელოკა ჭუჭყიანი იატაკი ნახევარი საათის განმავლობაში. ასე მას შემდეგ მოექცა, როდესაც ქალმა საიენტოლოგიის დატოვება მოინდომა, რათა ხმა არ ამოეღო რელიგიის შესახებ არასდროს და არავისთან".

სანამ საშინელ ადგილს დატოვებდა, 45-დღიანი ტყვეობის შემდეგ, კუკმა ორგანიზაციის ყველა საბუთს მოაწერა ხელი, რათა ის არ მოეკლათ. მაგრამ ქალი არ დანებდა და რამდენიმე თვის შემდეგ ნაცნობ 12 ათას საიენტოლოგს მამხილებელი წერილები გაუგზავნა. მან მისკევიჩს ბრალი დასდო, რომ საიენტოლოგიური ეკლესია ტირანულ ორგანიზაციად აქცია, რომელიც 50-იან წლებში რონ ჰაბარდის მიერ დაარსებულ სწავლებებს ეწინააღმდეგება. ასევე, კუკმა ორგანიზაციის წევრების შემოწირულობათა (1 მილიარდი დოლარის ოდენობით) მითვისებაში დასდო მისკევიჩს ბრალი. ქალმა შტატ ტეხასის სან ანტონიოს სასამართლოს მიმართა, რადგან მას და მისი ახლობლების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. საიენტოლოგიის ეკლესიის წარმომადგენლები სასამართლო პროცესის აკრძალვას ითხოვდნენ, რადგან კუკმა საბუთებზე ხელის მოწერის შემდეგ კონფიდენციალობის შეთანხმება დაარღვია. მაგრამ დები კუკმა განაცხადა, რომ საბუთებზე იძულებით მოაწერინეს ხელი. მსგავსი ხმამაღალი განცხადებების შემდეგ, ეკლესიამ სასამართლო პროცესზე უარი განაცხადა.



### რამდენიმე ფაქტი მისკევიჩისა და ტომ კრუზის ურთიერთობაზე

დევიდ მისკევიჩი დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა ჰოლივუდზე გასასვლელ გზებს. ცნობილია, რომ ამჟამად ჰოლივუდი, ალბათ, მსოფლიო დონის უძლიერესი **PR** მანქანაა ნებისმიერი პროდუქტისა და მომსახურებისთვის. და, თუკი შესაფერის ვარსკვლავს იპოვი და სწორად 'დაავერბოვკებ" მას, ეს ორგანიზაციისთვის უძლავრესი რეკლამა გახდება და მან იპოვა 'ჰოლივუდის ოქროს ბიჭუნა", ტომ კრუზი, თავისი დროის ყველაზე წარმატებული ახალგაზრდა მსახიობი, თანაც ბავშვობაში ღარიბესი ოჯახიდან, რომელიც დისლექსიითა და მამისგან სასტიკი მოპყრობით იტანჯებოდა. მას სრული დამოკიდებულება ჰქონდა 'ცისფერ მაფიაზე", მოუნდებათ – გადაიღებენ, არ მოეწონებათ – მოისვრიან სანაგვეში. მისკევიჩს კანდიდატი აწყობდა – ერთი მხრივ, ცნობილი და მდიდარი, მეორე მხრივ კი თავდაუჯერებელი და მოწყვლადი.

მისკევიჩმა მსახიობის აგენტებთან მისასვლელი გზები იპოვა და ტექნიკურად 'შეტენა" მიმი როჯერსი ცოლობის კანდიდატად. შერთან და ჰიზერ ლოკლირთან მინირომანების შემდეგ, გეი-მაფიამ გადაწყვიტა, რომ კრუზის მეტად გასაპიარებლად საჭიროა მისი დაქორწინება. მიმი როჯერსი ამ როლისთვის მათ შესაფერისად მიიჩნიეს: ცოტათი უფროსი, საკმაოდ ცნობილი, ამასთანავე, კრუზს ვერ დაჩრდილავს, როგორც სუპერვარსკვლავს (მათთვის ცნობილი არ იყო როჯერსის საიენტოლოგობის შესახებ, ან ყურადღება არ მიაქციეს ამ ფაქტს). და, ესეც ასე! – საქმე გაჩარხულია. კრუზისა და როჯერსის ხანმოკლე თანაცხოვრების პერიოდში მისკევიჩმა მისი 'დავერბოვკება" მოახერხა.

ასევე, ცნობილია, რომ ოფიციალურად ტომ კრუზი საიენტოლოგი 1990 წელს გახდა, მაგრამ 90-იანებში ის აქტიური საიენტოლოგი არ იყო, რადგან ამას ნიკოლ კიდმანი ეწინააღმდეგებოდა. იგი, ფაქტობრივად, ვერ იტანდა მისკევიჩს და ყველა გზით ცდილობდა, ტომი საიენტოლოგიის წინააღმდეგ განეწყო. ამაში კიდმანს დევიდ გეფენი და სტივენ სპილბერგიც ეხმარებოდნენ. ასევე, წერენ, როგორღაც ამ ჭაობიდან რომ ამოეთრიათ, სპილბერგმა სტენლი კუბრიკი დაარწმუნა, კრუზი და კიდმანი ფილმში 'ფართოდ დახუჭული თვალები" მიეწვია. გადაღებები ინგლისში (მისკევიჩისგან შორს) 3,5 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. გაუგებარია, რა მოხდა შემდგომ, მაგრამ კუბრიკი ფილმის გადაღების დასრულებისთანავე გარდაიცვალა. კრუზმა მოულოდნელად კიდმანთან დაშორება გადაწყვიტა და აქტიური საიენტოლოგი გახდა: მედიასაშუალებების მეშვეობით აპიარებდა თავის რელიგიას. მისკევიჩი მისი საუკეთესო მეგობარი გახდა.

იგი კრუზისა და კეტი ჰოლმსის ქორწილში მეჯვარე გახლდათ, მერე კი მათთან ერთად მალდივებზე საქორწინო მოგზაურობაში გაემგზავრა. ამჟამად მისკევიჩი კრუზს ყველა მოგზაურობაში თან ახლავს.

### დევიდ მისკევიჩის ბიოგრაფიიდან

დევიდ მისკევიჩი საიენტოლოგიური ეკლესიის ლიდერია. 1960 წელს ფილადელფიაში კათოლიკეების პოლონურ-იტალიურ ოჯახში დაიბადა. ბავშვობაში ასთმა და ალერგია აწუხებდა. მშობლებმა არ იცოდნენ, როგორ ემკურნალათ, შემთხვევით მიმართეს დიანეტიკას და მათი თქმით, ამან ბავშვს უშველა. ამის შემდეგ, მთელი ოჯახი საიენტოლოგი გახდა. ყმაწვილობაში მისკევიჩი რონ ჰაბარდის თანაშემწე იყო. 80-იანი წლების დასაწყისში ლიდერ პოზიციამდე ავიდა, ჰაბარდის სიკვდილის შემდეგ კი ის შეცვალა და ორგანიზაციიდან ჰაბარდის მეუღლე გააგდო.

მისკევიჩმა და რონ ჰაბარდმა 1991 წელს საიენტოლოგიური ეკლესიისთვის სრული საგადასახადო შეღავათები მოიპოვეს. აქამდე, 20 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ აშშ-ის საგადასახადოს 50-ჯერ უშედეგოდ მიმართა მოთხოვნით. როგორ მოიქცა მისკევიჩი: დაიქირავა კერძო დეტექტივები, რომლებიც 2 წლის განმავლობაში საგადასახადოს წამყვან თანამშრომლებს უთვალთვალებდნენ და უამრავი დარღვევა აღმოაჩინეს. ფაქტების გასაჯაროების სანაცვლოდ მისკევიჩმა გადასახადებისგან სრული განთავისუფლება მოითხოვა, როგორც არაკომერციული რელიგიური ან საქველმოქმედო ორგანიზაციისა. და მიიღო კიდეც. ამის შემდეგ მან ლოს-ანჯელესის სტადიონზე ეკლესიის 10 ათასზე მეტი წევრი შეკრიბა და 3-საათიანი სიტყვით მიმართა: 'ომი დასრულდა! ჩვენ გავიმარჯვეთ! დღეიდან არავითარი გადასახადები!". ოვაციები 10 წუთზე მეტს გაგრძელდა, საიენტოლოგებმა გამარჯვება იზეიმეს.

დევიდ მისკევიჩის მეუღლე შელი 2006 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა. 'ნიუ-იორკერის" გადმოცემით, ან ცოცხალია, ან მკვდარი, ან სადმე მალავენ.

### საიენტოლოგია

საიენტოლოგია რელიგიურ-ფილოსოფიური სწავლებაა, რომელიც ამერიკელმა მწერალ-ფანტასტმა რონ ჰაბარდმა შექმნა. მისი მიზანი თითქოს კეთილშობილურია – ადამიანური შესაძლებლობების სრულყოფასა და სულიერად ამაღლებას ემსახურება. საიენტოლოგია აერთიანებს ფილოსოფიისა და სულიერი სრულყოფილების ტექნიკის ფლობასა და ისეთ სფეროებს, როგორიცაა მორალი, ეთიკა, განათლება, მართვის ტექნოლოგიები და სხვა.

ჰოლივუდის ბევრი ვარსკვლავი (ტომ კრუზი, ჯონ ტრავოლტა, ჯინა ელფმანი, კელი პრესტონი, კერსტი ელი, მიშელ ფაირმანი, ჯეისონ ლი, უილ სმიტი, დასტინ ჰოფმანი, პრისცილა პრესლი, კეიტ ჰოლმსი და სხვები) მისი მიმდევარია.

კრიტიკოსების აზრით, ამ მიმდინარეობას საერთო არაფერი აქვს ჰუმანიტარულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ მიზნებთან, ეს არის წმინდა კომერციული ორგანიზაცია, რომელიც ეგრეთ წოდებული თავისი ლიდერების გამდიდრებას ემსახურება.

საიენტოლოგიას არ ცნობენ – საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, ბრიტანეთი, ლუქსემბურგი, ისრაელი, მექსიკა. გერმანელები მას – კომერციულ, ბელგიელები კი დანაშაულებრივ ორგანიზაციად მიიჩნევენ. ბელგიაში მისი მიმდევრობა კანონით ისჯება. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

# კოტე — თანამედროვე ევროპელის კიდევ ერთი წინაპარი საქართველოდან



კოტე, როგორც მას ექსპედიციის წევრებმა შეარქვეს, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ერთ-ერთი უძველესი ადამიანის ნეშტია, რომლის გენის კვლევის შემდეგ ქართველი და უცხოელი მეცნიერების საერთო ჯგუფმა მანამდე უცნობ გენეტიკურ კომპონენტს მიაკვლია. აღმოჩენა ადასტურებს, რომ სამხრეთ კავკასიური გენი თანამედროვე ევროპელის გენეტიკური ჯაჭვის ერთ-ერთი მთავარი რგოლია. ამ დრომდე მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ ევროპელები სამი პოპულაციის მემკვიდრეები არიან: ადგილობრივი მონადირე-შემგროვებლების, ლევანტიდან გამოსული ნეოლითელი მწარმოებლური მოსახლეობისა და ჩრდ. ევრაზიის, იამნაის მესაქონლე ტომების, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადამიანის გენომის თანმიმდევრობის დადგენის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კავკასიელი მონადირე-შემგროვებლები სრულიად განსხვავებულ, უძველეს შტოს წარმოადგენენ.

ისინი აფრიკიდან წამოსული 'მოაზროვნე ადამიანის" მემკვიდრეები არიან. რომლებმაც მიგრაცია 2 ტალღად – 45.000 და 25.000 წლის წინათ განიცადეს. ამ ორივე ჯგუფის წარმომადგენლები საქართველოს ტერიტორიაზე დასახლდნენ და იზოლირებულად დაახლოებით 15 000 წელი ცხოვრობდნენ. მეცნიერთა თქმით, ეს სწორედ ის ტომები არიან, რომლებიც ევროპაში მოგვიანებით, დაახლოებით მესამე ათასწლეულში გავრცელდნენ. მათ დასავლეთით ექსპანსია იამნაის ტომებთან ერთად კონტინენტალური ყინულის საფარის შემცირების შემდეგ დაიწყეს.

მკვლევართა თქმით, სამხრეთ კავკასიელი მონადირე-შემგროვებლების გენის გავლენა ჩანს, როგორც ადრებრინჯაოს ხანის მატარებელ ტომებში, ასევე, თანამედროვე კავკასიურ და სამხრეთ აზიის მოსახლეობაში. ისინი პირველი ტომები იყვნენ, ვინც შემგროვებლობისა და ნადირობის გარდა, უკვე წარმოება დაიწყეს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საწურბლის მღვიმის გვიან ზედაპალოლითური 13.300 წლის და ჭიათურის მუნიციპალიტეტის კოტიას კლდის მღვიმის მეზოლითური ხანის 9.700 წლის ადამიანის ჩონჩხები მთავარი საკვლევი ობიექტები იყო. გარდა იმისა, რომ ადამიანის გენის მსგავსი სახით კვლევა საერთაშორისო მნიშვნელობას ატარებს, ეს საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული პირველი არქეოლოგიური გათხრაა, რომლის შედეგადაც მოიპოვეს გენეტიკური ინფორმაცია საქართველოს ქვის ხანის ძეგლებზე.

პირველი ჩონჩხი, რომელიც ჯერ კიდევ 2004 წელს, კოტიას კლდის არქეოლოგიური გათხრისას აღმოაჩინეს, განსაკუთრებულ დნმ-თან ერთად, მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ ინფორმაციასაც შეიცავს. 'კოტე", როგორც მას ექსპედიციის წევრებმა შეარქვეს, განსხვავებული წესითაა დაკრძალული.

'როგორც ჩანს, მისი 'სულის დასამშვიდებლად" განსხვავებულ წესს მიმართეს. მას ქვით აქვს ჩაჩეჩქვილი თავის ქალა და ფეხის ტერფები. ასევე, გულ-მკერდში ჩარჭობილი აქვს ცხოველის ნეკნი. ეს არ შეიძლებოდა გამხდარიყო მისი სიკვდილის მიზეზი, ეს მოგვიანებითაა გაკეთებული. რაც ასევე საინტერესო შემთხვევაა. ზუსტად ამ ფორმით დაკრძალული ნეშტი იპოვეს დანიაშიც", – ამბობს ექსპედიციის ხელმძღვანელი თენგიზ მიშველაძე.

მოკვლევა გრძელდება. ლაბორატორიული კვლევების დახმარებით გამოვლინდება კიდევ უფრო ზუსტი დეტალები. ამჟამად კვლევებში მონაწილეობენ გენეტიკოსები დუბლინის ტრინიტი და საუნივერსიტეტო კოლეჯებიდან. ასევე, კემბრიჯის უნივერსიტეტიდან. ქართველი მკვლევრების თქმით, აღმოჩენა ქართული მეცნიერებისთვის დღემდე ჩატარებულ კვლევებს შორის უმნიშვნელოვანესია. (netgazeti.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

# როგორ გამოიყურება ქუთაისელი კრიმინალური ავტორიტეტების საფლავები




ავანგარდის სასაფლაო – 2004 წელს გარდაცვლილი კანონიერი ქურდის, მეტსახელად „მაცის" საფლავი.



ოღასკურას სასაფლაო – 1994 წელს მოსკოვში, საკუთარ ბინაში მოკლული „კვეჟოს" საფლავი.



საფიჩხიას სასაფლაო – 2008 წელს საბერძნეთში მოკლული მინდაძეს საფლავი (ambebi.ge)

# „მინისტრმა სანიკიძემ შური იძია იმის გამო, რომ ვამხელ და მის მძარცველობას ვამჟღავნებ“

## რას აპირებს 116-ე სკოლიდან დათხოვნილი პედაგოგი?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**როგორ ემზადება განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წინასაარჩევნოდ? რა პრინციპით ასუფთავებს სისტემას „ურჩი“ პედაგოგებისგან უწყების ხელმძღვანელი? რას და ვის ახირებას შეეწირა 116-ე სკოლის პედაგოგი?**

**„ალიას“ „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი, 116-ე სკოლის ყოფილი პედაგოგი დათო ფერაძე ესაუბრა:**

– ყველასთვის ცნობილი ამბავია, რამდენხანს და როგორი ხერხებით მებრძოდა სამინისტრო. უწყება ჩემი მისამართით ძირითადად მაშინ აქტიურდებოდა ხოლმე, როცა სანიკიძეს ვაკრიტიკებდი, მაგრამ როდესაც სამინისტროს შიდა აუდიტის ხელმძღვანელს, ალექსანდრე ონოფრიშვილს შევეხებოდი და ვამხელდი, აქ უკვე ცოფებს ყრიდნენ და ზეწოლა ძლიერდებოდა. პირველად, როცა ეს ადამიანი ვამხილე, 116-ე სკოლის დირექტორმა საყვედური მიიღო, ხოლო, როცა განმეორებით ვამხილეთ, აქ უკვე სკოლის დირექტორი გაათავისუფლეს. ეს იყო, კიდევ ერთი ზეწოლა და გაფრთხილება ჩემთვის და ჩემნაირებისთვის.

**— რატომ შფოთავდნენ ასე ონოფრიშვილის გამო, რაში ამხელდით?**

– ვამხელდით ნეპოტიზმში. პირდაპირ ფაქტებს ვდებდით, როგორ ხდებოდა დირექტორების, რესურსცენტრების ხელმძღვანელების შერჩევა-გადახალისება. პარლამენტსაც მივაწოდეთ ეს საკითხები, მაგრამ მისი ლობების მეშვეობით ჩაიფარცხა ეს საქმე. ვსაუბრობდით კორუფციულ გარიგებებზე, პრემიებზე, დანამატებზე, უცხოურ ვოიაჟებზე, მანქანების შეძენაზე... ამ ფაქტების ნაწილზე თქვენთანაც მისაუბრია.

ბოლოს, განათლების სამინისტრომ, სისტემის „ურჩი“ დირექტორებისგან და მასწავლებლებისგან გაწმენდა მკვეთრად გადაწყვეტა და დაახლოებით ერთი კვირის წინ სამინიტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე ონოფრიშვილმა, ადგილობრივი რესურსცენტრების იურისტებს, საიდუმლო, საგანგებო თათბირი ჩაუტარა და თითოეულის დაავალა, შეესწავლათ, საქართველოს ყველა სკოლაში რამდენად პოლიტიკურად აქტიურები არიან პედაგოგები, დირექტორები, რესურსცენტრების დირექტორები.

დიდი ხანია დაინტერესებულია თამარ სანიკიძე, არიან თუ არა განათლების მინისტრის პოლიტიკის მხარდამჭერები პედაგოგები, ან პირიქით – მოწინააღმდეგეები. რამდენად აქვთ კავშირი პოლიტიკურ წრეებთან... ამავე თათბირზე იყო გაჟღერებული, რომ მსგავსი ადამიანების წინააღმდეგ შეიკერებოდა კონკრეტული საქმეები და ასეთ ადამიანებს უხმაუროდ გაუშვებდნენ სკოლებიდან. თათბირზე საუბარი ყოფილა ჩემზეც. უთქვამს, რომ ჩემ წინააღმდეგაც იგეგმებოდა მსგავსი რამ და მალე ისე გამიშვებდნენ სკოლიდან, რომ ხმაც კი არ მექნებოდა ამოსაღები. ეს იქნებაო მაგალითი, როგორ ისჯებიან ადამიანები, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმდინარე პოლიტიკას ეწინააღმდეგებიანო.

116-ე სკოლას ჰყავს სანიკიძის მიერ მოგზავნილი დირექტორი, რომელიც სამინისტრომ სანიკიძის ხუშტურების შესასრულებლად და საქმეების „შესაკერად“ მოავლინა. მომდიოდა ინფორმაცია, რომ ემზადებოდნენ ჩემს გასათავისუფლებლად, მაგრამ, როგორც კი ამას პრესის მეშვეობით ვაჟღერებდი, გადადებდნენ ხოლმე. უკვე ისეთი პერიოდი დაემთხვა, რომ აუცილებელი იყო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა და ჩემი თავიდან მოშორება. საბოლოოდ, ჩემ წინააღმდეგ შეთითხნა 5 ყალბი ბრალდება და ეს მაცნობეს 12 ნოემბერს. ინფორმაცია მომაწოდეს ხუთი დარღვევის შესახებ.

ამ 5 ცრუ ბრალდებაში საუბარი იყო იმაზე, რომ მე თურმე სკოლის დირექტორსა და სხვა პედაგოგს სიტყვიერ შეურაცხყოფას ვაყენებ, მოსწავლეებს ვამხედრებ სკოლისა და სხვა კლასის წინააღმდეგ, მანდატურსა და მოსწავლეს შორის რომ მოხდა ინციდენტი, რასაც მშობლის სკოლაში შემოსვლა და მანდატურსა და მშობელს შორის პირადი ანგარიშსწორება მოჰყვა, ამ მშობლის შემოყვანა მე დამიკავშირეს – რაც სიცრუეა და ამას ისიც მოწმობს, რომ ამაზე ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს, პირდაპირ „შეკერეს“ ეს საქმე.

ამ ტიპის ბრალდებებია შეკოწიწებული და საინტერესოა ის, რომ არც ერთი მათგანის რეგისტრირება არ მოხდა, ისე როგორც ამას კანონი ითვალისწინებს. ანუ ვითომ ეს 5 დარღვევა აგროვა სკოლის დირექტორმა და ბოლოს ერთდროულად მოჰყვა ამას რეაგირება. რა სისულელეა! აქ აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ რამენაირად შეაგროვო ხუთი ადმინისტრაციული დარღვევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხუთი ადმინისტრაციული გაფრთხილების შემდეგ, სანიკიძის მიერ, 2014 წელს გამოცემული ბრძანების შედეგად, უკვე იქმნება საფუძველი, რომ პედაგოგი გაათავისუფლონ სამსახურიდან, ანუ შეუძლიათ, შრომითი ხელშეკრულება გაუუქმონ.

რადგან არ არის რეგისტრირებული ეს „დარღვევები“, მაშინ, როცა ეს მოხდა, გამოდის, რომ დარღვეულია პროცედურული წესი. მოკლედ, ეს „შეკერილი“ საქმე გადმომცა დისციპლინურმა კომიტეტმა. ამ კომიტეტმა არც კი მომისმინა, არ მომცა თავის მართლების საშუალება, რის შემდეგაც უნდა მიეღო მას გადაწყვეტილება და 17 ნოემბერს გადმომცეს გადაწყვეტილება, რომ სკოლიდან ვარ განთავისუფლებული.

ღიად ვაცხადებ – სკოლის ეს გადაწყვეტილება არის სანიკიძის უწყების ღია მითითებების შესრულების შედეგი! ყელში ამოვუვედი სანიკიძეს, თევზის ფხასავით ვყავარ გაჩხერილი ყელში და ჯერ ჩემი ძველი დირექტორი გაათავისუფლეს, მაგრამ როცა ამითაც ვერ შემაშინეს, გამათავისუფლეს მეც. ახლა, ალბათ, სიას დაელოდება ონოფრიშვილი და სხვების საქმების „შეკერვა“ დაიწყება. სამინისტროს მთავარი მიზანია, ჩაახშონ განათლების სისტემაში ის ხმა, რომელიც მათ მანკიერებებს ამცნობს საზოგადოებას.

ზედმიწევნით შესრულდა ის, რაც სანიკიძეს სურდა. მინისტრმა სანიკიძემ შური იძია იმის გამო, რომ ვამხელ, რომ ვითხოვ სამართლიანობას და მის მძარცველობას ვამჟღავნებ. ამით სანიკიძემ იერიში მიიტანა არა მარტო ჩემზე, არამედ ჩემს ოჯახზე, ჩემს მცირეწლოვან შვილებზეც (ერთი 4 წლისაა, მეორე ერთის), რომლებიც დააყენა შიმშილის საფრთხის წინაშე, ის ორიოდე გროშიც წაგვგლიჯა ამ დაუოკებელმა მძარცველმა! მაგრამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა ე.წ. დირექტორი, რომელმაც აღასრულა სიბინძურე, ვერც ამ სიბინძურის თანამონაწილე ორიოდე მასწავლებელი, რომელთა დანახვაც არ სურთ მოსწავლეებს.

სამწუხაროა, რომ აგონიაშია მთელი სამინისტრო. ეძებენ არასანდოებს, ჩვეულებრივი პოლიციური რეჟიმი დაამყარეს. წინასაარჩევნო პერიოდია, უკვე დაიწყეს მზადება, კრიტიკული აზრი რომ გააქრონ. უკვე დრო არ რჩებათ და დააჩქარეს, მერე რომ უფრო მკვეთრად არ გამოჩნდეს მსგავსი რამ.

**— რას აპირებთ?**

– ვიწყებ შიმშილობას, ჩემი საკითხის გადახედვის მოთხოვნით. ამავდროულად მივამართავ სამართლებრივ გზას. პირველ რიგში, მივმართავ სამეურვეო საბჭოს. მივმართავ, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სახალხო დამცველს. მივმართავ აუცილებლად სასამართლოს და ის აუცილებლად დაადგენს სიმართლეს. უკვე მივმართე აშშ-ს საელჩოს პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნითაც.

**„ალია“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესსამსახურს დაუკავშირდა. უწყება ფერაძის მიერ წამოყენებული ბრალდებების საქმის კურსში ჩაგვაყენეთ:**

„დავით ფერაძის განთავისუფლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება სკოლის დისციპლინურმა კომიტეტმა მიიღო. ამ კომიტეტში შედიან მშობლები, მოსწავლეები და მასწავლებლები. დირექტორი დაეყრდნო მათ დასკვნას, რის საფუძველზეც განთავისუფლდა ფერაძე. ხაზს ვუსვამთ, რომ ფერაძე მინისტრის ბრძანებით არ განთავისუფლებულა. მას შეუძლია, ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს, ან მიმართოს სასამართლოს“, – განგვიმარტეს უწყების პრესსამსახურში.



**„ამით სანიკიძემ იერიში მიიტანა არა მარტო ჩემზე, არამედ ჩემს ოჯახზე, ჩემს მცირეწლოვან შვილებზეც (ერთი 4 წლისაა, მეორე ერთის), რომლებიც დააყენა შიმშილის საფრთხის წინაშე, ის ორიოდე გროშიც წაგვგლიჯა ამ დაუოკებელმა მძარცველმა! მაგრამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა ე.წ. დირექტორი, რომელმაც აღასრულა სიბინძურე, ვერც ამ სიბინძურის თანამონაწილე ორიოდე მასწავლებელი, რომელთა დანახვაც არ სურთ მოსწავლეებს“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### „სირიელი ტერორისტები, 500-500 კაცი რომ ჰყავს თითოს მოკლული, რომ გვემუქრებიან და აქედან დამცველი ჯანელიძე და ჭიკაიძე რომ გვყავს, ნამდვილად ღმერთს უნდა ვეხვეწოთ დილიდან საღამომდე“

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის განცხადებით, საქართველოსგან განსხვავებით, სხვადასხვა ქვეყნებში უსაფრთხოების საბჭოს 20 და 30-წლიანი ოპერატიული გამოცდილების მქონე გენერლები ხელმძღვანელობენ.

– მინდია ჯანელიძის ბოლო განცხადების შემდეგ, როდესაც მან თქვა, რომ თბილისი ყველაზე უსაფრთხო ქალაქიაო, ვეფხვმა შეჭამა ადამიანი გმირთა მოედანზე, მთლად მაგის იმედზე ვერ ვიქნებით, მაგრამ სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ყველა დონეზე, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, ადამიანები შერჩეულები არიან ერთგულების ნიშნით, ნათესაური ნიშნითა და არაპროფესიონალიზმის ნიშნით. რაღა გვანაღვლებს, ჯანელიძე და ჭიკაიძე რომ განაგებენ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას, სირიელი ტერორისტები, 500-500 კაცი რომ ჰყავს თითოს მოკლული, რომ გვემუქრებიან და აქედან დამცველი ჯანელიძე და ჭიკაიძე რომ გვყავს, ნამდვილად ღმერთს უნდა ვეხვეწოთ დილიდან საღამომდე, სხვა გამოსავალი არ აქვს ჩვენს ქვეყანას. ეს არის აბსოლუტურად არაადეკვატური. გადახედეთ სხვა ქვეყნებში ვინ არიან, რაც ჩვენ ვიცით და რაც ჩვენთან შუქდება უსაფრთხოების საბჭოს მდივნები, ამერიკაში – კონდოლიზა რაისი იყო, რუსეთში პატრუშევია, ასევეა სომხეთსა და აზერბაიჯანში, 20-წლიანი და 30-წლიანი ოპერატიული გამოცდილების მქონე გენერლები და საქართველოში რა გვენაღვლება, ჭიკაიძე და ჯანელიძე გვაყავს, მაგაზეა ნათქვამი, სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს, – აცხადებს კუკავა. (პირველი რადიო)

### „მძღოლები ყველას და განსაკუთრებით ნარმანიას აგინებენ“



საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ თბილისის ბიუჯეტი მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული არ არის:

– ამ ქალაქში ყველას გვაქვს პასუხისმგებლობა და თუ ამ ქალაქში მძღოლები იგინებიან, როგორც მე მაგინებენ, ისე განსაკუთრებით ნარმანიას, უმრავლესობასაც და ყველას. არ მეხატება „ნაციონალური მოძრაობა“ გულზე, მაგრამ შესანიშნავი იდეაა, რატომაც არ უნდა გადავანაწილოთ ის თანხა, ვიღაც გაქსუებულ და ხელმოცარულ მარგიშვილს რომ ვაპირებთ, ორ მილიონ-ნახევარი დავუმტკიცოთ და იმედია, რომ არ დავუმტკიცებთ, საერთოდ გავაუქმებთ ამ სამსახურს, რატომ არ უნდა გადავანაწილოთ იმ ადამიანებზე, რომლებიც იქ მართლაც ჭაპანწყვეტაში არიან და დღე და ღამე შრომობენ, ზეგანაკვეთურადაც და ყველანაირ განაკვეთურად და ვისზეც მართლა დგას ეს ქალაქი, ხალხი რომ დილის ექვს საათზე დგება, ალაგებს და ასუფთავებს და იმ დანგრეულ ავტობუსს რომ დაახრიგინებს კაცი, რატომ იმათ არ უნდა მივცეთ ფული, ამაზე ვიმსჯელოთ ადამიანურად და არა ისე,...დავით ნარმანია რომ გაბლატავდა ბოლო დროს და ძველი ბიჭივით რომ ლაპარაკობს, რომ ესენი ვინ არიან, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა. (ipress.ge)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. გერმანული ავტომობილი
2. მღვდლის სამოსი
3. „ბერნარდა ალბას ...“
4. მუზეუმი პარიზში
5. მსახიობი ... პაჩინო
6. კაის მეგობარი გოგონა
7. ფედერიკო ფელინის ფილმი
8. მინდვრის ყვავილი
9. სათევზაო ჯოხი
10. გოგოლის მოთხრობა
11. მწერალი ... კიზი
12. მსახიობი ჟან ...
13. ვარამი
14. მისი დედაქალაქია დელი
15. ძველი ეგვიპტის დედოფალი
16. ქუჩის განათება
17. აჟურული არშია
18. მხ/ფ „ქალაქი ...“
19. რეჟისორი სერგეი ...
20. ქანდაკება პირამიდებთან
21. სპორტ. სახეობა: ფიგურული ...
22. თვალი, რომლის მხედველობის ღერძი უსწორადაა დაყენებული
23. მზის სხივი
24. ფაიფურის თეთრი თიხა
25. ცეცხლსასროლი იარაღი
26. მწერალი ალფონს ...
27. აზერბაიჯანის ფულის ერთეული
28. მსახ. ... ფრეინდლიხი
29. ტელეკომპანია მოსკოვში
30. კვერცხისმდებელი ქათამი
31. უბანი თბილისში
32. მონო, დი, ..., ტეტრა
33. პოეტი ... შევჩენკო
34. ზღვის ძუძუმწოვარი
35. იკაროსის მამა
36. ქალაქი გერმანიაში
37. რეჟისორი ემირ ...
38. მიმინოს ძაღლი (ფილმიდან)
39. მშვიდი განწყობა
40. მულტიპლიკაცია, ანუ ...
41. კომპოზიტორი ... გაბუნია
42. ევროპელი ებრაელები
43. მილოშ ფორმანის ფილმი მოცარტზე
44. მსახიობი ქეით ...
45. მონღოლი დიდებული
46. სწრაფი პარტია ჭადრაკში
47. აფრიკული ტომი
48. ... ჭრის და .. კერავს
49. შეუხედავი, ანუ ...
50. მსახიობი მარინა ...
51. მომღერალი ... კუპერი
52. ოდრი ტოტუს ფილმში
53. ბანდეროლი
54. ტენორი მარიო ...
55. შიიზმის მიმდევარი
56. ... აბრაამის ბატკანი
57. ყველაზე ძლიერი მწერვალი
58. ადგილი თვალის ქვეშ
59. საფრენი აპარატი
60. ინდიელების ვარცხნილობა
61. მსახიობი ... პაიკი
62. თეატრის ფიცარნაგი
63. საფრანგეთის ჰიმნი
64. უმაღლესი კლასის ხელოსანი
65. შოკოლადის ხის ნაყოფი
66. მსახიობი ერიკ ...
67. აზრი
68. საშხაპე ოთახი
69. გამარჯვების ქალღმერთი
70. სუბტროპიკული მცენარე
71. ექიმი. შეისწავლა ჩიყვი
72. ... დასთეს იმას მოიმკი
73. ფიზიკის ნაწილი
74. უმაღლესი კლასის მოჭადრაკე
75. ლუდის კათხა
76. სრუტე პა-დე-...
77. ... პოპესკუ გოპო
78. დიდი ჯოხი
79. კოშკი პარიზში
80. ახლად მოჭრილი წეპლა
81. აგარაკის ნივთიერება
82. მდინარე აფრიკაში
83. რეპტილია
84. მხ/ფ „... კაკალი“
85. შალის საპალტოე ქსოვილი
86. „ჩემი ცოლის ...“
87. მეფე არტურის პირველი რაინდი
88. ნაჭრის თოჯინა
89. მუზების მფარველი ღმერთი
90. მოკრივე როკი ...
91. მსახიობი ... პიტი
92. მსახ. ... მანჯგალაძე
93. ... ხაჩატურიანი
94. ძალიან იშვიათი ნივთი
95. მომღერალი ... ბაგრატიონი
96. ქალაქი აფხაზეთში
97. ჩოგბურთელი ... ნავრატილოვა
98. სასუნთქი გზების დაავადება
99. სოფ. ლანჩხუთის რაიონში
100. კანის სილურჯე
101. მოკრივე კასიუს ...
102. ნაჭრის წვეტიანი ქუდი
103. ქალაქი ზემო იმერეთში
104. მგალობელი ფრინველი
105. მსახ. ... სილვერსტოუნი
106. ბირმის დლევანდ. სახელწ.
107. ისტორიის მუზა
108. მისი დედაქალაქია სოფია
109. მწერალი მაქსიმ ...
110. სახლის გადასახურავი ძელაკი
111. მსახიობი ... ბროსნანი
112. მსახ. ... მაკგრეგორი
113. ხილი
114. დედაქალაქი ... ბატორი
115. მსახიობი ... კრუზი
116. თოვლი, წვიმა სეტყვა
117. ნიშნავს ოთხს
118. მწერალი ... ბრედბერი
119. მხ/ფ „... შემოდგომისა“
120. რუსული ფულის ერთეული
121. საწვიმარი მოსასხამი
122. ქალის სანომლერო ზმა
123. ვულკანი სიცილიაზე
124. ოპერა „აბესალომ და ...“
125. მომღერალი ... კაკულია
126. გრძელი კბილი
127. ... დაიჭირავს სიკვდილსა
128. ნიშნავს ცხოველურს
129. „... ვხედავ მზეს“
130. ქალაქი იტალიაში
131. ნაჭუჭიანი ნაყოფი
132. სამშენებლო ქვა
133. ჯერ შრომა, ... ხტომა
134. ჟან რენო ფილმში
135. ლეპრა
136. აბატი ფარიას ციხე
137. მენდელსონი. „საქორწილო ...“
138. თეთრი ნიშანი საქონლის შუბლზე
139. მხატვარი ... გრეკო
140. ცხოველი. იცვლის ფერს
141. ტყის სული წვეტიანი ყურებით
142. ქედი საქართველოში
143. რუსი მეიგავე

## გენიალური შესაძლებლობები, რომელთა სწავლა ყველას შეუძლია

ყველას გვინდა, რომ რამეთი გამოვირჩეოდეთ და ეს რამე თუ გონება იქნება, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. როგორ მოვიქცეთ, თუ გენეტიკა და განათლება არ გვიწყობს განსაკუთრებულობაში ხელს? სულაც არ გვჭირდება განსაკუთრებული გარემო თუ თანდაყოლილი ფაქტორები, რომ გარშემომყოფთა ყურადღება და აღტაცება დავიმსახუროთ. საჭიროა მხოლოდ რამდენიმე ხრიკის ცოდნა და დიდება გარანტირებული გვაქვს.

– სწრაფად კითხვა – სწრაფად კითხვას არ სჭირდება არნახული ინტელექტი, თუმცა, ამით გარშემომყოფებზე ძალიან დიდი შთაბეჭდილების მოხდენას შეძლებთ. დასაწყი-



სისთვის საჭიროა, რომ საერთოდ კითხვა შეგეძლოთ, რამენაირად მაინც. შემდეგ კი ყველაფერს შეძლებთ. კითხვისას თვალი მხოლოდ ტექსტზე არ არის კონცენტრირებული და გარეშე დეტალებსაც აღიქვამს, ამიტომ ფანქრით ან კალმით გახაზეთ ტექსტი, რომლის წაკითხვასაც აპირებთ. ასე თვალს აიძულებთ, მხოლოდ ტექსტს მიაქციოს ყურადღება. ჩაატარეთ ექსპერიმენტი ტექსტის გახაზვამდე და გახაზვის შემდეგ და თავად დარწმუნდებით, წინანდელთან შედარებით რამდენად სწრაფად შეძლებთ წაკითხვას. ასევე, კითხვისას გულში ვიმეორებთ ყოველ წაკითხულ სიტყვას, ეს კი ძალიან დიდ დროს გვართმევს. ეცადეთ, არ გაიმეოროთ და ისე მიჰყევით ფრაზებს. თავიდან შესაძლოა, აზრის გამოტანა გაგიჭირდეთ, თუმცა ძალიან მალე ტემპსაც გააუმჯობესებთ და შინაარსსაც სრულად გაიგებთ.

– რუბიკის კუბიკის მინიმალურ დროში აწყობა – რუბიკის კუბიკი 1980-იან წლებში შეიქმნა. მალევე აიტაცეს და სენსაციადაც იქცა. მის ასაწყობად 519 ტრილიონი კომბინაცია არსებობს. თითქოს რთულია, სინამდვილეში კი არანაირი განსაკუთრებული ლოგიკური აზროვნების უნარი არ სჭირდება, ერთადერთი აუცილებელი კომპონენტი მეხსიერებაა.

ამოცანა რთულად გვეჩვენება იმიტომ, რომ გვგონია კუბის თითოეული ნაწილი დანარჩენის ირგვლივ მოძრაობს. ამ დროს კი, მხოლოდ სამი სფერო აქვს: განაპირა, ანუ საზღვრის, კუთხის და ცენტრის. პირველ რიგში, უნდა შევქმნათ თეთრი ჯვარი რომელიმე გვერდზე, შემდეგ კი ეს გვერდი შევინარჩუნოთ და ისე გადავიდეთ ყოველ მომ-



დევნო ეტაპზე. სხვათა შორის, ოფიციალურ საიტზე ნებისმიერი კომბინაციით დაწყების უამრავი გაკვეთილი დევს.

– ჭადრაკის პარტიის რამდენიმე სვლაში მოგება

რა თქმა უნდა, ჭადრაკი გენიოსების თამაშია. თუ არსებობს ოლიმპიადა ტვინებისთვის, ეს ჭადრაკია. ძალიან დიდ დროსა და განჭვრეტის უნარს მოითხოვს ჭადრაკის თამაშის მოგება. თქვენ ხომ რამდენიმე სვლის წინასწარ გათვლა გიწევთ. იმ შემთხვევაში თუ დამწყებებს ეთამაშებით და სავარაუდოა, რომ მსოფლიო ჩემპიონებთან არ მიგიწვდებათ ხელი, მაშინ ეს ხრიკი გამოგადგებათ არა მარტო მალევე მორჩეთ თამაშს, არამედ მოწინააღმდეგეზე შთაბეჭდილება მოახდინოთ და აფიქრებინოთ, რომ ამ საქმის ოსტატი ხართ.

მაშ ასე, პირველ რიგში თეთრი ფიგურები აირჩიეთ, ვინაიდან თეთრი თამაშს იწყებს. პირველი ნაბიჯი პაიკი **E4**-ზე, მეორე ნაბიჯი კუ **C4**-ზე, მესამე ნაბიჯი ლაზიერი **H5**-ზე, მეოთხე ნაბიჯი ლაზიერი **F7**-ზე. ამ დროს ლაზიერი თავდასხმას ახორციელებს, კუ კი მოწინააღმდეგის ფიგურებისგან იცავს. ასეთი მანევრით ლაზიერი დიაგონალზე შავი მეფის პირისპირ აღმოჩნდება. შავ მეფეს კი მხოლოდ ერთი ნაბიჯი რჩება წინ, ლაზიერის თავდასხმით, ფაქტობრივად, განიარაღებულია.

ასეთი კომბინაცია ბევრია. ზოგიერთი თამაშის ცოტა უკეთ ცოდნას მოითხოვს, თუმცა სჯობს, კომბინაციები ისწავლოთ, ვიდრე საქმის დიდოსტატივით დაიწყოთ ფიქრი... რა თქმა უნდა, თუ უკვე არ ხართ.

– გონებაში რთული მათემატიკური მაგალითების გამოთვლა

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათემატიკა თქვენგან ძალიან შორსაა, შეგიძლიათ, ადამიანებს აფიქრებინოთ, რომ თქვენ ადამიანი-კალკულატორი ხართ. საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ სწრაფად უნდა გამოთვალოთ. სწრაფად გამოთვლა კი მარტივი სასწავლებელია. ათასობით გზა არსებობს, რათა თქვენი ტვინი მანქანასავით მუშაობას შეაჩვიოთ. მაგალითად, თუ ორი რთული რიცხვის გამრავლება გიწევთ, აუცილებელია ამ რიცხვების ჯერ გამარტივება და მერე გადამრავლება. მაგალითისთვის:

32*125 – რთულია
16*250 – არც ისე მარტივია
8*500 – თითქმის გამოთვალეთ
4*1000 – უმარტივესია
საიდუმლოც ეს არის.

– შერლოკ ჰოლმსის დედუქციის მეთოდის დაუფლება



ცნობილი დეტექტივის ყველაზე დასამახსოვრებელი თვისება დედუქციის მეთოდით მსჯელობაა. მცირე დეტალების შემჩნევით ადამიანის წარსულის სურათის დახატვა. ამაში არაფერი განსაკუთრებული და ზებუნებრივი არ არის. მთავარია ფორერის მეთოდის გამოყენება. 1948 წელს ფსიქოლოგმა ბეტრამ ფორერამ თავის სტუდენტებთან ექსპერიმენტი ჩაატარა. დაურიგა სპეციალური ტესტები, რათა შემდგომ მათი პიროვნების ანალიზი გაეკეთებინა. შემდგომ კი, ინდივიდუალური ხასიათის ტექსტის ნაცვლად ყველას ერთი და იგივე, ბუნდოვანი ხასიათის, ჰოროსკოპიდან ამოღებული ტექსტი მისცა. სტუდენტებს სთხოვა 5-ბალიანი სისტემით შეეფასებინათ, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს მისი ანალიზი. საშუალო შეფასება 4,26 აღმოჩნდა. მოგვიანებით ექსპერიმენტი ასჯერ მაინც გამოიყენეს.

ანალიზის ტექსტი კი დაახლოებით ასეთი იყო: „ძალიან გინდათ, რომ სხვები თქვენით აღფრთოვანებული იყვნენ. საკმაოდ თვითკრიტიკული ხართ. ძალიან ბევრი ფარული შესაძლებლობა გაქვთ, რომელთაც ჯერ არ იყენებთ. მიუხედავად იმისა, რომ გაქვთ სისუსტეები, შეგიძლიათ მათი განეიტრალება. მოწესრიგებული და დარწმუნებული ჩანხართ, სინამდვილეში ღელავთ და არ გჯერათ საკუთარი თავის. დროდადრო ფიქრობთ, მიიღეთ თუ არა სწორი გადაწყვეტილება“.

ხრიკი იმაში მდგომარეობს, რომ ილაპარაკოთ რაც შეიძლება ბუნდოვნად, დაუზუსტებლად და განზოგადებულად. მთავარია, თქვენი ლოგიკა სწორად გამოიყენოთ. საუბრისას გამოხატეთ ყურადღება, ასწიეთ წარბი, ან წვერზე მოისვით ხელი. რაც შეიძლება თავდაჯერებულად უნდა გამოიყურებოდეთ. აი, მერე კი შეძლებთ მთლად დეტექტივების თუ არა, ექსტრასენსების რიგებში დგომას მაინც.

*mainfun.ru*



## ასტროფიზიკოსის ნილ დეგრას ტაისონის თქმით, კოსმოსში ნორმალურ სექსს ნიუტონის მეორე კანონი უშლის ხელს



ექსტრემალური სექსის მოყვარულებს უკვე კოსმოსშიც შეეძლებათ თავიანთი ეროტიკული ფანტაზიების განხორციელება. ცნობილი ასტროფიზიკოსის ნილ დეგრას ტაისონის თქმით, კოსმოსში ნორმალურ სექსს ნიუტონის მეორე კანონი (ყველა ძალის ჯამი, რომელიც სხეულზე მოქმედებს მასისა და აჩქარების ტოლია) უშლის ხელს. დედამიწაზე ეს კანონი ხელის შემშლელი არ არის, ვინაიდან აქ მიზიდულობის კანონი მოქმედებს და ურთიერთობისას სხეულები არ დაფრინავენ. კოსმოსში კი ადამიანების მიახლოების ყოველი მცდელობისას სხეულები, პირიქით, განიზიდებიან და კოსმოსური ხომალდის კედლებს ეხეთქებიან.

ტაისონი ამ პრობლემის გადასაჭრელად ქამრის გამოყენებას გვთავაზობს. მისი დახმარებით პარტნიორები განზიდვისგან თავის დაცვას შეძლებენ.

ნასა კოსმოსში სქესობრივი აქტის შესახებ არსებულ ყველა ჭორს უარყოფს. ფრანგი მეცნიერისა და მწერლის პიერ კოლერის თქმით კი, 1996 წელს ნასას ორგანიზებით კოსმოსში სპეციალური ჯგუფი გაიგზავნა, რათა შეესწავლათ, რა ხერხებით იქნებოდა შესაძლებელი კოსმოსში, განზიდვის პირობებში სექსით დაკავება.

*lenta.ru*



## მოწევა ტვინის დაბერების პროცესს აჩქარებსო




მოწევა რომ მავნებელია, ყველამ ვიცით, მაგრამ უმრავლესობისთვის პრობლემას არ წარმოადგენს ფილტვის კიბოს ან კანის ნაადრევი დაბერების საშიშროება. რას იტყვით იმაზე, რომ მოწევა ტვინს აბერებს და აქვეითებს ისეთ უნარებს, როგორიცაა პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება, დაგეგმვა.

ედინბურგი უნივერსიტეტის მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ სიგარეტი აჩქარებს ტვინის ქერქის გათხელების პროცესს. მას უმაღლესი ფუნქცია აქვს, მეხსიერების, ყურადღების, მეტყველებისა და გონებისთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს.

კვლევის წამყვანი სპეციალისტი იან დირი ამბობს, რომ მწეველების ტვინი ორჯერ უფრო სწრაფად ბერდება, თუმცა მოწევის შეწყვეტის შემთხვევაში ტვინის ქერქს შეუძლია, გარკვეული სისქე აღიდგინოს.

„კვლევის მონაწილეებს, რომელთაც მოწევას დიდი ხანია დაანებეს თავი, ტვინის ქერქის გაცილებით სქელი ფენა ჰქონდათ, ვიდრე მათ, ვინც არც ისე დიდი ხნის წინ მიატოვა მოწევა. არსებობს ვარაუდი, რომ პირველ კატეგორიას გარკვეულ დონემდე აღუდგა ტვინის ქერქი“, – განაცხადეს კვლევის ავტორებმა.

*vashaspina.ru*



## „სანტექნიკოსის ღიმილი“ – ღარის დასამალი ტრუსი ხელოსნებისთვის



ახალგაზრდა ფრანგმა გამომგონებელმა ადრიან ერვე-პელისიემ ხელოსნებისთვის საცვლის ახალი სახეობა შექმნა, რომელიც მათ უხერხულ პოზებში მუშაობისას უხერხულ სიტუაციებში ჩავარდნისგან დაიცავს.

საცვლების სერიას „სანტექნიკოსის ღიმილი“ ჰქვია და ზუსტად ეს წარწერა ამშვენებს ადგილს, რომელიც სხეულის იმ ნაწილს ეფარება, რომლის შემთხვევით გამოჩენაც ყველაზე ხშირად იწვევს ღიმილს. პირველ ეტაპზე ადრიანმა 3500 ცალი საცვალი გამოუშვა და მათი შეძენა 19,50 ევროდ არის შესაძლებელი. საცვლები სხვადასხვა სტილისაა – ფართო, ვიწრო. საერთო ნიშანი, რომელიც მათ აერთიანებთ წელის მხარეს ფართო სალტეა.

*newpost.ge*



## იუმორი



დედა თავის დიდლოყება შვილს ასეირნებს. ქუჩაში ბავშვს გამვლელი ენის მოჩლექით მიეფერება:

– ლად გინდა ამხელა ლოკები, ლად გინდა ამხელა ლოკები?

– ლად მინდა, ბიძია და ვინმეს ლომ კოცნა მოუნდება, ტაკოზე ხო ალ ვაკოცნინებ?

*****

კოტე მეზობლის კარზე აკაკუნებს:

– უკვე ღამის 3 საათია, არ შეიძლება, მუსიკას ცოტა ჩაუწიოთ?!

– კაცო, წუხელ რომ ისე ხმაურობდით სექსის დროს შენ და შენი მეუღლე, ვთქვი რამე?

– მე წუხელ სახლში არ ვყო... უხ, შენი დედა კი...

*****

კომპიუტერი ვირუსებისგან რომ დაეცვა, სვანმა ეკრანზე ნიორი ჩამოკიდა...

*****

– რა გჭირს, კოტე, თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული?

– შვილმა დამარტყა...

– რატომ, კაცო?!

– დედა შევაგინე და...

– აბა, გადარჩენილი ხარ – კიდევ კარგი, ფაქტზე არ წაგასწრო!

*****

ცოლი მურტალ „პახმელიაზეა“ და ქმარს ეკითხება:

– რას აკეთებ ხოლმე, როცა დალევის მერე დილაობით თავი გტკივა?

– შენს წყევლა-კრულვასა და წუწუნს ვუსმენ...

*****

დაქალები ჭორაობენ:

– ჩემი ქმარი ან მხოლოდ დღესასწაულებზე სვამს ან როცა აბანოში მიდის.

– ბედნიერი ქალი ყოფილხარ!..

ამასობაში ქმარი დაბრუნდა:

– საყვარელო, დღეს რამე დღესასწაული არის?

– არა...

– მაშინ აბანოში წავედი...

*****



– რა იყო, კოტე, რამ გაგამხიარულა ასე?

– რამ და სიდედრი გავაცილე, მატარებელში ჩავსვი და გავუშვი, როგორც იქნა!

– და ცხვირ-პირი რატომ გაქვს ასეთი დასვრილი?

– ლიანდაგებს ვკოცნიდი, კაცო, ლიანდაგებს!!!

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## რეკლამა ადამიანის ქვეცნობიერებას კლავსო



სამსახურიდან გადაღლილ-გადამწვარი ბრუნდებით სახლში და სავარძელში ღონემიხდილი ეშვებით? იცით, შესაძლოა, ამაში დამნაშავე სულაც არ იყოს თქვენი დაძაბული გრაფიკი?! ჩვენი ტვინი შეუგნებლად ამუშავებს ნებისმიერ დაწერილ ტექსტსა და არითმეტიკულ ოპერაციას, რომელიც მხედველობის არეში მოხვდება. თუკი გავიხსენებთ, რომ მთელი ქალაქი სარეკლამო ბილბორდებითაა აჭრელებული, წარწერებით, ფასებით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორი გადატვირთულია ქვეცნობიერი.

– ადამიანს შეუძლია შეასრულოს არითმეტიკული ოპერაციები და გააანალიზოს ენობრივი კონსტრუქციები ისე, რომ არც კი ფიქრობდეს, რას აკეთებს, ანუ ქვეცნობიერად, – ამბობენ იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის სპეციალისტები.

ექსპერიმენტებისას მოხალისეებს შესთავაზეს, მხედველობა „გაეორებინათ". ანუ მარცხენა თვალით არითმეტიკული ჯაჭვისთვის შეეხედათ, მარჯვენათი კი – ფერადი გეომეტრიული ფიგურებისთვის. მკვლევართა თქმით, ასეთი პროცედურა დავალებაზე კონცენტრირების საშუალებას არ იძლევა და ამდენად, მოხალისეები ნორმალურად ვერც კი ხვდებოდნენ, რას უცქერდნენ. შემდეგ რესპონდენტებს აჩვენეს რიცხვები, რომლებსაც უკვე ორივე თვალით უყურებდნენ და მათი ხმამაღლა დასახელება სთხოვეს. ის რიცხვები, რომლებსაც მანამდე მოხალისეები მხოლოდ ცალი თვალით ხედავდნენ, გაცილებით სწრაფად იქნა ჩამოთვლილი, თითქოს, ტვინი მათ უკვე „იცნობდა". იმის გამო, რომ მოხალისეებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, არითმეტიკული ოპერაციები გონებით შეესრულებინათ, დაასკვნეს, რომ ტვინმა ეს უკვე ქვეცნობიერად გააკეთა. ანალოგიური შედეგი იქნა მიღებული ტექსტის წაკითხვის დროსაც.

ეს ყველაფერი კი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ადამიანების ქვეცნობიერი, განსაკუთრებით მათი, ვინც მეგაპოლისებში ცხოვრობს, მუდმივად დაძაბულია, რასაც დადებითი შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს.

***golosscience.com***

## გულის შეტევის შემდეგ, ნიორი დაგეხმარებათ



მართალია, ერთ-ერთი ყველაზე უხერხული საჭმელია ნიორი, მაგრამ იმდენი სასარგებლო თვისებით გამოირჩევა, სპეციალისტები მის შესახებ ახალ-ახალ აღმოჩენებს ლამის ყოველთვიურად აკეთებენ.

ნივრის სხვა სასარგებლო თვისებებზე ჩვენც ბევრჯერ გვაქვს მოყოლილი, მორიგი სიახლე კი იმას გულისხმობს, რომ მას შეუძლია ისეთი ნივთიერებების გამომუშავება, რომლებიც ინფარქტგადატანილი ადამიანისთვის ჰაერივით საჭიროა.

გარდა ამისა, ნიორი რეკომენდებულია იმ ადამიანებისთვისაც, ვინც გულის უკმარისობას განიცდის ან ოპერაცია აქვს გადატანილი.

კანადელი კარდიოლოგების ინფორმაციით, ნიორი თავის სასარგებლო თვისებებს ტრისულფიდის დიალილს უნდა უმადლოდეს, ნივთიერებას, რომელიც გულს გოგირდწყალბადით ამარაგებს.

მღრღნელებზე ჩატარებული ცდების შედეგად დადგინდა, რომ ნიორი გულის ქსოვილების დაზიანებას მთელი 61 პროცენტით იცავს.

***myjane.ru***

## რატომ იქექებიან მაიმუნები ერთმანეთის ბალანში?



კი, ბატონო, სანახაობა სასიამოვნო ნამდვილად არ არის და მასზე დაკვირვებას ადამიანი, ალბათ, არ მოინდომებს. ჰოდა, ინებეთ მცდარი შეხედულება!

სპეციალისტების მტკიცებით, რაზეც თავს ვერ დავდებთ, რადგან ასეთი ექსპერიმენტი არ ჩაგვიტარებია, თუკი ადამიანი ყურადღებით დააკვირდება მაიმუნების ქცევას, ალბათ, მიხვდება, რომ მათი ბალანი იმდენად იშვიათია, იქ რწყილებს თავის გატანა ძალიან გაუჭირდებოდათ.

სინამდვილეში, პრიმატები ერთმანეთს ბალანს იმიტომ უქექავენ, რომ იქ ოფლის კრისტალები იპოვონ, რომელიც დელიკატესად მიიჩნევა, რასაკვირველია, მაიმუნების კულინარიული მისწრაფებებიდან გამომდინარე.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***maximonline.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**19 ნოემბერი:** თქვენს სიტყვამახვილობას დღეს არ მოიწონებენ. უფრო მეტიც, შესაძლოა, ამის გამო კონფლიქტიც მოგივიდეთ. ასე რომ, ფრთხილად.

**კურო 22.04-21.05**
**19 ნოემბერი:** დღეს გართობის ახალი საშუალება უნდა მოიფიქროთ. ფანტაზია არ დაიშუროთ და ისეთ რამეს გამოიგონებთ, რაც საუკუნოდ დარჩება.

**ტყუპები 22.05-21.06**
**19 ნოემბერი:** ძირითად საზრუნავს თქვენი მეგობარი გაგიჩენთ. მას ისე მოუნდება რაღაცის მიღება, რომ საკუთარ მოქმედებებს ვეღარ გააკონტროლებს. უსიამოვნებისგან უნდა დაიცვათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**19 ნოემბერი:** რაც უფრო მალე დაასრულებთ აქტიურ მოქმედებებს, მით უკეთესი, რადგან განსაკუთრებულად პროდუქტიული არ იქნებით.

**ლომი 23.07-22.08**
**19 ნოემბერი:** თუ თვლით, რომ თქვენი პრინციპები ცხოვრებას გირთულებთ, ე.ი. დროა, მათ გადახედოთ და დარწმუნდებით, რომ პრობლემა სხვა რამეშია.

**ქალწული 23.08-22.09**
**19 ნოემბერი:** საშუალება მოგეცემათ, გარშემომყოფებს დაანახოთ, რამდენ კარგ თვისებას ვერ ამჩნევდნენ თქვენში. თავში არ აგივარდეთ, ეს პროცესი ეფექტურობას დაკარგავს.

**სასწორი 23.09-22.10**
**19 ნოემბერი:** შესაძლოა, დღეს ისეთი საკითხის მოგვარებაში ჩაგრთონ, რასაც თქვენთან შეხება არ აქვს და ამას მოულოდნელი შედეგი მოჰყვება.

**მორიელი 23.10-21.11**
**19 ნოემბერი:** როგორც ჩანს, დღეს უამრავი თავისუფალი დრო გამოგიჩნდებათ. წინასწარ მოემზადეთ, თორემ ბედის ამ საჩუქრისგან სიამოვნებას ვერ მიიღებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**19 ნოემბერი:** დღეიდან უნდა დაიწყოს პერიოდი, როცა მოდუნებას და ცოტათი მაინც გამხიარულებას შეძლებთ. სხვა რამეზე დრო არ დახარჯოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**19 ნოემბერი:** თქვენს სახლში შესაძლოა, დიდი ცვლილებები მოხდეს, მაგრამ ამას თავიდან აიცილებთ, თუ არ ჩაერევით. ამიტომ, სანამ რამეს წამოიწყებთ, ოჯახის წევრებს მოეთათბირეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**19 ნოემბერი:** ყველაზე უჩვეულო რამეც კი, შესაძლოა, რეალობად მოგეჩვენოთ. თქვენ მიერ დღეს გაკეთებულმა საქმეებმა წარმატება უნდა მოგიტანოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**19 ნოემბერი:** დღეს თქვენი გონების ხმა გულის წადილს დაჩრდილავს. მზად იყავით იმ შედეგებისთვის, რასაც გონების კარნახი მოგიტანთ.

**გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა" სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**
**577 74 99 89**
„ალიას" რედაქტორი **თამაზ ბესტავაშვილი**
(15 საათიდან)

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**

## მობილური ტელეფონების გამოყენება გადამდებია, როგორც მთქნარება



ზოგიერთი ქალი იტყვის ხოლმე: „თავი გაგიხმა, მთქნარება მეც გადამდეო..." არა, თავის გახმობა რა შუაშია, რა, ძალით დაამთქნარა იმან, ვინც დაამთქნარა?! ოხ, ეს ქალები, რა?!

მოკლედ, გეცოდინებათ, რომ მთქნარება მართლაც გადამდებია და თურმე, ასევე, ყოფილა მობილური ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში: საკმარისია, კომპანიაში ერთმა ადამიანმა ამოიღოს ჯიბიდან მობილური და მასში ძრომიალი დაიწყოს, რომ მისი გარშემომყოფებიც მაშინვე ხელში ტელეფონს იმარჯვებენ. ხუთი წუთიც არ გადის და მთელი კომპანია ზის და მობილურ ტელეფონ ჩაჰკირკიტებს. ახალ კვლევაშიც სწორედ ამაზეა ლაპარაკი: ტელეფონი გადამდებია ისევე, როგორც მთქნარება.

მიჩიგანის უნივერსიტეტის მკვლევარები სტუდენტური ქალაქის სასადილოებსა და კაფეებში ახალგაზრდებს 4 თვის მანძილზე აკვირდებოდნენ. ჰოდა, დადგინდა: 10 წამის მანძილზე, რაც თქვენი ნაცნობი ხელში მობილურს დაიჭერს, შანსი იმისა, რომ თავადაც ანალოგიურად მოიქცევით, 39,5 პროცენტია.

– მობილურის გადამდებობა სხვა არაფერია, თუ არა სოციალური გაუცხოების შედეგი, რომელიც იმ მომენტში ჩნდება, როცა თქვენთან ურთიერთობისას თანამოსაუბრეს ყურადღება სხვა რაღაცაზე გადააქვს. თქვენც აღარაფერი გრჩებათ გარდა იმისა, რომ მოახდინოთ დემონსტრირება – მარტო არც მე ვარო, – განმარტავენ ექსპერიმენტის ავტორები. მათივე თქმით, ასეთი ქცევა, ჩვეულებრივ, ახალგაზრდებისთვისაა დამახასიათებელი.

***mainfun.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– აბა, საყვარელო, რადგან უკვე ჩემი ცოლი ხარ, გულახდილად მითხარი, რამდენი მამაკაცი გყავდა?
– პირობას მაძლევ, რომ არ მეჩხუბები?
– გპირდები!
– კარგი, ჰო – შვიდი.
– ანუ მე მეშვიდე ვარ?
– არა... შენ მეოთხე ხარ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"**
» 211359457
გამომცემელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – **მიხეილ სახვაძე**
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაქვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: ალექსიძის, I კვარტალი 10-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.45